The purpose of the research is to study theoretical-methodological and applied issues related to the process of perfecting business tax administration, to develop recommendations and to prepare appropriate proposals. Therefore, the main tasks were outlined in the work: researching the regulatory legal base of tax administration and proposing proposals for its improvement, studying the optimization of the taxable base of business based on the theoretical and practical analysis of existing taxes.

The paper offers recommendations, the practical application of which will contribute to the complex work of the Georgian tax system and the harmonization of taxes.

The paper discusses the applicable taxes in Georgia, applicable rates and changes that the Georgian tax system has undergone. Pros and cons of change and recommendations to overcome it. Current processes are presented in figures in the form of drawings.

Much attention is paid to the six main taxes in force in Georgia, and the revenues received from these taxes, which are included in the country's budget, are given in the form of a drawing. Tax changes that have taken place in the last period are also mentioned as information.

Finally, the relationship between the tax system of Georgia and commercial banks is given, on the one hand as a subject of taxation and on the other hand as a support organization for tax collection and work of the tax system.

Key words: tax, tax rate, tax system, state budget.

მოტივაციის თეორიების შედარებითი ანალიზი

მელანო დიასამიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ადამიანებზე გამიზნული ზეგავლენის მოხდენა დაიწყეს მანამდე, სანამ სიტყვა მოტივაცია დამკვიდრდებოდა მენეჯმენტის ლექსიკაში. როგორც ვიცით, მოტივაცია არის ბერკეტი, რომელსაც შეუძლია ადამიანის ქცევის შეცვლა სასურველი მიმართულებით, სასურველი მიზნის მისაღწევად. გლობალიზაციის ეპოქაში თანამშრომლები ბიზნესის კონკურენტულ უპირატესობად იქცნენ. ბიზნესი შეიძლება მართო საშუალო პერფორმანსის მქონე თანამშრომლებით, მაგრამ კომპეტენტურ თანამშრომლებს შეუძლიათ ბიზნესის უფრო მაღალ სიმაღლეებზე აყვანა. აქედან გამომდინარე შრომის ბაზარზე კარგი თანამშრომლების შენარჩუნება და თანამშრომელთა ლოიალობის განვითარება სულ უფრო მნიშვნელოვანი და მუდმივი გამოწვევა ხდება ორგანიზაციებისათვის.

დღესდღეობით მოტივაცია უნდა იყოს ყველა კომპანიის განუყოფელი ნაწილი. მოტივაციის შენარჩუნება და გაზრდა კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფაქტორია ბიზნესის წარმატებში. ორგანიზაციები რომლებიც აქტიურად ნერგავენ და ავითარებენ სამოტივაციო პროგრამებს, წარმატების შედარებით მაღალი შესაძლებლობა აქვთ, რადგან ჰყავთ სტაბილური და ერთგული თანამშრომლები, რომლებიც აქტიურად იღებენ მონაწილეობას იდეების გენერირებაში, საერთო მიზნის მიღწევაში და პრობლემური საკითხის მოგვარებაში.

სტატიის მიზანია მოტივაციის თეორიების შედარება და იმის განსაზღვრა თუ როგორ გამოვიყენოთ ისი თანამშრომლების შთაგონებისთვის. ამ ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მოტივაციის თეორიულ ასპექტებზე ადრეული ეპოქიდან და ასევე თანამედროვე რეალობიდან. შევეცადე გამერკვია რამდენიმე საერთო მახასიათებელი მოტივაციური თეორიების შედარებით. ამ ფაქტორების გარკვევა დაგვეხმარა უკეთ გაგვეგო მოტივაციური თეორიების მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა პროფესიულ გარემოში.

ეს ნაშრომი კრიტიკულად შეაფასებს სხვადასხვა მოტივაციურ თეორიებს, სხვადასხვა ტიპის ადამიანების მართვისა და მოტივაციის ძირითადი ცნებების ახსნის საფუძველზე. გამომდინარე იქიდან, რომ მოტივაცია(განსაკუთრებით თანამშრომელთა მოტივაცია), ფართო თემაა, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილე კლასიკურ მოტივაციის თეორიებს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზაცია, სამოტივაციო პროგრამები, მოტივაციის თეორიები, მენეჯმენტი.

Comparative analysis of motivation theories

Melano Diasamidze

Georgian National University SEU

Abstract

Abstract: Intentional influencing of people began before the word motivation was established in the vocabulary of management. As we know, motivation is a lever that can change human behavior in the desired direction, to achieve the desired goal. In the era of globalization, employees have become the competitive advantage of businesses. A business can be run by average performing employees, but competent employees can take the business to greater heights. Therefore, maintaining good employees in the labor market and developing employee loyalty is becoming an increasingly important and constant challenge for organizations.

Today, motivation should be an integral part of every company. Maintaining and increasing motivation is a critically important factor in business success. Organizations that actively implement and develop motivational programs have a relatively high chance of success because they have stable and committed employees who actively participate in generating ideas, achieving a common goal, and solving a problem.

The purpose of the article is to compare motivation theories and determine how to use them to inspire employees. This paper focuses on the theoretical aspects of motivation from the early era as well as the modern reality. I tried to find out some common features by comparing motivational theories. Elucidation of these factors helped us to better understand the importance of motivational theories and the possibility of its practical application in the professional environment.

This paper will critically evaluate various motivational theories based on explaining the basic concepts of managing and motivating different types of people. Since motivation (especially employee motivation) is a broad topic, I focused on the similarities and differences between classical motivation theories.

Key words: Globalization, Motivation programs, Motivation theories, Management.

საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ანალიზი და განვითარების პერსპექტივები

მანანა გოშნიაშვილი,

ცისია ბერელაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განვითარების შესახებ, განვლილი პერიოდის გამოცდილების განხილვას, დღევანდელი მდგომარეობის მიმოხილვას. ვეცადეთ ნაშრომში გაგვეანალიზებინა საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარი და გადმოგვეცა ამ ინსტრუმენტის მნიშვნელოვანი ფუნქციები საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

ნაშრომში წარმოჩენილია საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების არსი და მნიშვნელობა, კანონში არსებული დებულებები, რომლებიც არის ბაზრის ფუნქციონირების საფუძველი, მონაწილე მხარეები და მათი ფუნქცია-მოვალეობები.

კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესწავლა, ანალიზი, ქვეყნის ეკონომიკაში მისი როლის განსაზღვრა და აღნიშნული ბაზრის განვითარების შესაძლებლობების დადგენა.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზარი, ხოლო კვლევის საგანს - სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, ფულადი ბაზარი, პირველადი ბაზარი, მეორადი ბაზარი, სახელმწიფო ობლიგაცია.

Analysis of the Georgian state securities market and development prospects

Manana Goshniashvili,

Tsisia Berelashvili

Georgian National University SEU

Abstract

The work includes information about the development of state securities of Georgia, discussion of the experience of the past period, overview of the current situation. In the paper, we tried to analyze the state securities market of Georgia and convey the important functions of this instrument in the conditions of the market economy.

The paper presents the essence and importance of the state securities of Georgia, the provisions of the law, which are the basis of the functioning of the market, the participating parties and their functions and duties.

The purpose of the research is to study and analyze the current state of the state securities market of Georgia, determine its role in the country's economy and determine the development opportunities of the said market.

The object of the research is the securities market, and the subject of the research is state securities.

Keywords: government securities, money market, primary market, secondary market, government bond.

ბიზნესის ურთიერთობების ფსიქოლოგია

მარიამ ზაალიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ბევრს ჰგონია, რომ ურთიერთობები ბიზნესში მნიშვნელოვანი არ არის. რომ საკმარისია შესთავაზო ორმხრივი მომგებიანი ხელშეკრულება და მეტი არაფერი. მიუხედავად ამისა კავშირი და ურთიერთობები ამ სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

2000 წლის წიგნის: “საქმიანი ურთიერთობების კულტურის” ავტორის ბატონი ბრაიმის სიტყვებით, ურთიერთობები დამოკიდებულია რეგლამენტაციის სამ ძირითად პრინციპზე, რომელსაც მიეკუთვნება: საქმევანი ეთიკეტი, სასაუბრო ეთიკეტი და დროებრივი შეზღუდვები. მიუხედავად ამისა, აუცილებელი არაა როგორ წარიმართება მოლაპარაკება: ტელეფონის საშუალებით, შეხვედრებზე, თუ საქმიან გარემოებაში...

ამის გარდა მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მიექცეს მოლაპარაკე მხარის სხეულის ენის მოქმედებებს. ქალბატონი ლ. გ. პავლოვის სასწავლო ლიტერატურის თანახმად, რომელიც დაწერილი იყო 2008 წელს, “თვლების ძალაც კი მნიშვნელოვანია ასეთ მომენტებში”. თუ მოლაპარაკე მხარე იყურება თქვენს წარბებს შორის, მაშინ ეს გამოხატავს საქმიან მზერას; თუ უყერებს ცხვირს, მაშინ გამოუხატება მეგობრული და ღია განწყობა. აგრეთვე ასეთივე მოქმედებები როგორცაა მაგალითად კოსტუმზე ღილის გახსნა, მხრების მოძრაობა და ხელ-გაშლა შეიზლება იყვეს ყურადღების მიმქცევი მეგობრული ურთიერთობებისთვის. მაგრამ, ამავდროულად, ამ ქალბატონ პავლოვას სიტყვებით, არსებობს “მოძრაობის თავდაცვითი შესტები”. მაგალითად, ხელების შეკვრა მკერდზე და თითების მუშტად შეკვრა. ამ შემთხვევაში, მოლაპარაკების დროს აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა.

არც ისე დიდი მოკვლევის შესაბამისად, ბიზნეს-ფსიქოლოგიის სფეროში მე შევიმუშავე მოლაპარაკების უბრალო რამოდენიმე. ზემოთ აღნიშნული სახის და სხეულის შესტების გარდა

შეგვიზღია დამატებით ყურადღება მივაქციოთ მისალმების ფორმებს, პიროვნული დასტანციის დაკავება, მოძრაობების და ეთიკეტის დაცვა, პიროვნების სოციალური აღქმა, კომუნიკაციური შეზღუდვები, ა.შ. ჩემი მომსახურობის სფეროს გამოცდილებიდან გამომდინარე, და აგრეთვე სხვადასხვა წაროებიდან გამომდინარე, ყურადღების გამახვილება ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე მიგვიყვანს საუკეთესო და წარმეტებულ ურთიერთობებთან და ურთიერთ გაგებასთან. ჩატარებული მოკვლევები ამ სფეროში შესაძლებელია მნიშვნელოვანი გახდეს როგორც თქვენი ასევე თქვენი ბიზნესის გადარჩენისათვის, და ამის გამო გადავწყვიტე ეს საკითხები გამეზიარებინა თქვენთვის.

Business Communication Psychology

Mariam Zaalishvili

Georgian National University SEU

Abstract

Many people think that communication in business is not the most important thing. It is enough to offer the interlocutor a mutually beneficial deal and that's it. Nevertheless, connections and relations in this area play an important role.

According to Brime, author of the 2000 book *The Culture of Business Communication*, communication is based on three important principles of regimentation, which include: business etiquette, speech etiquette, and time limits. At the same time, it does not matter how exactly communication takes place: by phone, at meetings, at a business meeting, etc.

In addition, you should also pay special attention to your body language and the interlocutor. According to Mrs. L. G. Pavlova's study guide, written in 2008, even the eyes have a special power in such moments. If the interlocutor looks at the point between the eyebrows, then this is definitely a business look, but if he looks at the nose, then this person is quite friendly and even open. Even gestures like unbuttoning your jacket, shrugging your shoulders, and opening your arms can be a good trick to attract a friendly attitude from the listener. However, according to the instructions of the same L. G. Pavlova, there are also defensive gestures, such as arms crossed on the chest and clenched into fists. In such cases, you should be most careful during negotiations.

After doing some research in business psychology, I've come up with a few simple tips for successful negotiations. Following from the above body and eye gestures, I would like to continue my thought, focusing also on handshakes, interpersonal space, facial expressions, social perception, communication barriers, etc. According to my experience in the service industry, as well as multiple sources, paying

attention to these moments leads to the most successful communication and mutual understanding. Research in this area can save lives for both you and your business, which is why I decided to share it.

უნივერსიტეტებს შორის ხილული და უხილავი კონკურენცია

ელენე მიქაია,

დავით გეგენავა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

რა იგულისხმება კონკურენციაში?

ინტელექტუალური მომსახურების დონე და სტუდენტების მიზიდულობა სასწავლებლის მიმართ. სწორედ ამ ორ ფაქტორზე დაფუძნებული მარკეტინგი, ზრდის კონკურენტუნარიანობას სხვა უნივერსიტეტებთან.

რას გულისხმობს ხილული ნაწილი?

ხილულ ნაწილს წარმოადგენს ის, რასაც აბიტურიენტები და სტუდენტები აღიქვამენ, როცა სეუში ფებს შემოდგამენ, დიახ! ეს მრავალსართულიანი შენობის ინფრასტრუქტურა მარკეტინგის მთავარი სახეა! კომფორტული, სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც სწავლის და რაღაც ახლის შექმნის სურვილს აჩენს, ხოლო ამასთან ერთად ბევრად აიოლებს სწავლის ერთი შეხედვით რთულ პროცესს.

ასევე განვიხილავთ სეუში სტუდენტების რაოდენობას წლების მიხედვით, დიაგრამაზე ნათლად ჩანს ის გზა, რაც სეუმ გამოიარა დაარსებიდან დღემდე.

პრეზენტაციაში ასევე განვიხილავთ იმ ღონისძიებებს, რასაც სეუ ატარებს სტუდენტებისათვის. იქნება ეს სტუდენტური კონფერენციები, საჯარო ლექციები თუ სხვა აქტივობები. ხოლო აბიტურიენტებისათვის კი სეუს აქვს შეთავაზებები, და პრივილეგიები, რომლებიც არ აქვთ სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებს. მაგალითად ლეპტოპი და 1000ლარიანი ვაუჩერი, სწორედ მსგავსი ტიპის მარკეტინგი გამოარჩევს სეუს, რაც დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღებაში.

რა იგულისხმება უხილავ ნაწილში ?

ლექტორები სტუდენტებს უვითარებენ გონებრივ ხედვას, რომელიც გულისხმობს არამართო პროფესიულ ცოდნას, არამედ ამასთან ერთად ცხოვრებისეულ გამოცდილებას.

Visible and invisible competition between universities

Elene Mikaia,

Davit Gegenava

Georgian National University SEU

Abstract

What is meant by competition?

The level of intellectual service and the attraction of students to the school. Marketing based on these two factors increases competitiveness with other universities.

What does the visible part mean?

The visible part is what applicants and students perceive when they step foot in the Seuss, Yes! This multi-storey building infrastructure is the main form of marketing! A comfortable, student-centered environment that creates a desire to learn and acquire something new, while at the same time making the seemingly difficult process of learning much easier.

We will also consider the number of students in SEU by year, the chart clearly shows the path that SEU has taken from its foundation to the present day.

In the presentation, We will discuss the events that SEU conducts for students. Be it student conferences, public lectures or other activities. And for applicants, SEU has offers and privileges that students of other universities do not have. For example, a laptop and a 1000 GEL voucher, it is this type of marketing that sets Seu apart, which plays a big role in decision-making.

What is meant by the invisible part?

Lecturers develop students' mental vision, which involves not only professional knowledge, but also life experience.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

მარიამ წაქაძე,

მარიამ გოგატიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ქვეყნის ფისკალური ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანობისა და ეკონომიკური მდგრადობის შეფასებისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ კატეგორიას სახელმწიფო ვალი

წარმოადგენს. როდესაც ვსაუბრობთ სახელმწიფო ვალის აკვარგიანობაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია, მისი როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. იმ შემთხვევაში თუ მოხდება ვალის გონივრული მართვა, მისი რაციონალური გამოყენება, ფისკალური მდგრადობის უზრუნველყოფა და ლიმიტების დაცვა, იგი შესაძლებელია ეკონომიკის მნიშვნელოვან მასტიმულირებელ ბერკეტად იქცეს. სახელმწიფო კრედიტის ცნება მჭირდოდ არის დაკავშირებული სახელმწიფო ვალის განსაზღვრებასთან. სახელმწიფო ვალი არის ქვეყნის ყველა სავალო ვალდებულებების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფილია სახელმწიფოს მთელი აქტივებით. სახელმწიფო ვალი შეიძლება დაფიქსირდეს საგარეო და საშინაო ვალად.

მოცემულ ნაშრომში განხილულია თუ რას ნიშნავს სახელმწიფო ვალი. ასევე განხილულია თუ რა არის საქართველოს სახელმწიფო ვალი. როგორია საქართველოს სახელმწიფო ვალის სტატისტიკა. ამავდროულად გადმოცემულია ინფორმაცია საქართველოს საშინაო და საგარეო ვალის შესახებ. განხილულია რამდენად მნიშვნელოვანი ელემენტია სახელმწიფო ვალი და რომ მას შეუძლია, როგორც ააყვავოს, ისე გაანადგუროს ქვეყნის ეკონომიკა.

ნაშრომის გაცნობის შედეგად მკითხველი მიიღებს ინფორმაციას საქართველოს სახელმწიფო ვალის შესახებ, თუ როგორი მდგომარეობაა 2023 წლისთვის, როგორც საშინაო, ასევე საგარეო ვალის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო ვალი, საგარეო ვალი, საშინაო ვალი.

State debt of Georgia

Mariam Tsakadze,

Mariam Gogatishvili

Georgian National University SEU

Abstract

State debt is an important economic category for evaluating the effectiveness of the country's fiscal economic policy and economic sustainability. When we talk about if state debt is good or bad for country, it is necessary to take into account both its positive and negative aspects. If the debt is managed wisely, its rational use, ensuring fiscal sustainability and keeping the limits, it can become an important stimulating support for the economy. The concept of state credit is closely related to the definition of state debt. State debt is the sum of all the country's debt obligations, which are secured by all of the state's assets. State debt can be divided into foreign and domestic debt.

So, this paper discusses what the state debt means. It also discusses what is the state debt of Georgia. What are the state debt statistics. At the same time, we will get to know information about Georgia's

domestic and foreign debt. Also here is discussed how essential is state debt and that it can both prosper and destroy the country's economy.

As a result of getting acquainted with the work, the reader will get information about the state debt of Georgia, what is the situation by 2023, both about the domestic debt and the foreign debt.

Keywords: State debt, Foreign debt, Domestic debt

როგორ "დავამსხვრიოთ" ღვინის გარშემო არსებული სტერეოტიპები

ხატია წურწუშია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ქართველებისთვის ღვინო წარმოადგენს სასმელს, რომელიც ჩვენი კულტურის, ისტორიის, ტრადიციებისა და რელიგიის განიყოფელი ნაწილია. ქართული ვაზის ჯიშები და მათი მავალფეროვანი ბუნება არის ის, რითაც თითოეული ქართველი ყოველთვის ამაცობდა, ამაცობს და იამაყებს. ქართველი ერის დამოკიდებულება ღვინის მიმართ ყოველთვის „წმინდა“ და „სათუთი“ იყო. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დროთა ცლისა და სხვადასხვა ეპოქაში, სხვადასხვა ასაკის ადამიანთა მხრიდან გამოხატული მკაფიო ქცევების გამო, ღვინის ინდუსტრიისა და ღვინის, როგორც სასმელის მიმართ ჩამოყალიბდა კონკრეტული მიდგომები და სტერეოტიპები, რომლებიც თავისთავად აყალიბებენ მცდარ შეხედულებებს ამ ტრადიციული სასმლის მიმართ ახალგაზრდა თაობაში. აქედან გამომდინარე, შეიცვალა მისი მოხმარების წესი და გამოიყო ღვინის მომხმარებელთა კონკრეტული სეგმენტი.

ამ ნაშრომის მიზანია, წარმოვაჩინო და დავამსხვრიო ის სტერეოტიპები, რომელიც დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა ღვინის ირგვლივ, დაგანახოთ თუ როგორ შეცვალეს მათ საზოგადოების მიდგომა ამ სასმლის მიმართ და ჩემს მიერ აწყობილი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე დავამტკიცო, რომ სრულიად შესაძლებელია ახალი კონცეფციის შემუშავება, ღვინის ახლებურად დანახვა, წარმოჩენა, „გაახალგაზრდავება“ და უფრო მეტიც - მისი ყოველდღიურობასთან ინტეგრირება.

საკვანძო სიტყვები: ღვინო, სტერეოტიპები, გაახალგაზრდავება, ღვინის სმის კულტურა, მამაპაპური, საქეიფო.

Let's break down the stereotypes surrounding wine

Khatia Tsurtsunia

Georgian National University SEU

Abstract

For Georgians, wine is a drink that is an integral part of our culture, history, traditions and religion. Georgian grape varieties and their colorful nature is what every Georgian has always been, is, and will be proud of. The Georgian nation's attitude towards wine has always been "pure" and "tender". However, we should notice that due to the passage of time and different eras, distinct behaviors expressed by people of different ages, specific attitudes and stereotypes have been formed towards the wine industry and wine as a drink, which in turn create misconceptions about this traditional drink among the younger generation. Therefore, the manner of its consumption has changed and a specific segment of wine consumers has been identified.

The purpose of this work is to show and break the stereotypes that have been formed around wine over time, to see how they have changed the public's attitude towards this drink and to prove, based on the concrete examples I have assembled, that it is completely possible to develop a new concept, to see wine in a new way, to present it, " Rejuvenation" and moreover - integrating it with everyday life.

Key words: wine, stereotypes, "rejuvenation", wine drinking culture, "Mamapapuri", feasting.

მეწარმის როლი ქვეყნის განვითარებაში

მარიამ თოფურია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

21-ე საუკუნე ტექნოლოგიების ერაა. დღეს ადამიანი ვალდებულია, ტექნოლოგიების განვითარების ტემპს აჰყვეს და მისი ჩარჩოდან არ ამოვარდეს, რადგან ამოვარდნა უკუსვლას ნიშნავს, ხოლო უკუსვლა, ადამიანური რესურსების უდიდეს კონკურენციის ველზე, სახიფათოა. ადრეულ წლებსა თუ საუკუნეებში განათლების მიღება და არჩევნის გაკეთება ამა თუ იმ მეცნიერებისა თუ პროფესიის შესწავლასთან დაკავშირებით მარტივი არ იყო. ნებისმიერ პროფესიასა და მეცნიერულ განხრას უდიდესი ისტორია ახლავს. ტერმინოლოგია რომელიც ყოველი ჩვენგანისთვის ცნობილია როგორც: მენეჯერი, მეწარმე, ბიზნესი და ა.შ ეტაპობრივად ყალიბდებოდა და იღებდა დღეისთვის ჩვენთვის ჩვეულ სახეს.

დღევანდელ რეალობაში ქვეყნების დაჯგუფება თუ გამოიყვანა მრავალნაირი ინტეგრაციით შეიძლება, ყველა ქვეყანასა თუ სახელმწიფოს გააჩნია შემადგენელი ელემენტები,

როგორცაა:ერისადმი კუთვნილების აღქმას და განცდას ,ენას, ღირებულებებსა და ფასეულობებს,ქცევას: ნორმა, წესები, ტრადიციები და ჩვეულებები,სოციალური ჯგუფები, გაერთიანებები და კავშირები.ქვეყნების მთავარ განმასხვავებელ კომპონენტებად მივიჩნევთ:ეკონომიკურსა და პოლიტიკურ მდგომარეობას,სოციალურსა და სამართლებრივს.დემოგრაფიულმა აფეთქებებმა და ჭარბი ოდენობით ხალხის არსებობამ განაპირობა კონკურენციის გაჩენა,და მცნების „მდიდრისა და ღარიბის გაჩენა“. ამ ყველაფერზე დაკვირვებისა თუ კვლევების ჩატარების შემდეგ აღმოცენდა ის დებულება,რომ ტექნოლოგიურად განვითარებული ქვეყნები ეკონომიკურად ყველაზე მდგრადია,ეკონომიკას კი თავად საზოგადოება ქმნის.

რა არის ტექნოლოგია?რამ შეიძლება გვიბიძგოს იმისაკენ,რომ ადამიანმა დღევანდელობაში შექმნას იმაზე ინოვაციური პროდუქტი ვიდრე უკვე არსებული.როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ადამიანები მუდმივად უნდა განვითარდნენ და ფეხი აუწყონ ტექნოლოგიურ ცვლილებებს,წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ქვეყნის პარალიზებას გამოიწვევს.დღესდღეობით ინოვაციის შეთავაზება დაკვირვებულია გარკვეულ რესურსებთან როგორცაა სათანადო კვალიფიკაცია და ფინანსები.ადამიანები რომლებიც ქმნიან ინოვაციებს და მუდმივად ილტვიან გაუმჯობესებისაკენ,ამასთანავე იღებენ ფინანსურ სარგებელს დღეს ვიცნობთ როგორც ბიზნესმენებს.ბიზნესმენი წარმოადგენს პირს რომელსაც თავდაპირველი წყაროებიდან საქმიან ადამიანს გულისხმობდა.მრავალი შესაძლებლობა აძლევს დღევანდელ თაობას საშუალებას რომ შექმნან პროდუქტები ეგრედ წოდებული ინოვაცია,რომელიც შემდგომ გარდაიქმნება სიცოცხლისუნარიან ბიზნესად,რა საკვირველია ყველა ადამიანს არ ახლავს მეწარმედ ყოფნისთვის არსებული მახასიათებლები როგორცაა:რისკი გამწევი,დამარწმუნებელი,რესურსების მომძიებელი,დამოუკიდებლად საქმის დამწყები,გადაწყვეტილების მიმღები,შესაძლებლობების მიმართ ყურადღებიანი.გადაწყვეტილების მიღება ინდივიდუალურ თუ პარტნიორულ ბიზნესზე ადამიანს უჩნდება მაშინ როდესაც არ სურს იყოს ვიღაცის დაქვემდებარებაში,აქვს ინოვაციური იდეა რომელიც აუცილებლად გაამართლებს,მიაჩნია რომ ინდივიდუალურად იგი მეტ ფინანსურ სარგებელს მიიღებს და ეტაპობრივად ეს შემოსავალიც გაიზრდება და თითოეული მეწარმე შეძლებს ქვეყნის ეკონომიკაში თავისი წვლილის შეტანას.

The role of the entrepreneur in the development of the country

Mariam Tophuria

Georgian National University SEU

Abstract

21th century is the era of the technology. Nowadays people are obligated to not fall of the speed of the constant improvement of the technology to not fall off the border of the modern day as it means to step backwards and this could bring a danger due to the limited human resources. In early years it was

difficult to have a free word and a choice to choose your learning subject, in some countries it was almost impossible too. Terminology which is used today is easy to explain, for example manager, entrepreneur, business and this is a consequence of the long period of observation in work itself. Every term has its own history which plays a big role in making people acknowledge the use and meaning of those terms.

Nowadays we can easily separate or group up different countries according to different aspects. Every country has their own history which leaves a consequence in the modern time and lines out different things, for example, language, country needs, traditions, social groups, rules and various connections. Today we separate countries according to political and economical position, social and law norms. Overpopulated social situation made competition between entrepreneurs bigger, created a term “poor” and “rich”. After the various observations and researches there appeared a new provision, countries with better technological improvements have a better economical position and economy is based on people and the social groups of the country itself.

What is the technology? What could make us create a better product than others? As it was previously mentioned people must constantly improve and always should be caught up with the speed of the improvements in technologies. If the country does not follow the speed of improvements it could fall off the line of the improvements in economical aspects. Nowadays offering an innovational product requires knowledge of the subject and the financial resource. People who create innovations are always trying to come up with something newer than before and they are trying to bring more income too. In modern life businessman is an individual which as in earlier informations are known is the man/woman of the work. Nowadays newest resources give a chance to create innovational products which in the future would become a healthy business. Not every human has the features of the entrepreneur, for example, taking a risk, deciding a hard decision, making a research, gathering up the worthy information, paying attention to the chances. Thought of having partners in your business appears when one of the owners does not want to be under others' decision and wants to make decisions himself/herself and expects the better income individually. Every entrepreneur can partake in improving the current economical situation in the country by using the human resources given by the current accomplishments of the technological era.

წყალტუბოს ბალნეო-რეკრეაციული პოტენციალი

თათია ქერეჭაშვილი,

ანნა ხოზრევანიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

წყალტუბო ერთ-ერთი ბალნეოლოგიური კურორტია, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოში. იგი დიდი ხანია გახდა ჯანსაღი ცხოვრების სიმბოლო და აქ უამრავი

დაავადებული ადამიანი მოჰყავთ, აქედან კი ისინი გამოჯანმრთელებულები მიდიან. კურორტზე იყენებენ აბაზანის მიღების თავისებურ ტიპებს, რომლებიც მრავალი დაავადების სამკურნალოდ გამოიყენება.

80-იანი წლების ბოლოს წყალტუბო იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ადგილი მთელ საბჭოთა კავშირში და წყალტუბოს სამთავრო დასასვენებელი კურორტი ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა საქართველოში განხორციელებულმა კონფლიქტებმა, ძალიან დიდი ზიანი მიაყენა წყალტუბოს, განსაკუთრებით აფხაზეთის ომის შემდეგ. აფხაზეთის დევნილი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შესახლებულ იქნა წყალტუბოში არსებულ პანსიონატებსა და სანატორიუმებში. ძალიან ბევრი მათგანი დღესაც აგრძელებს ამ პანსიონატებსა და სანატორიუმებში ცხოვრებას, ნაწილი მათგანი განსახლებულ იქნა კერძო სექტორში. ის სანატორიუმები, რომლებიდან გამოსახლებულ იქნენ აფხაზეთის დევნილები, დღეისათვის მათი უმრავლესობა დგას ცარიელი, ინვენტორის მოლოდინში.

დღეისათვის ფუნქციონირებს მხოლოდ და მხოლოდ 2 აბანო, არსებობს შენობები, ძველი აბანოებისა, რომელიც ფუნქციონირებდა, მაგრამ ახლა არის მიტოვებული.

წყალტუბოს აქვს პოტენციალი გახდეს ისევ ისეთი პოპულარული ტურისტული ზონა.

ამისთვის საჭიროა მოვიძიოთ ინვესტორები, ავამუშაოთ ყველა წყარო რომელიც იქ მდებარეობს და ასევე მოვახდინოთ სასტუმროების კეთილმოწყობა.

Balneo-recreational potential of Tskaltubo

Tatia Keretchashvili,

Anna Khozrevanidze

Georgian National University SEU

Abstract

Tskaltubo is balneological spa-resort, located in west Georgia. It became healthy-life symbol many years already. Here are coming lots of sick people, and they're going as a recovered.

Must say that, in Tskaltubo resort use different types of bath, which are used to cure many illnesses.

In the end of 1980, Tskaltubo was one of the popular tourist destination, in whole USSR and especially, principality of Tskaltubo was favourite resort for tourists. However, in the years of independence, conflicts which held in Georgia, had damaged Tskaltubo, mostly after Abkhazian war. Most part of refugee from Abkhaz settled in Tskaltubo, they started living in the sanatoriums and in the boarding houses. As it known, most of them are continuing living there. But some of them, were evicted from boarding houses and sanatoriums and were settled in private sectors.

Nowadays, these sanatoriums which we were talking above, are empty, waiting for investors who will give them new life. But, also functioning only two baths. There are buildings of old baths, which are abandoned.

Tskaltubo has a huge potential to become famous tourist place as it was early. In order to, make it alive we need to found new investors.

Besides this, we should use springs which is located in Tskaltubo and we should make the hotels well equipped.

ადამიანური კაპიტალი და საქართველო

ნინო სამხარაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ადამიანური რესურსები ქვეყნის მწარმოებლურობის ერთ-ერთი დეტერმინანტია. მწარმოებლურობა არის ერთ სამუშაო საათში ერთი მშრომლის მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა. ადამიანური რესურსები სოციალური მეცნიერების მიერ გამოყენებული კონცეფციაა, რომელიც აღწერს წარმოების პროცესისთვის სასარგებლო პიროვნულ მახასიათებლებს. იგი მოიცავს ცოდნას, უნარებს, „ნოუ-ჰაუ“-ს, კარგ ჯანმრთელობასა და განათლებას. ადამიანურ კაპიტალს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ინდივიდუალურ გამომუშავებაზე. კვლევა აჩვენებს, რომ ამ კაპიტალში ინვესტირებას მაღალი ეკონომიკური შემოსავალი მოაქვს. გრძელვადიანი ეკონომიკური წინსვლისთვის საუკეთესოა ჯანმრთელობასა და განათლებაში ინვესტირება.

მკითხველს შესაძლებლობა ექნება, გაეცნოს საქართველოში განათლების დაფინანსებაზე გაწეული ხარჯების დინამიკას, ყველაზე მაღალ და დაბალ ხვედრით წილებს, ასევე ჯანდაცვის ხელშეწყობას, მასზე გაწეული ხარჯების ზრდის მიზეზს. ნაშრომში განხილული იქნება საქართველოს გამოწვევები ადამიანურ კაპიტალთან მიმართებაში, კადრების მაღალი დენადობის მიზეზი, საკადრო რესურსები და ხელფასი. ნაჩვენები იქნება მდგრადი განვითარების რეიტინგში საქართველოს ადგილი, კერძოდ, ხარისხიანი განათლების მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიოსა და ევროპაში.

ნაშრომის ბოლოს შემოთავაზებული იქნება რელევანტური რეკომენდაციები და რჩევები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ადამიანური რესურსების განვითარება საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ადამიანური კაპიტალი და მნიშვნელოვნება, საქართველოს გამოწვევები, რეიტინგი, რეკომენდაციები.

Human capital and Georgia

Nino Samkharadze

Georgian National University SEU

Abstract

Human capital is one of the four determinants of a nation's productivity. Productivity is the measure of output per worker per hour. Human capital is a concept used by social scientists to designate personal attributes considered useful in the production process. It encompasses knowledge, skills, know-how, good health and education. Human capital has a substantial impact on individual earnings. Research indicates that human resources investments have high economic returns. It is best to invest in health and education for long-term economic development.

Readers will have the opportunity to understand about the dynamics of expenditure on education financing, its highest and lowest ratio, also about the maintenance of health care, the reason of increased costs regarding healthcare. This paper discusses Georgia's challenges about human resources, the reason of high fluctuation movement of personnel, cadre resources and salary. Readers will learn about Georgia's position in Sustainable Development Rate regarding qualitative education in Europe and the world.

The aim of the last part of this paper is to equip the readers with relevant recommendations and advices with which it can be possible to develop human resources in Georgia.

Key words: Human capital and its importance, Georgia's challenges, ranking, recommendations.

კავშირი ორგანიზაციულ კულტურას, თანამშრომლების შრომით კმაყოფილებასა და კომპანიის წარმატებას შორის

მარიამი სირბილაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

კომპანიას წარმატებისთვის სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინება სჭირდება. ყველა მათგანის სწორად განსაზღვრა აუცილებელია, რადგან ისინი ერთმანეთს ავსებენ, რაც საბოლოოდ კომპანიას რენტაბელურს ხდის. დღეისთვის, ორგანიზაციის წარმატებული თუ წარუმატებელი საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მისი ორგანიზაციული კულტურა. ის არის ორგანიზაციის წევრების მიერ არჩეული, შექმნილი და გათავისებული ნორმების, პირობებისა და მორალური ფასეულობების ერთობლიობაა, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციულ მთლიანობას და გარემოში ადაპტაციას.

კომპანიისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია თავისი მუშახელი, ვინაიდან ისინი ახორციელებენ ორგანიზაციის საქმიანობას. ორგანიზაციული კულტურა კომპანიას ეხმარება საუკეთესო თანამშრომლების შენარჩუნებასა და მათ კეთილდღეობაზე ზრუნვაში, კარგი კულტურა ზრდის მათ შრომით კმაყოფილებას და სამუშაოსადმი ერთგულებას. საბოლოოდ კი, ეს აისახება ბიზნესის წარმატებით ფუნქციონირებაში, რადგან, როგორც ავლნიშნეთ, ეს განაპირობებს თანამშრომლების შრომითი კმაყოფილების გაუმჯობესებას.

ორგანიზაციული კულტურა ორ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორზე ახდენს გავლენას, რომლებიც მისი წარმატებისთვისაა საჭირო, ესენია: თანამშრომლების კმაყოფილება და კომპანიის ეფექტიანობა. სწორედ ეს თემა არის ნაშრომში განხილული და წარმოდგენილია წარმატებული და ძლიერი ორგანიზაციული კულტურის მქონე რამდენიმე კომპანიის კონკრეტული მაგალითები. ნაშრომის მთავარი მიზანია ორგანიზაციის კულტურას, კომპანიის წარმატებასა და თანამშრომლების შრომით კმაყოფილებას შორის დადებითი კორელაციის წარმოჩენა. ამისთვის კი წარმოდგენილია რამდენიმე უცხოელი სპეციალისტის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები.

საკვანძო სიტყვები: ორგანიზაციული კულტურა, თანამშრომლების კმაყოფილება, კომპანიის ეფექტიანობა.

The relationship between organizational culture, employee job satisfaction and company success

Mariami Sirbilashvili

Georgian National University SEU

Abstract

A company needs to consider various factors for success. Getting all of them right is essential because they complement each other, which ultimately makes the company profitable. Today, one of the important factors of successful or unsuccessful activity of an organization is its organizational culture. It is a set of norms, conditions and moral values chosen, created and adopted by the members of the organization that contribute to organizational integrity and adaptation to the environment.

For the company, its workforce is no less important, since they carry out the activities of the organization. Organizational culture helps a company retain the best employees and care for their well-being, a good culture increases their job satisfaction and commitment to work. Ultimately, this is reflected in the successful operation of the business, because, as we mentioned, it leads to an improvement in the job satisfaction of employees.

Organizational culture affects two of the most important factors that are necessary for its success: employee satisfaction and company effectiveness. It is this topic that is discussed in the paper and

specific examples of several companies with a successful and strong organizational culture are presented. The main goal of the paper is to show a positive correlation between the culture of the organization, the success of the company and the job satisfaction of the employees. For this purpose, the results of studies conducted by several foreign specialists are presented.

Key words: organizational culture, employee satisfaction, company efficiency.

ბიზნესის განვითარების ინოვაციური მეთოდები საქართველოში თანამედროვე ეკონომიკის პირობებში

ინგა ლუცენკო

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ჩემი ნაშრომი განიხილავს დღესდღეობით საქართველოში ერთ-ერთ აქტუალურ თემას, რომელიც დაკავშირებულია ინოვაციებთან და ინოვაციური მეთოდების გამოყენებასთან ბიზნესში, ბიზნესის განვითარებისთვის და კომპანიის ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, შეზღუდული რესურსებისა და თანამედროვე ეკონომიკის პირობებში.

ინოვაციებს მნიშვნელოვანი როლი აკისრია ბიზნესის მართვაში. ეს ეხება, როგორც პროდუქციის წარმოებას, ისე ბიზნეს პროცესების ორგანიზებას და ასევე სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს. ინოვაციები და ინოვაციური მეთოდების გამოყენება არის ძირითადი სტრატეგია და მამოძრავებელი ძალა საწარმოსთვის, რომელიც შეიძლება გახდეს ბიზნესისა და ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების და ზრდის ძირითადი ფაქტორი. ნებისმიერი ერის განვითარება დამოკიდებულია მისი საზოგადოების წევრების და საწარმოების ინოვაციურ შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, ის ბიზნესები ფუნქციონირებენ და წარმატებულნი არიან, რომლებიც თავისი საქმიანობის ყველა ეტაპზე ინოვაციას ნერგავენ.

მოხსენებაში აღწერილია ინოვაციების ტიპები და მეთოდები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა ზომის საწარმოში და სტარტაპებში და ასევე მათი გამოყენების სარგებელი საქართველოს ბიზნესებისთვის. ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია საქართველოში ბიზნეს ბაზარზე არსებული მდგომარეობისა და ქვეყნის ეკონომიკაზე ბიზნესის გავლენის შესწავლა. გარდა ამისა, მოხსენებაში მოცემულია საქართველოს კომპანიების და სტარტაპების მაგალითები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ინოვაციურ მეთოდებს ბიზნესის განვითარებისთვის. ნაშრომში ასევე მოყვანილია რეკომენდაციები ბიზნესში ინოვაციური მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში, მოხსენებაში მოცემულია ინფორმაცია, რომელიც შეიძლება სასარგებლო იყოს კომპანიებისთვის და მეწარმეებისთვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თავიანთი ბიზნესის განვითარებით საქართველოში.

საკვანძო სიტყვები: ინოვაციები, ინოვაციური მეთოდები, თანამედროვე ეკონომიკა, ბიზნესის განვითარება, საქართველოს ბიზნეს ბაზარი.

Innovative methods of business development in Georgia in the conditions of modern economy

Inga Lutsenko

Georgian National University SEU

Abstract

My paper discusses one of the current topics in Georgia today, which is related to innovation and the use of innovative methods in business, for business development end to improve the economic situation in the company, in the conditions of limited resources and modern economy.

Innovation plays an important role in business management. This applies both to the production of products and the organization of business processes, as well as other important aspects. Innovations and the use of innovative methods are the main strategy and driving force for the enterprise, which can become the main factor for business and the country's economy sustainable development and growth. The development of any nation depends on the innovative capacity of its society members and enterprises. Hence, they businesses function and are successful, who introduce innovation at all stages of their activity.

The report describes the types and methods of innovation, that can be used in of all size enterprises and startups, as well as the benefits of using them for Georgian businesses. Also, the most important aspect is the study of the current situation in the business market in Georgia and the impact of business on the country's economy. In addition, the report provides examples of Georgian companies and startups that successfully use innovative methods for business development. The paper also is cited recommendations regarding the use of innovative methods in business.

Finally, the report provides information, that may be useful for companies and entrepreneurs interested in developing their business in Georgia.

Keywords: innovations, innovative methods, modern economy, business Development, Georgian business market.

ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკა და განვითარების პერსპექტივები საქართველოში

დაჩი ჩხარტიშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ტურიზმს თვლის ქვეყნის განვითარების სტრატეგიის მნიშვნელოვან და განუყოფელ ნაწილად. საქართველოს რესურსული პოტენციალიდან გამომდინარე პრიორიტეტულია ტურიზმის განვითარება. საქართველოს პრიორიტეტული ამოცანაა მსოფლიო ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება, მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, ეფერქტური პოლიტიკის დაგეგმვა, ინვესტიციების ზრდა და ტურიზმის დარგის სტაბილური განვითარება.

ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ორიენტირების გაანალიზება, მდგრადი განვითარების პრინციპების საფუძველზე ეთიკურ ჩარჩოში მოქცეული მოქმედებების, მიმართულებების, დირექტივების, პრინციპების და პროცესების ერთობლიობის გაანალიზება. მიზნიდან გამომდინარე კვლევის ამოცანებია განვიხილოთ, როგორ მიაღწიოს სასურველ შედეგს საქართველომ, რას გულისხმობს სახელმწიფოს ჩართულობა, ტურიზმის სტიმულირება, სტრატეგიული პრიორიტეტების განსაზღვრა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე, აღწევს თუ არა ხელისუფლება დასახულ მიზნებს, სტრატეგიული ამოცანების შესრულებას და. ა. შ.

ტურიზმისა და მასპინძლობის ინდუსტრიის განვითარების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: მნიშვნელოვანია ბუნებრივი გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ეკონომიკური შეფასება, მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება, მარკეტინგული ანალიზი და სტრატეგიების გამოყენება, კვლევების ჩატარება და ტურიზმის სატელიტური ანგარიშების შექმნა, ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების გაზრდა, ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციო-კულტურული, ეკონომიკური ზეგავლენის შესწავლა. ქვეყანამ უნდა გამოიყენოს რეგიონული ჰაბის ფუნქცია. ტურიზმის შესახებ შემუშავდეს ახალი კანონები, ვინაიდან ძველი ვერ ჭრის დღევანდელ პრობლემებს და ახალ გამოწვევებს. ამდენად, მნიშვნელოვანია ყველა იმ ელემენტების გათვალისწინება, რომელიც პირდაპირ და ირიბ გავლენას ახდენს ტურიზმის ინდუსტრიაზე.

Tourism state policy and its development prospects in Georgia

Dachi Chkhartishvili

Georgian National University SEU

Abstract

Tourism is considered as a significant and integral part of the strategic development in a number of countries. Considering the range of resource potential of Georgia, the development of tourism is of paramount importance. Some of the priorities of Georgia are to establish a proper rank in the world market, plan an efficient policy, increase investments and sustainably develop a field of tourism.

The subject of study of the work is to determine the orientation of the development of tourism policy and analyse the whole set of ethically justified actions, directions, guidelines, principles and processes based on the sustainable development fundamentals. Proceeding from the subjects of the study, we will discuss how Georgia is supposed to achieve desirable outcomes, what state involvement, promoting tourism and determining strategic priorities on a national and regional level imply and whether the government is capable of reaching the set goals and performing strategic tasks and etc.

As a result of the analysis of the development of tourism and hospitality industries, the following aspects can be observed: A matter of utmost importance is to perform an economic assessment of tourist and recreational potential of the environment, consider the aims of sustainable development, perform a market and strategic analysis and its application, conduct research and create tourism satellite accounts, improve business environment, increase foreign and local investments, develop infrastructure and study the socio-economic impacts. It is highly recommended that the country serve the function of a regional hub. New laws on tourism should be passed as the old ones cannot solve current problems and deal with new challenges. Therefore, it is crucial to foresee all the aspects that have a direct or indirect effect on the industry of tourism.

ჩატბოტები და ციფრული მარკეტინგი: როგორ ცვლის AI ინდუსტრიას

მარიამ ლურჯუაია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ჩატბოტები არის ხელოვნური ინტელექტის პროგრამები, რომლებიც ახდენენ ადამიანთა საუბრის სიმულაციებს. ბოლო წლებში, ხელოვნური ინტელექტის პროგრამები სულ უფრო პოპულარული ხდება ციფრულ მარკეტინგში. ჩატბოტებს შეუძლიათ დაეხმარონ ბიზნესებს გააუმჯობესონ მომხმარებლების გამოცდილება, გაზარდონ მათი ჩართულობა და გაამარტივონ გაყიდვების პროცესები. მოცემული სტატია იკვლევს სწორედ იმ გზებს, რომლითაც ჩატბოტები

გარდაქმნიან ციფრული მარკეტინგის ინდუსტრიას, მათ შორის მათ გამოყენებას მომხმარებელთა მომსახურებისა და მხარდაჭერის, გაყიდვების, პერსონალიზაციისა და მონაცემთა ანალიტიკის სფეროებში. გარდა ამისა, ნაშრომში მოყვანილია კომპანიების მაგალითები, რომლებიც წარმატებით იყენებენ ჩატბოტებს თავიანთ მარკეტინგულ სტრატეგიაში და ამავდროულად განიხილავს ჩატბოტების პოტენციალს ციფრული მარკეტინგის მომავლის ფორმირებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ჩატბოტები, ხელოვნური ინტელექტი, ციფრული მარკეტინგი.

Chatbots and Digital Marketing: How AI is Transforming the Industry

Mariam Ghurtskaia

Georgian National University SEU

Abstract

Chatbots are artificial intelligence programs that simulate human conversation. In recent years, they have become increasingly popular in digital marketing. Chatbots can help businesses improve customer experience, increase engagement, and streamline sales processes. This article explores the ways in which chatbots are transforming the digital marketing industry, including their use in customer service and support, sales, personalization, and data analytics. Additionally, it provides examples of companies successfully implementing chatbots in their marketing efforts and discusses the potential for chatbots to shape the future of digital marketing.

Keywords: Chatbots, artificial intelligence, digital marketing.

სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება ქართულ ბიზნესში

მარიამი გულიტაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში კომპანიების ზრდა-განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვნად დაწინაურდა სოციალური პასუხისმგებლობის როლი ბიზნეს სექტორში. კომპანიების უმრავლესობა სოციალურ პასუხისმგებლობას იყენებს, როგორც „იარაღს“ სხვა კონკურენტ კომპანიებთან საბრძოლველად. დღესდღეობით სულ უფრო მეტი ორგანიზაცია ერთვება სოციალური პასუხისმგებლობის კამპანიაში და ქართული ბიზნესებიც ცდილობენ მიჰყვნენ ამ ტენდენციას.

აღნიშნული თემის მთავარი მიზანია თვალნათლივ წარმოაჩინოს რა ხდება დღესდღეობით ქართულ ბიზნესში და როგორ იყენებენ ორგანიზაციის მმართველები პრაქტიკაში სოციალურ პასუხისმგებლობას. ნაშრომის შესავალში განხილულია ტერმინი სოციალური პასუხისმგებლობა და ასევე ასახულია მისი კავშირი მდგრად განვითარებასთან.

ძირითად საკვლევ კითხვას წარმოადგენს, თუ როგორია დღევანდელი რეალობა ქართულ ბიზნესში სოციალურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და როგორ იყენებენ ისინი ამ „იარაღს“ მომხმარებელთა მოზიდვისთვის. მოყვანილია შესაბამისი მაგალითები თემასთან დაკავშირებით და გამოკითხვის საფუძველზე იმ ადამიანების სტატისტიკა თუ რამდენად იცნობენ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობის შედეგებს.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ ეს თემა საქართველოში 2007 წლიდან გააქტიურდა. გასული პერიოდისგან განსხვავებით კი დღესდღეობით უფრო და უფრო იზრდება ცნობადობა ამ საკითხთან დაკავშირებით.

Development of social responsibility in Georgian Business

Mariami Gulitashvili

Georgian National University SEU

Abstract

Along with the growth and development of companies in the modern world, the role of social responsibility in the business sector has significantly advanced. Most companies use social responsibility as a "weapon" to fight other competing companies. Nowadays, more and more organizations are involved in social responsibility campaigns, and Georgian businesses are also trying to follow this trend.

The main goal of the topic is to clearly show what is happening in Georgian business today and how the managers of the organization use social responsibility in practice. In the introduction of the paper, the term social responsibility is discussed and its connection with sustainable development is also outlined.

The main research question is what is the current reality in Georgian business regarding social responsibility and how they use this "weapon" to attract customers. Relevant examples related to the topic and based on the survey statistics of people familiar with the company's social responsibility results are given.

The novelty of the research lies in the fact that this topic has been active in Georgia since 2007. Unlike in the past, nowadays awareness about this issue is increasing increasingly.

სამედიცინო ტურიზმის პოტენციალი საქართველოში

ლუკა ჭანტურია,

ანა მურღული

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო და უფრო მოთხოვნადი ხდება ტურიზმის ისეთი ფორმები, რომლებიც არა მხოლოდ დასვენებას, არამედ ადამიანების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას უკავშირდება. ერთ-ერთი ასეთი მიმართულება არის სამედიცინო ტურიზმი, რომლის დროსაც ადამიანები მოგზაურობენ სამედიცინო დახმარების მისაღებად.

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს პოტენციალი სამედიცინო ტურიზმის ბაზარზე და მისი რელევანტურობა კავკასიის რეგიონში. გარდა ამისა, განხილულია ისეთი დარგები, როგორცაა ფაგებით მკურნალობა, პლასტიკური ქირურგია, სტომატოლოგია და სხვა მიმართულებები, რომლებშიც საქართველო არის კონკურენტუნარიანი მსოფლიო ტურისტულ ბაზარზე. აქედან გამომდინარე, განხილულია სამედიცინო ტურიზმის განვითარების პერსპექტივები ახლო და შორეულ მომავალში.

ჩვენი მიზანია, ამ ნაშრომით ვაჩვენოთ, რომ საქართველოს გააჩნია ის რესურსული პოტენციალი, რომელიც საჭირო არის ისეთი თანამედროვე და მოთხოვნადი დარგის, როგორცაა სამედიცინო ტურიზმი, განვითარებისთვის.

საკვანძო სიტყვები: სამედიცინო ტურიზმი, ფაგებით მკურნალობა, ტურისტული პროდუქტი.

The potential of medical tourism in Georgia

Luka Tchanturia,

Ana Murguli

Georgian National University SEU

Abstract

In today's world many forms of tourism are not just focused on relaxation and rest but also on improving one's health. One of them is medical tourism. During such trips people travel to get medicinal help.

In this paper we discuss Georgia's potential in medical tourism market as well as its relevancy in the Caucasus region. The research also touches the subjects of our country's strong sides such as treatment with phages, plastic surgery and stomatology in the scope of tourism development prospects for the near and distant future.

Our goal with this project is to show that Georgia has enough resources and potential to develop a modern and demanded service such as medical tourism.

Keywords: Medical tourism, phage treatment, tourism product.

სოციალური მეცნიერებები

კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში

მარიამ თავბერიძე,

მარიამ ვირსალაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ჩვენს საკონფერენციო თემაში წარმოდგენილია „კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“, რომლებიც სოციალიზმის ნგრევამ და პოსტსაბჭოთა სივრცეში ახალი სუვერენული სახელმწიფოების აღმოცენებამ გამოიწვია, უშუალოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში თავისი სიმწვავითა და დამანგრეველი შედეგებით, განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ კავკასიის რეგიონში განვითარებული მოვლენები, კერძოდ აქცენტი გაკეთებული იქნება სომხურ-აზერბაიჯანული შეიარაღებული დაპირისპირების შესახებ მთიანი ყარაბაღის გამო, აგრეთვე საქართველოს კონფლიქტები აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში. ამასთან ერთად იგი მიმოიხილავს მათი გამწვავების სახეებს და გავლენას რეგიონულ სტაბილურობაზე.

ნათელია რომ პოსტსაბჭოთა სივრცის შესაბამისი საფრთხეები გამოწვეული იყო გარე ძალების გამიზნული ქმედებებითა და ჩარევით, რათა დაესუსტებინათ რეგიონის ქვეყნები და შესაბამისად ჰქონოდათ ფეხის მყარად მოკიდების საშუალება, ამ პროცესში „ლომის წვლილი“ რათქმუნდა რუსეთს მიუძღვის, რომელიც ცდილობს საკუთარი პოზიციების აღდგენას. პოსტსაბჭოთა სივრცეში სამხრეთ კავკასია იმით გამოირჩევა, რომ პატარა გეოგრაფიულ სივრცეში სამი კონფლიქტია, რომელის მოგვარება დღემდე ვერ ხერხდება და ამიტომაც „გაყინულ კონფლიქტებად“ მიიჩნევა, თუმცა, სიტუაცია უმეტესად ცვალებადია. რუსეთი პერიოდულად ცდილობს პრობლემების შექმნას ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევით, ადამიანების გატაცებით თუ სხვა მცდელობებით. ამიტომაც, ძალიან მნიშვნელოვანია რომ განისაზღვროს ის საფრთხეები რაც ამ კონფლიქტებთან არსებობს.

საქართველოს მაგალითზე მსჯელობისას შეგვიძლია ვთქვათ რომ მას აქვს ეთნიკური საფუძველი, საკითხს ამწვავებს ისიც, რომ წლების განმავლობაში არ ჩანდა ამ პრობლემის მოგვარების სურვილი, ამიტომაც ერთი მხარის სურვილი არ არის საკმარისი და საჭიროა ორივე მხარის ჩართულობა, რათა არ შემცირდეს ეთნიკური ასპექტის მნიშვნელობა, რაზეც სულ უფრო ნელდება საუბარი. ის, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას აქვს მხოლოდ რუსული და თუნდაც მხოლოდ ფორმალური აღიარება, მათ აძლევთ განცდას, რომ ქართულ მხარესთან სალაპარაკო არაფერი აქვთ, რაც ამ კონფლიქტებს უფრო მეტად ამწვავებს.

ამ პრობლემას კი შესაძლოა, ისიც ამძაფრებდეს, რომ დღეს ქართულ, ოკუპირებულ აფხაზეთურ და ოსურ მხარეებს ერთმანეთთან პირისპირ საუბრის საშუალება არა აქვთ. საინტერესოა

გაირკვეს, ვინ უწყობს ხელს კონფლიქტის მხარეების დაახლოებას და ვინ პირიქით, მათ კიდევ უფრო დაშორებას და დაპირისპირებას.

ჩვენი მიზანია პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებისა და უსაფრთხოების მნიშვნელობის განსაზღვრა, წარმატებული მოლაპარაკებების წარმოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობის მნიშვნელობის გამოვლენა და შესაბამისი სამომავლო პერსპექტივებისა და კონფლიქტების გადაჭრის გზების ჩამოყალიბება.

Conflicts in the South Caucasus

Mariam Tavberidze,

Mariam Virsaladze

Georgian National University SEU

Abstract

The topic of our conference is "Conflicts in the South Caucasus", which were caused by the collapse of socialism and the emergence of new sovereign states in the post-Soviet space, directly in the post-Soviet space with their intensity and devastating consequences, especially the developments in the South Caucasus region, in particular, the emphasis will be on the Armenian-Azerbaijani armed conflict over Nagorno-Karabakh, as well as Georgia's conflicts in Abkhazia and Tskhinvali region (former South Ossetia Autonomous Oblast), it discusses the types of their escalation and their impact on regional stability.

It is clear that the corresponding threats in the post-Soviet space were caused by the deliberate actions and interventions of external forces to weaken the countries of the region and therefore have the means to gain a firm footing and the lion's share in this process, of course, goes to Russia, which is trying to restore its own positions. In the post-Soviet space, the South Caucasus is distinguished by the fact that in a small geographical area there are three conflicts that cannot be resolved to this day, and that is why they are considered as "frozen conflicts", although the situation is mostly changing. Russia periodically tries to create problems with the so-called By pushing the administrative border, abducting people or other attempts. Therefore, it is very important to determine what threats exist in relation to these conflicts.

When discussing the example of Georgia, we can say that it has an ethnic basis, the issue is aggravated by the fact that for years there was no mutual desire to solve this problem, one-sided initiative and the involvement of both parties to resolve the conflict isn't the same. The discussion between the conflicting parties are necessary in order not to diminish the importance of the ethnic aspect, which is being talked about less and less. The fact that there is only Russian and even only formal recognition on the territory

of Abkhazia and South Ossetia gives them the feeling that they have nothing to talk about with the Georgian side, which exacerbates these conflicts.

This problem can be aggravated by the fact that today the Georgian, Abkhazian and Ossetian sides do not have the opportunity to talk to each other face to face.

Our aim is to define the significance of post-Soviet conflicts and security, to highlight the importance of successful negotiations and engagement of the international community, and to identify relevant future perspectives and ways of conflict resolution.

იდენტობათა კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში და რეგიონის სახელმწიფოთა ინტეგრაციის პრობლემები ევროპულ სტრუქტურებში

თეონა ლეჟავა

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია იკვლევს სამხრეთ კავკასიაში იდენტობათა კონფლიქტების პრობლემას და მის გავლენას რეგიონის სახელმწიფოების ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესზე. გაანალიზებულია რეგიონში იდენტობათა კონფლიქტების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი ფაქტორები. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ევროპულ სტრუქტურებში (ევროკავშირი, ნატო) ინტეგრაციის პროცესის საკითხებსა და წინააღმდეგობებს, რომლებიც ძირითადად რეგიონში არსებული იდენტობათა კონფლიქტებით არის გამოწვეული. პოსტკომუნისტური საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული იდენტობები ჩამოყალიბებულია წინა გამოცდილების გათვალისწინებით ტრადიციული ღირებულებების ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებთან დაპირისპირების ვითარებაში. ეს პროცესი ერთდროულად მიმდინარეობდა სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროებში წარმოქმნილ ეთნიკურ და იდენტობათა კონფლიქტებთან. ამის გათვალისწინებით, წარმოიშვა თანამშრომლობისა და დიალოგის დამყარების, საერთო მიზნებისა და ღირებულებების კოორდინაცია, კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების გზების შემუშავება, რეგიონში ინტეგრაციული პროექტების შემუშავება, რათა თავიდან ავიცილოთ სახელმწიფოს დაშლა და ვუზრუნველვყოთ ფორმირება სტაბილური და ჰარმონიული საზოგადოებისთვის. სტატიის დასკვნა არის ის, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში იდენტობათა კონფლიქტების მოგვარება დიდად არის დამოკიდებული სახელმწიფოს პრაგმატულ მიდგომაზე დაფუძნებული ეროვნული იდეის ჩამოყალიბებაზე ეროვნული განვითარებისადმი, რაც გულისხმობს კულტურული, იდეოლოგიური და პოლიტიკური გათვალისწინებას და მხარდაჭერას. მრავალმხრივობა.

საკვანძო სიტყვები: იდენტობათა კონფლიქტები; ინტეგრაცია; რეგიონული ინტეგრაცია; სამხრეთ კავკასია; ევროკავშირი; ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი.

Conflicts of Identities in the South Caucasus and Problems of Integration of the States of the Region into European Structures

Teona Lezhava

Caucasus International University

Abstract

This article studies the problem of conflicts of identities in the South Caucasus and its influence on the process of integration of the states of the region into European structures. The main factors of formation and development of conflicts of identities in the region are analyzed. Special attention is paid to the issues and contradictions of the process of integration of the states of South Caucasus into European structures (EU, NATO), which are mainly caused by the conflicts of identities existing in the region. The national identities of post-communist Georgia, Armenia and Azerbaijan are formed with account for the previous experience in the situation of opposition of traditional values to liberal and democratic values. This process took place simultaneously with the arisen ethnic conflicts and conflicts of identities in the social, cultural, economic, political and other spheres. In view of this, there arose the necessity to build cooperation, seek a dialog, coordinate common goals and values, develop ways of peaceful settlement of conflicts, develop integration projects in the region in order to avoid dissipation of the state and to ensure formation of a stable and harmonious society. The conclusion of the article is that the settlement of the conflicts of identities in the South Caucasus region greatly depends on formation of a national idea based on pragmatic approach of the state to national development, which assumes taking into account and supporting cultural, ideological and political versatility.

Keywords: Conflicts of identities, Integration, Regional integration, South Caucasus, European Union, Ethnopolitical conflict.

ბოროდინოს ბრძოლა, საუკუნოდ გაწეული ერთ დღიანი ომი

ლიზი ლაზარიაშვილი,

რევაზი ნიკოლეიშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

1812 წელს ბოროდინოს ბრძოლა არის ბრძოლა, რომელიც გაგრძელდა მხოლოდ ერთ დღეს, მაგრამ შემონახულია პლანეტის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან მსოფლიო მოვლენებს შორის. ნაპოლეონმა მიიღო ეს დარტყმა, იმ იმედით, რომ სწრაფად დაიპყრო რუსეთის იმპერია, მაგრამ მისი გეგმები განზრახული არ იყო. ითვლება, რომ ეს იყო ბოროდინოს ბრძოლა, რომელიც გახდა პირველი ეტაპი ცნობილი დამპყრობლის დაცემისას.

საკონფერენციო მოხსენებაში განხილულია 1812 წლის ბოროდინოს სისხლიანი ბრძოლა, რომელიც რუსი გენერლების მიერ გამოყენებული ტაქტიკის ნაწილი გახდა. მათ მცირე ბრძოლებით დაასუსტეს მტრის ჯარი, გადამწყვეტი დარტყმის მოლოდინში. ეს იყო დრო, როდესაც ბონაპარტის ჯარებმა უკვე მოახერხეს თითქმის მთელი კონტინენტური ევროპის დამორჩილება, იმპერატორის ძალაუფლება აფრიკამდეც კი ვრცელდებოდა. ის თავად ხაზს უსვამდა ახლობლებთან საუბარში, რომ მსოფლიო ბატონობის მოსაპოვებლად მას მხოლოდ რუსული მიწების კონტროლი უნდა მოეპოვებინა. რუსეთის ტერიტორიის დასაპყრობად მან შეკრიბა ჯარი, რომლის რაოდენობა დაახლოებით 600 ათასი ადამიანი იყო. ჯარი სწრაფად მიიწვედა ღრმად სახელმწიფოში. თუმცა, ნაპოლეონის ჯარისკაცები, ერთმანეთის მიყოლებით, დაიღუპნენ გლეხური მილიციის დარტყმის შედეგად, მათი ჯანმრთელობა გაუარესდა უჩვეულოდ რთული კლიმატისა და ცუდი კვების გამო. მიუხედავად ამისა, ჯარების წინსვლა გაგრძელდა, ფრანგების მიზანი იყო დედაქალაქი.

ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულია თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტი, როგორცაა შინაარსობრივი ანალიზი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, მრავალფეროვანი სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე სიღრმისეულად შევისწავლოთ საკვლევი საკითხი.

ამგვარად, ბრძოლა, რომელიც 7 სექტემბერს დილის ხუთის ნახევარზე დაიწყო, დღეზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. რა თქმა უნდა, ეს იყო ყველა ხანმოკლე ბრძოლას შორის ყველაზე სისხლიანი. ისტორიკოსებმა დაღუპულთა ზუსტი რაოდენობა ვერ დაადგინეს, ორივე მხრიდან 80-100 ათასს უწოდებენ. გაანგარიშება აჩვენებს, რომ ყოველ წუთში სულ მცირე ასი ჯარისკაცი იგზავნებოდა შემდეგ სამყაროში.

საკვანძო სიტყვები: სისხლიანი ბრძოლა, ერთ დღიანი ომი, წუთში ასი ჯარისკაცი, ტაქტიკის ნაწილი, რუსული ტაქტიკა.

Battle of Borodino, a one-day war that lasted forever

Lizi Lazariashvili,

Revazi Nikoleishvili

Georgian National University SEU

Abstract

The Battle of Borodino in 1812 is a battle that lasted only one day, but is considered one of the most important world events in the history of the planet. Napoleon accepted this blow, hoping to quickly conquer the Russian Empire, but his plans did not go as intended. It is believed that it was the Battle of Borodino, which became the first stage in the fall of the famous conqueror. The conference report discusses the bloody battle of Borodino in 1812, which became part of the tactics used by Russian generals. They weakened the enemy's army with small battles, waiting for a decisive blow. It was a time when Bonaparte's troops had already managed to subjugate almost all of continental Europe, the emperor's power even extending to Africa. He himself emphasized in a conversation with his relatives that in order to gain world domination, he had to gain control of Russian lands. To conquer the territory of Russia, he gathered an army, the number of which was about 600 thousand people. The army was rapidly advancing deep into the state. However, Napoleon's soldiers, one after another, died from the blows of the peasant militia, their health deteriorated due to the unusually difficult climate and poor nutrition. Nevertheless, the advance of the troops continued, the objective of the French was the capital. While working on the paper, a qualitative research tool, such as content analysis, was used, which allows us to deeply study the research question based on a variety of scientific literature. Thus, the battle, which began at half past five in the morning on September 7, lasted less than a day. Of course, it was the bloodiest among all short battles. Historians have not determined the exact number of dead, they say 80-100 thousand on both sides. The calculation shows that every minute at least a hundred soldiers were sent to the next world.

Keywords: bloody battle, one-day war, one hundred soldiers per minute, part of tactics, Russian tactics.

კარიბის რევოლუცია და კრიზისი

თამთა ყალაბეგაშვილი,

გვანცა ცანავა

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

„ცივი ომი“ (1947-1991) კაცობრიობის ისტორიაში ერთერთ სისხლისმღვრელ პერიოდად გვევილენაბა. ყველა იმ კონფლიქტებიდან რომელიც ამ ომის დროს მსოფლიომ გადაიტანა ყველაზე მნიშვნელოვანია კარიბის კრიზისი. ეს არის პერიოდი, როდესაც მსოფლიო დადგა იმის წინაშე, რომ შეიძლებოდა დაწყებულიყო ბირთვული ომი. უშუალოდ ამ კრიზისს წინ უსწრებდა კუბის რევოლუცია.

1952 წლის 11 მარტს კუბაზე მოხდა სამხედრო გადატრიალება და კუბის სათავეში მოვიდა დიქტატორი ფულხენსიო ბატისტა, რომელმაც „მოიწვია“ ამერიკული შავი ფული და კუბა გადააქცია მილიონერების სამეფოდ. ამერიკული კაპიტალი ბატონობდა ტურიზმის და მომსახურეობის სფეროშიც. ყველა კმაყოფილი იყო ამერიკელების ჩათვლით, თუმცა გამოჩნდნენ რევოლუციონერები ფიდელ კასტროს მეთაურობით, რომლებიც უკამყოფილონი იყვნენ კუბაში შექმნილი ვითარებით.

ფიდელ კასტრომ თავის მიზნად დაისახა ბატისტას ჩამოგდება და 1953 წლის 26 ივლისს მონკადას სამხედრო ბაზაზე მიიტანეს სამხედრო იერიში, მაგრამ წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან ფიდელ კასტრო შეიბყრეს და 15 წელი ციხე მიუსაჯეს. მაგრამ ბატისტამ კასტრო გადაასახლა მექსიკაში 1955 წელს. კასტრომ იქ ჩამოაყალიბა „26 ივლისის მოძრაობა“ და მალევე გაიცნო ერნესტო ჩეგევარა. გადაწყვიტეს, რომ ერთად დაბრუნებულიყვნენ კუბაში და კუბის რევოლუციაში მიეღოთ მონაწილეობა. მათ ორი წელი მოანდომეს ბატისტას ჩამოგდებას.

კასტრო 1 იანვარს შედის ჰავანაში წარმატებულად, ბატისტა გაიქცა. ფიდელ კასტრომ დემოკრატიული არჩევნები არ ჩაატარა და საკუთარი თავი გამოაცხადა დიქტატორად (1959 წ.), რასაც მოჰყვა დიდი უკმაყოფილება ხალხისგან. მან გააუქმა 1940 წლის კონსტიტუცია და გამოაცხადა ნაციონალიზაცია, ამერიკელებმა ფული დაკარგეს.

ეიზენჰაუერმა დაიწყო ოპერაცია რომელიც ჩამოაგდება ფიდელ კასტროს. ეს იყო 1400 კაციანი დესანტი კუბიდან გამოქცეულებისგან შემდგარი. 1960 წელს მოვიდა ახალი პრეზიდენტი ჯონ კენედი. კენედიმ ეს ოპერაცია 61 წელს განახორციელა, 1400 კაციდან 1173 კაცი ტყვედ ჩაუვარდათ კუბელებს. ეს ტყვეები წამლებში, საჭმელში და სხვადასხვა ნივთებში გაუცვალა ფიდელ კასტომ კენედს. კასტრომ თავისი ხალხის დასაფლავებაზე (160 კაცი დაელუპაოთ კუბელებს) გამოაცხადა რომ აშშ იყო ნომერ პირველი მტერი კუბისთვის და რომ იგი გადადიოდა მოსკოვის მხარეს.

1959 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთსა და იტალიაში განალაგებს ბირთვული რაკეტები, რომელიც უშუალოდ დაემუქრა საბჭოთა კავშირის სამხრეთ რეგიონებს, განსაკუთრებით თურქეთი იყო ის ტერიტორია, რომელიც საფრთხეს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირისათვის. საბჭოთა კავშირს „მხსნელად“ მოევიდნა კუბა, რომლებიც ამერიკელებზე იყო განაწყენებული. 1962 წლის მაისში ამუშავდა ეგრედწოდებული ანადირის გეგმა და 91 ბირთვული რაკეტა საშუალო და ახლო სიშორის განალაგეს კუბაზე. 1962 წლის 16 ოქტომბერს მოიწვიეს ექსტრემალური კომისია, რომელსაც უნდა დაედგინა თუ რა გზას უნდა დადგომოდა ამერიკის შეერთებული შტატები. კომისიაზე გადაწყვიტეს კუბის ბლოკადაში მოქცევა, იმისათვის რომ აეძულებინათ კუბისა და საბჭოთა კავშირის ხელისუფლება რაკეტები გაეყვანათ, ეს იყო ყველაზე უსაფრთხო ქმედება და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ეს ვარიანტი აარჩია.

22 ოქტომბერს, 200 გემი დაიძრა, 180000 ქვეითი, 1100 თვითმფრინავი და დაიწყო კუბის ბლოკადა. ამაზე საბჭოთა კავშირმა პროტესტი გამოთქვა და დაიძრა მათი ფლოტიც კუბისაკენ. ამერიკელებმა მაინც არ მოხსნეს ეს ბლოკადა. ინტენსიური მოლაპარაკებების შედეგად შედგა შეთანხმება აშშ-ს პრეზიდენტ ჯონ კენედისა და საბჭოთა კავშირის პრემიერ ნიკიტა ხრუშჩოვის შორის. შეერთებული შტატები დათანხმდა საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ არ შეიჭრებოდა კუბაში და, სანაცვლოდ, საბჭოთა კავშირი დათანხმდა კუბადან მისი რაკეტების ამოღებას. შეერთებული შტატები პირადად დათანხმდა თურქეთიდან იუპიტერის რაკეტების ამოღებას, რომლებიც საბჭოთა კავშირისთვის სტრატეგიულ საფრთხედ განიხილებოდა.

საკვანძო სიტყვები: ცივი ომი, ბირთვული ომი, კუბის კრიზისი, საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, რევოლუცია, დიპლომატია, წითელი ტელეფონები, ცხელი ხაზი.

Caribbean revolution and crisis

Tamta Kalabegashvili,

Gvantsa Tsanova

Georgian National University SEU

Abstract

"Cold War" (1947-1991) is one of the bloodiest periods in the history of mankind. Of all the conflicts that the world went through during this war, the Cuban Missile Crisis is the most important. This is the period when the world faced the possibility of a nuclear war. This crisis was immediately preceded by the Cuban revolution.

On March 11, 1952, a military coup took place in Cuba and dictator Fulgencio Batista came to the head of Cuba, who "invited" American black money and turned Cuba into a kingdom of millionaires. American capital dominated in the field of tourism and services. Everyone was happy, including the

Americans, but revolutionaries led by Fidel Castro appeared who were unhappy with the situation in Cuba.

Fidel Castro made it his goal to overthrow Batista, and on July 26, 1953, a military raid was carried out on the Moncada military base, but it failed, as Fidel Castro was caught and sentenced to 15 years in prison. But Batista exiled Castro to Mexico in 1955. Castro formed the "July 26 Movement" there and soon met Ernesto "Che" Guevara. They decided to return to Cuba together and participate in the Cuban Revolution. They will have two years to overthrow Batista.

Castro successfully enters Havana on January 1, Batista flees. Fidel Castro did not hold democratic elections and declared himself a dictator (1959), which resulted in great resentment from the people. He repealed the 1940 constitution and declared nationalization, Americans lost money.

Eisenhower launched an operation to overthrow Fidel Castro. It was a landing of 1400 people consisting of refugees from Cuba. In 1960, a new president, John F. Kennedy, arrived. Kennedy carried out this operation in 1961, 1173 out of 1400 men were captured by the Cubans. These captives were exchanged for medicine, food and other things by Fidel Castro Kennedy. At the burial of his people (160 Cubans died), Castro announced that the US was Cuba's number one enemy and that it was moving to Moscow's side.

In 1959, the United States of America deployed nuclear missiles in Turkey and Italy, which directly threatened the southern regions of the Soviet Union, since Turkey was the area that posed a threat to the Soviet Union. Cuba appeared as a "savior" to the Soviet Union, who were upset with the Americans. In May 1962, the so-called Anadir Plan was launched and 91 medium- and short-range nuclear missiles were deployed over Cuba. On October 16, 1962, an extreme committee was convened to determine what path the United States of America should take. The commission decided that embargoing Cuba in order to force the Cuban and Soviet governments to withdraw the missiles was the safest course of action, and the United States chose this option.

On October 22, 200 ships, 180,000 infantry, 1,100 aircraft embarked and the blockade of Cuba began. The Soviet Union protested and sent their fleet to Cuba. The Americans still did not lift this blockade. As a result of intense negotiations, an agreement was reached between US President John Kennedy and Soviet Premier Nikita Khrushchev. The United States agreed to publicly declare that it would not invade Cuba, and in return, the Soviet Union agreed to remove its missiles from Cuba. The United States privately agreed to remove Jupiter missiles from Turkey, which were considered a strategic threat to the Soviet Union.

Keywords: Cold War, Nuclear war, The Cuban crisis, Soviet Union, United States of America, Revolution, Diplomacy, Red telephones, Hot line.

სკანდინავიური სოციალიზმი სოციალ-დემოკრატიული მმართველობის სისტემაში

დალი ადუაშვილი,

ანნა ოქროპირიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

სოციალ-დემოკრატიულ მმართველობას ბევრი განმასხვავებელი ინტერპრეტაცია გააჩნია. თუმცა ძირითადად იგი ლიბერალური დემოკრატით განისაზღვრება, რაც ღირებულებების ისეთ სისტემას წარმოადგენს, სადაც მთავარი პრინციპი ადამიანების უფლებების დაცვა, თანასწორობა და შესაძლებლობების თანაბარ ხელმისაწვდომობას გულისხმობს. დღესდღეობით ის მემარცხენე-ცენტრისტული იდეოლოგიაა თუმცა მისი ფესვები ჯერ კიდევ ორთოდოქსულ მარქსიზმს უკავშირდება, რომლის იდეოლოგია მე-19 საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსის კარლ მარქსის სახელთან ასოცირდება. ის რევოლუციის გზით სოციალისტური მმართველობის დამყარებასა და კლასთა შორის ბრძოლის იდეებზე საუბრობდა, სადაც ტრადიციულ კაპიტალიზმს მთავარ მტრად მიიჩნევდა. მარქსი რადიკალური ზომებით მის სრულად გაქრობას ქადაგებდა. ეს იდეები 1875 წელს გერმანიაში დაარსებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თავის იდეოლოგიად და პრიმატად აღიარა. პარალელურად გაჩნდა რადიკალური ფრთაც - კომუნისტები, რომლებიც პროლეტარიატის დიქტატურას და კაპიტალიზმის მარცხს სკანდირებდნენ. თანამედროვე სოციალ-დემოკრატიის საფუძველი კი ის განხეთქილება გახდა რაც სოციალ-დემოკრატებს შორის მე-20 საუკუნეში წარმოიშვა და რეფორმისტული შეხედულებების საწყისი გახდა. მარქსისტულ შეხედულებებში მათ სუსტი მხარეები შენიშნეს და კრიტიკის მეშვეობით დახვეწეს და რეორგანიზება განახორციელეს მოცემული იდეოლოგიის. აქედან გამომდინარე ის მეტად ლიბერალური და დემოკრატიული გახდა. სოციალ-დემოკრატების ხედვით ლეგალური საკანონმდებლო რეფორმების და ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება მიღწევადია კლასებს შორის დიფერენციისა და განსხვავებულობის მიუხედავად. თანდათან ბევრმა პარტიამ სოციალიზმში მშვიდობიანი გზით საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლა შესაძლებლად დაინახეს და ეს ხედვა მთავარ მიზნად აქციეს. აქედან გამომდინარე ტერმინი სოციალური დემოკრატია დემოკრატიული საწყისების მქონე სოციალიზმთან ასოცირდება და არა რევოლუციურთან.

მე-20 საუკუნის 90-იანი წლებიდან, ცივი ომის დასრულებისა და სსრკ-ის დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ ევროპის სახელმწიფოები რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის კონტროლიდან გამოვიდნენ და ამან სერიოზული ცვლილებების ტალღა გამოიწვია სკანდინავიის სახელმწიფოებში. მნიშვნელოვნად გაფართოვდა და შეიცვალა გეოგრაფიული საზღვრები. რუსეთისგან განთავისუფლებამ კი გამოიწვია ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ამ სახელმწიფოების აშკარა დაწინაურება. ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია და ისლანდია,

რომლებსაც სკანდინავიის ქვეყნები ეწოდება უმეტესად კონსტიტუციურ-მონარქიული მმართველობითი სისტემის მქონე სახელმწიფოებია, მიუხედავად ამისა ისინი სოციალ-დემოკრატიული მმართველობითი სისტემის ქვეყნებს წარმოადგენენ.

ცივი ომის დასრულების შემდგომ გლობალიზაციის პროცესის დაწყებამ ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები ხანმოკლე დროის პერიოდში ეკონომიკურად და პოლიტიკურად განვითარებად სახელმწიფოებად აქცია. ამიტომაც არის საინტერესო და მნიშვნელოვანი განვითარებადი ქვეყნებისთვის ახალი სკანდინავიური მოდელი, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკური ფასეულობების განსხვავებულ ერთობლობას. ამ სახელმწიფოების ეკონომიკურ-სოციალური სისტემა მორგებულია ქვეყნის მოსახლეობის ძირითად - საშუალო ფენაზე და მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. ამ ქვეყნებში მთავარ ღირებულებას წარმოადგენს მოსახლეობისთვის მაღალი ცხოვრების დონის სტანდარტის შექმნა და ადამიანებს შორის თანაბარი შესაძლებლობების დინამიკაში გადატანა. მათ მიერ განხორციელებულ სოციალურ პოლიტიკას მინიმუმამდე დაჰყავს ეკონომიკური უთანასწორობა. სოციალურ-ეკონომიკური თანასწორობა სკანდინავიური ქვეყნების მთავარი ღირებულებაა, რაც ქმნის სახელმწიფოების უსაფრთხოებას და დემოკრატიული საზოგადოების არსებობას.

საკვანძო სიტყვები: სოციალ-დემოკრატიული მმართველობა, ჩრდილოეთ ევროპა, ახალი სკანდინავიური მოდელი, დემოკრატიული საზოგადოება, სოციალური სტანდარტები.

Scandinavian socialism in the system of social-democratic governance

Dali Aduashvili,

Anna Okropiridze

Georgian National University SEU

Abstract

Social democratic governance has many different interpretations. However, it is mainly defined by liberal democracy, which is a system of values where the main principle is the protection of people's rights, equality, and equal access to opportunities. Today it is a center-left ideology, although its roots are still connected to orthodox Marxism, whose ideology is associated with the name of the 19th-century German philosopher Karl Marx. He spoke about the ideas of establishing a socialist government through revolution and the struggle between classes, where he considered traditional capitalism as the main enemy. Marx preached about its complete disappearance with radical measures. The Social Democratic Party founded in Germany in 1875 recognized these ideas as its ideology and primacy. At the same time, a radical wing emerged - the communists, chanting the dictatorship of the proletariat and the failure of capitalism. The basis of modern social democracy was the division that arose among social democrats in the 20th century and became the beginning of reformist views. They noticed weaknesses in Marxist

views and refined and reorganized the given ideology through criticism. Therefore, it became more liberal and democratic. According to the social democrats, the implementation of legal legislative reforms and effective economic policies is achievable regardless of differences and differences between classes. Gradually, many parties saw the possibility of a peaceful transition to parliamentary government in socialism and made this vision their main goal. Therefore, the term social democracy is associated with socialism with democratic origins, not revolutionary.

Since the 90s of the 20th century, after the end of the Cold War and the collapse of the USSR, the Northern European states came out of the control of Russia's expansionist policy, and this caused a wave of serious changes in the Scandinavian states. Geographical boundaries were significantly expanded and changed. The liberation from Russia led to the obvious promotion of these states from economic and political points of view. Norway, Sweden, Finland, Denmark, and Iceland, which are called the Scandinavian countries, are mostly states with a constitutional-monarchical government system, however, they represent countries with a social-democratic government system.

After the end of the Cold War, the beginning of the process of globalization turned the Northern European countries into economically and politically developing states in a short period. That is why the New Nordic Model, which includes a different combination of economic, social, and political values, is interesting and important for developing countries. The economic-social system of these states is adjusted to the basic-middle class of the country's population and ensures their well-being. In these countries, the main value is to create a high standard of living for the population and transfer the dynamics of equal opportunities between people. The social policies implemented by them minimize economic inequality. Socio-economic equality is the main value of the Nordic countries, which creates the security of the states and the existence of a democratic society.

Keywords: Social democratic governance, Northern Europe, New Nordic Model, Democratic society, Social Standards.

კატალონიური სეპარატიზმი- ფისკალური პოლიტიკა და ეკონომიკური უთანასწორობა

ბაკურ ხუბულავა,

ქეთი ბიძინაშვილი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომი ეხება კატალონიური სეპარატიზმის გამომწვევი მიზეზების ანალიზს და ფისკალური პოლიტიკის გავლენის საკითხს ეკონომიკური უთანასწორობის პროცესში. 21-ე საუკუნეში ეკონომიკურ სეპარატიზმი საკმაოდ აქტუალური გახდა და მნიშვნელოვანი როლი ენიჭება

ნაციონალისტურ მისწრაფებების სხვადასხვა გამოვლინებებთან ერთად. რიგი ქვეყნები უკვე ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ იდეაზე მეტად ეკონომიკურ ფაქტორებს აყენებენ. მაგალითისთვის ე.წ. მდიდრების სეპარაციის უმთავრესი მკვებავი კატალონიური სეპარატიზმია.

2003 წლის კატალონიის ჟენერალიტეტის არჩევნების შემდეგ კატალონიაში შეიცვალა სეპარატისტული მოძრაობისადმი მიდგომები. თუ ადრე კატალონიზმი ასოცირდებოდა ქვეყნის აშენებასთან, რომელიც კულტურულად დიფერენცირებულია დანარჩენი ესპანეთისგან 2003 წლის შემდეგ ნაკლებ მნიშვნელოვანი გახდა კულტურის როლი და მეტი ყურადღება მიექცა ეკონომიკურ- პოლიტიკურ ასპექტებს. ნაშრომის მიზანია „ფისკალური პოლიტიკის“ ფისკალური დამოკიდებულების ფაქტორის წარმოჩენა კატალონელთა პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათ არ გააჩნიათ ფისკალური დამოუკიდებლობა განსხვავებით კიდევ ორი ავტონომიური რეგიონის ნავარისა და ბასკეთისგან. კატალონიის მოსახლეობა და მთავრობა იზიარებენ პოზიციას, რომლის მიხედვითაც დღევანდელ მსოფლიოში, თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებში პატარა ქვეყნებსაც შეუძლიათ იყვნენ ძალიან წარმატებულნი.

Catalan separatism-fiscal policy and economical inequality

Bakur Khubulava,

Keti Bidzinashvili

Caucasus International University

Abstract

The work deals with the analysis of the causes of catalan separatism And the impact of fiscal policy on the issue of economic inequality in the Twenty-first century, economic separatism has become quite relevant and Plays on important role along with various manifestations of nationalist aspirations A number of countries are already putting economic factors above historical, cultural And religious ideas. for example, the so-called the main source of the separation of the rich Is Catalan separatism.

2003 years of the generalitat of Catalonia attitudes towards the separatist movement Have changed in Catalonia it previously catalanism was associated with building a Country that is culturally differentiated from the rest of Spain, after 2003 the role of culture became less important and more attention was paid to economic-political aspects. The purpose of the work “fiscal policy” presented the factor of fiscal dependence In the political life of catalons them do not have fiscal dependence, the two autonomous regions of Navare and Basque Country catalon population and government shared Position, which according today world, free in trade realations little country can were very successful.

„ახალი ომების“ კონცეფცია: აქტიური კონფლიქტები და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება

ავთანდილ ხურციძე,

გიორგი მხეიძე

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ნაშრომში წარმოდგენილი იქნება "ახალი ომები"-ს ძირითადი მახასიათებლები, შემადგენელი კომპონენტები და განხორციელების ლოგიკა; მათი გავლენის/მართვის გარკვეული კანონზომიერებები საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაზე. ჩამოვყალიბებთ პოსტ-კლაუზევიცის ეპოქის კონფლიქტებისთვის დამახასიათებელ თვისებებს; წარმოვაჩინოთ ამ კონფლიქტებში მონაწილე პოტენციურ მხარეებს და ახალ აქტორებს, მათ გავლენებს ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაში. განვიხილავთ კონვენციური ომის როლის შემცირების მიზეზებს თანამედროვე მსოფლიოში; ეკონომიკური ექსპანსიის ახალ ფორმებს; საერთაშორისო კორპორაციების და ფინანსური ინსტიტუტების, არასამთავრობო ორგანიზაციების, სხვადასხვა ეთნიკური, სეპარატისტული და ტერორისტული მოძრაობების გავლენებს თანამედროვე ომის სტრატეგიის/სტრატეგიების ფორმირებასა და განხორციელებაზე; გავეცნობით სამეცნიერო პოზიციებს და შეფასებებს; გავიაზრებთ საქართველოში არსებული კონფლიქტური კერების - აფხაზეთის, ე.წ. სამხ. ოსეთის - სპეციფიკას; გავაანალიზებთ მათ „ახალი ომების“ კანონზომიერების ხედვითი არეალიდან; ბოლოს გავაკეთებთ დასკვნებს და წარმოვადგენთ რეკომენდაციებს.

საკვანძო სიტყვები: ახალი ომები, პოსტ-კლაუზევიცი, კონვენციური ომი, კონფლიქტი, აფხაზეთი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი, სეპარატიზმი, ტერორიზმი, სტრატეგია.

The Concept of "New Wars": Active Conflicts and National Security of Georgia

Avtandil Khurtsidze,

Giorgi Mkheidze

Caucasus International University

Abstract

The paper will present the main features, components, and implementation logic of "New Wars"; Certain regularities of their influence/management on international relations and politics. We will establish the characteristic features of the conflicts of the post-Clausewitz era; We present the potential parties and new actors participating in these conflicts, their influences in the formation of the new world order,

and discuss the reasons for the reduction of the role of conventional war in the modern world; New forms of economic expansion; the influence of international corporations and financial institutions, non-governmental organizations, various ethnic, separatist and terrorist movements on the formation and implementation of modern war strategy/strategies; We will get acquainted with scientific positions and assessments and understand the conflict centers in Georgia - Abkhazia, so-called South Ossetia - specifics; We will analyze them from the perspective of the regularity of "new wars" and finally draw conclusions and present recommendations.

Keywords: new wars, post-Clausewitz, conventional war, conflict, Abkhazia, so-called South Ossetia, separatism, terrorism, strategy.

აკადემიური თავისუფლება

მარიამ მეყანწიშვილი,

ნინო სოლოშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

აკადემიური თავისუფლების ცნება გულისხმობს მასწავლებლებისა და სტუდენტების თავისუფლებას ასწავლონ, შეისწავლონ და განახორციელონ კვლევა კანონის, ინსტიტუციური რეგულაციების ან საზოგადოებრივი ზეწოლის დაუსაბუთებელი ჩარევის ან შეზღუდვის გარეშე. მისი ძირითადი ელემენტები მოიცავს მასწავლებლების თავისუფლებას, ასწავლონ ნებისმიერი საგანი, რომელიც დამყარებულია მათ ინტელექტუალურ ფუნდამენტზე; ასევე წარადგინონ თავისი დასკვნები სტუდენტების, კოლეგების სხვების წინაშე და გამოაქვეყნონ მათი მონაცემები და დასკვნები კონტროლისა და ცენზურის გარეშე; ასწავლოს ისე, როგორც ისინი პროფესიონალურად მიზანშეწონილად მიიჩნევენ. სტუდენტებისთვის, აკადემიური თავისუფლების ძირითადი ელემენტები მოიცავს: თავისუფლებას შეისწავლონ საგნები, რომლებიც მათ ინტერესს გამოხატავს, ჩამოაყალიბონ საკუთარი დასკვნები/გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები. აკადემიური თავისუფლება გულისხმობს როგორც უფლებებს, ასევე პასუხისმგებლობებსაც. პასუხისმგებლობები და ვალდებულებები ხელს უწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცის ხარისხს. იგი უზრუნველყოფს დაწესებულების სასწავლო გეგმის, სწავლების, კვლევისა და სხვა აკადემიური პროგრამების შემუშავებას და პრაქტიკაში გამოყენებას პროფესიონალი და მოტივირებული პროფესიონალების მიერ, რომლებსაც აქვთ ღრმა, ხანგრძლივი ვალდებულება დაწესებულების მიმართ. აკადემიური თავისუფლება თავისი კონცეპციით დამოუკიდებლობას აძლევს აკადემიური თავისუფლების მქონე ინდივიდებს ისაუბრონ სადავო საკითხებზე და გააკრიტიკონ უნივერსიტეტისა თუ სკოლის ადმინისტრაცია ახალი სასწავლო გეგმისა და ხარისხის საკითხებზე.

გერმანიაში აკადემიური თავისუფლება დაცულია გერმანიის კონსტიტუციით. კვლევის, სწავლებისა და სწავლის თავისუფლებები ერთმანეთისგან დიფერენცირებულია. სამოქალაქო კანონი ადგენს აკადემიური თავისუფლების დაცვის მკაცრ სტანდარტებს და ამ უფლების დასაცავად სახელმწიფოს აკისრებს როგორც დადებით, ისე უარყოფით მოვალეობებს. გერმანიისგან განსხვავებით, აკადემიური თავისუფლება აშშ-ში დამოუკიდებელ კონსტიტუციურ უფლებად არ არის აღიარებული.

საქართველოში აკადემიური თავისუფლება კონსტიტუციურად გარანტირებული უფლებაა. ეს გულისხმობს კვლევის, სწავლების თავისუფლებისა და სწავლის თავისუფლების თავისუფალ დენას. უფლებებში ჩარევა დასაშვებია და შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ იმ კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლისა და წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც დადგენილია კანონით. ამჟამინდელი კონსტიტუციური წესი, რომელიც ითვალისწინებს 1921 წლის კონსტიტუციის ტრადიციებს, შექმნილია გერმანული მოდელის ბაზაზე. თუმცა მისი ტექსტი უფრო თანამედროვე და ცალსახაა.

საგანმანათლებლო სისტემაში რომელმაც წარსულში „ლიზენკოიზმი“ განიცადა მნიშვნელოვანია აკადემიური თავისუფლება აღიქმებოდეს სწორად. ისწავლო იკვლიო, რეალიზაცია განიცადო საგანმანათლებლო სფეროში ისე, რომ არ გეშინოდეს გარე ჩარევის ან აქტორების რომელიც, შეგიზღუდავენ გამოხატვისა და განმანათლებლობის უფლებას ერთის მხრივ, მეორეს მხრივ კი არსებობს საფლზე რომ აკადემიური თავისუფლება გაგებული იქნეს როგორც პრივილეგირებული კლასის სტატუსი რომელიც თავის მხრივ ავრცელებს ცრუ და არარელევანტურ ინფორმაციას.

განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის იდეა არ უნდა იყოს დაფუძნებული ინსტიტუციურ ან ინდივიდუალურ აკადემიურ თავისუფლებაში დაუსაბუთებელ ჩარევაზე.

საკვანძო სიტყვები: აკადემიური თავისუფლება, აკადემიური თავისუფლება და საერთო მმართველობა, აკადემიური თავისუფლება და თანამდებობა.

Academic Freedom

Mariam Mekantsishvili,

Nino Soloshvili

Georgian National University SEU

Abstract

academic freedom, the freedom of teachers and students to teach, study, and pursue knowledge and research without unreasonable interference or restriction from law, institutional regulations, or public pressure. Its basic elements include the freedom of teachers to inquire into any subject that evokes their intellectual concern; to present their findings to their students, colleagues, and others; to publish their

data and conclusions without control or censorship; and to teach in the manner they consider professionally appropriate. For students, the basic elements include the freedom to study subjects that concern them and to form conclusions for themselves and express their opinions. Academic freedom entails both rights and responsibilities. Tenure promotes accountability and quality in higher education. It ensures that the institution's curriculum, teaching, research and other academic programs will be framed and developed by trained and motivated professionals who possess a deep, lasting commitment to the institution. It gives faculty the independence to speak out about contentious matters and to challenge the administration on issues of new curriculum and quality without putting their jobs on the line

In Germany, academic freedom is protected under the Basic Law (Constitution) of Germany. The freedoms of research, teaching and learning are differentiated from each other. The case law sets strict standards for the protection of academic freedom forth and imposes both positive and negative duties on the state for the protection of this right. In contrast to Germany, academic freedom is not recognized as an independent constitutional right in the U.S. The case law is also not uniform. However, academic interest is considered to fall within the sphere of interest for the purposes of constitutional protection. In Georgia, academic freedom is a constitutionally guaranteed right. It implies the free pursuit of research, freedom of teaching and the freedom of learning. An interference in the right is allowed and may be justified only in case of the presence of specific legal grounds and preconditions, which are prescribed by law. The current constitutional rule, which takes traditions of the 1921 Constitution into account, is designed under the German model, however its text is more modern and unambiguous. In the educational system, which experienced 'Lysenkoism' (in the past, it is important to correctly understand the academic freedom, which includes the ability to research and teach freely without the fear of being punished on one hand, and not to transform into a privileged class, which spreads unfounded, dangerous and false ideas under the guise of right on the other hand. Moreover, the idea of quality assurance in education should not be employed for unreasoned interference with the institutional or individual academic freedom. In this regard, the constitutional requirement is a more reasoned decision-making, than what has been done in practice until now.

Keywords: Academic Freedom, Academic Freedom an shared governance, Academic freedom and Tenure.

სტუდენტების ნაადრევი ქორწინების მიმართ დამოკიდებულების კვლევა

ანა ბურდული

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ადრეულ ასაკში ქორწინება გავრცელების მაჩვენებლის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოებისთვის კვლავ რჩება მნიშვნელოვან გამოწვევად. ნაადრევი ქორწინება კომპლექსური პრობლემაა, რომელიც დაკავშირებულია ფსიქო-სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებზე დაფუძნებულ სირთულეებთან. მიიჩნევა, რომ მოზარდთა ქორწინებაზე ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ტრადიციები, ტემპერამენტი, აღზრდის სტილი და ოჯახური პრობლემები.

ნაადრევი ქორწინება ორი ადამიანის ოფიციალური ან არაოფიციალური კავშირია, რომელთაგან ერთი-ერთი 18 წელს მიუღწეველია. გამომდინარე იქიდან, რომ 18 წლამდე პირი ბავშვად ითვლება ეს ნიშნავს, რომ მას გააზრებული გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. აღნიშნულ ასაკში ქორწინება განიხილება როგორც იძულებითი ქორწინება, რაც ბავშვთა უფლებების დარღვევად არის მიიჩნეული.⁶ ნაადრევ ასაკში ქორწინება მკვლევართა თანახმად, ხშირად დაკავშირებულია განათლების მიღების შეზღუდულ შესაძლებლობებთან, ჯანმრთელობის რისკებთან, ძირითადად გოგონებთან როგორც მობილურობის შეზღუდვასთან ასევე, როლებისა და პასუხისმგებლობების დისკრიმინაციულ განაწილებასთან, ოჯახში ძალადობასა და განქორწინებებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ნაადრევი ქორწინება მრავალ სფეროს ეხება და საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნების ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ნაშრომის მიზნად განისაზღვრა შესწავლილიყო სტუდენტების დამოკიდებულება ნაადრევი ქორწინების მიმართ. მიზნის მისაღწევად, კვლევაში გამოყენებულ იქნა კვლევის მეორეულ მონაცემთა ანალიზი და თვისებრივი მეთოდი - სიდრმისეული ინტერვიუ. მეორეულ მონაცემთა დამუშავების საფუძველზე, შესაძლებელი გახდა განაწილებულიყო ნაადრევი ქორწინების განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორები, თვისებრივი კვლევის ფარგლებში, სტუდენტების დამოკიდებულებები დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით განისაზღვრა.

საკვანძო სიტყვები: ნაადრევი ქორწინება, ბავშვთა უფლებები, იძულებითი ქორწინება, ძალადობა.

⁶ დეკანაძე, „საქართველოში ადრეული ქორწინების მდგომარეობა და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე“, 2019.

A study of students' attitudes towards early marriage

Ana Burduli

Georgian National University SEU

Abstract

Taking into account the prevalence of early marriage, it can be said that it remains a significant challenge for modern society. Early marriage is a complex problem associated with difficulties based on psycho-social, economic and cultural factors. Traditions, temperament, parenting style and family problems are also believed to have significant effects on adolescent marriage.

Early marriage is an official or unofficial union of two people, one of whom has not reached the age of 18. Since a person under the age of 18 is considered a child, it means that he cannot make an informed decision. Marriage at this age is considered a forced marriage, which is considered a violation of children's rights. According to researchers, early marriage is often associated with limited opportunities for education, health risks, especially for girls, as well as limited mobility, discriminatory distribution of roles and responsibilities, domestic violence and divorce. Considering that early marriage affects many areas and threatens the physical and mental health of minors, the aim of the paper was to study the attitude of students towards early marriage. To achieve the goal, the research used secondary data analysis and qualitative method - in-depth interview. On the basis of secondary data processing, it was possible to analyze the main factors determining early marriage, within the framework of a qualitative study, students' attitudes were determined according to demographic characteristics.

Key words: early marriage, children's rights, forced marriage, violence.

ემოციური ემპათია სტუდენტებში

მარიამ შენგელაია,

ნინო ფრუიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ემოცია რთული ფსიქიკური პროცესია, რომელიც ობიექტური სინამდვილის მიმართ პიროვნების დამოკიდებულებას გამოხატავს და გვეხმარება ადამიანებთან ურთიერთობის სწორი მიმართულებით წარმართვაში, ეფექტურ კომუნიკაციაში.

ემპათია კი, როგორც ემოციური მდგომარეობა, სხვა ადამიანის განცდაში ჩაწვდომათანაგანცდის სახით ვლინდება. პიროვნების ეს თვისება მნიშვნელოვანია პროფესიული შერჩევითვის.

ცხადია, განცდების გაზიარების უნარი მნიშვნელოვანია სოციუმში განსაკუთრებით იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თავიანთი პროფესიული საქმიანობის გამო, სხვების ზრუნვაზე ან სწავლებაზე არიან ორიენტირებული.

ამ ეტაპზე ჩვენს მიზანს წარმოადგენს ემპათიის კვლევა სტუდენტურ კონტიგენტში.

საკვლევი კითხვები:

- როგორია ემოციური ემპათიის დონე სტუდენტებში?
- ემოციური ემპათიის მაჩვენებელია განსხვავებულია თუ არა გენდერულ ჭრილში?

ჰიპოთეზა:

გოგონები უფრო ემპათიურები არიან, ვიდრე ვაჟები.

საკვანძო სიტყვები: ემპათია, გენდერი, სტუდენტური კონტიგენტი

Emotional empathy in students

Mariam Shengelaia,

Nini Fruidze

Georgian National University SEU

Abstract

Emotion is a complex mental process that expresses a person's attitude towards objective reality and helps us to direct our relations with people in the right way, in effective communication.

Empathy, as an emotional state, is relieved as understanding the feeling of another person and expressing sympathy. Obviously, ability of sharing feelings in the society is important especially those for people that are focused on caring for and teaching to other people, because of their professional activity.

At this stage, our goal is to research empathy in the student contingent.

Research questions:

- What is the level of emotional empathy among students?
- Does the rate of emotional empathy differ by gender?

Hypothesis:

Women are more empathetic than men

Key words: empathy, gender, student contingent.

სილამაზის სტანდარტები თანამედროვე საზოგადოებაში

ქრისტინა ვოსკანიანი,

ნატალი პაპუნაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

უმველესი დროიდან დღემდე სილამაზის სტანდარტები ერთ-ერთი სადისკუსიო საგანია საზოგადოებაში. ჯერ კიდევ პალეოლითის ხანიდან მოყოლებული ადამიანები დიდ ყურადღებას უთმობდნენ სილამაზეს და სურდათ, ჰქონოდათ ლამაზი იერი, შესაბამისად, ცდილობდნენ, მიემსგავსებინათ საკუთარი გარეგნობა თავიანთ ქვეყანაში დამკვიდრებულ სილამაზის სტანდარტებს.

თანამედროვე ეპოქაში სილამაზის სტანდარტების დამკვიდრებაში მნიშვნელოვანი როლი აქვს: ჟურნალ-გაზეთებს; სოციალურ ქსელებსა და ტელევიზიას. ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან, მულტიფიკაციური ფილმები ბავშვს უყალიბებს გარკვეულ წარმოდგენებს „იდეალურ იერთან“ დაკავშირებით, თუ რა ითვლება სილამაზედ და რა - არა.

მოზარდობის პერიოდიდან, უკვე განსაკუთრებულ ადგილს იკავებს საკითხი, თუ რამდენად „იდეალურად“ გამოიყურებიან და შესაბამისად, არსებობს მრავალი მცდელობა მოერგონ საზოგადოების მიერ დაწესებულ სილამაზის სტანდარტებს, რის გამოც, ხშირად, გამხდარან: ბულემის, ანორექსიის და პლასტიკური ოპერაციების კრახის მსხვერპლნი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს გამოვავლინოთ თანამედროვე საზოგადოებაში დამკვიდრებული სილამაზის სტანდარტები და ჩვენი ჰიპოთეზა წარმოადგენს შემდეგს: 21-ე საუკუნეში არ არსებობს მკაცრად განსაზღვრული სილამაზის სტანდარტები (როგორც ეს წარსულში იყო). ჩვენს გამოკვლევაში გამოვიყენეთ კვლევის რაოდენობრივი მეთოდი - კითხვარი. გამოყებულ იქნა არაალბათური შერჩევა; გამოკითხვა ჩატარდა: ელექტრონულად, კითხვარის საშუალებით; გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 55 ადამიანმა, 10-დან 45-წლამდე ორივე სქესის წარმომადგენელმა.

ჩვენს მიერ გამოკითხულთა მონაცემების მიხედვით, ჯერ კიდევ არის თანამედროვე საზოგადოებაში დამკვიდრებული სილამაზის გარკვეული სტანდარტები, მაგრამ არა მკაცრად განსაზღვრული, როგორც ეს წარსულში იყო, სხვადასხვა ეპოქასა და ქვეყანაში. მკაცრად განსაზღვრულში ვგულისხმობთ იმას, რომ კონკრეტულ საზოგადოებაში (ქვეყანაში) არსებობს საერთო აზრი სილამაზის აღქმასთან დაკავშირებით და ამ სოციუმის წევრებს ბავშვობიდანვე უყალიბდებათ სილამაზის ამგვარი აღქმა, რამაც შესაძლოა, მთელი ცხოვრება ცვლილება არ განიცადოს. რაც შეეხება მდგომარეობას თანამედროვე ეპოქაში, სილამაზის აღქმა უფრო ინდივიდუალური გახდა, ამაზე მეტყველებს გამოკითხულთა პასუხები. ასევე, ვერ ვიტყვით,

რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს სილამაზის სტანდარტებთან დაკავშირებით.

Beauty standards in modern society

Kristina Voskaniani,

Natali Papunashvili

Georgian National University SEU

Abstract

From ancient times to the present, beauty standards are one of the topics of discussion in society. Ever since the Paleolithic era, people have paid great attention to beauty and wanted to have a beautiful appearance, so they tried to conform their appearance to the established beauty standards of their country.

In the modern age, magazines and newspapers have an important role in establishing beauty standards; social networks and television. From an early age, cartoons give children certain ideas about the "ideal look", what is considered beautiful and what is not.

From the period of adolescence, the issue of how "ideal" they look is already a special place, and accordingly, there are many attempts to adapt to the beauty standards set by society, which is why they often become thin: victims of bulimia, anorexia and plastic surgery crashes.

The purpose of our research is to reveal the established beauty standards in modern society, and our hypothesis is the following: in the 21st century, there are no strictly defined beauty standards (as there were in the past). In our investigation, we used a quantitative research method - a questionnaire. A non-probability sample was selected; The survey was conducted: electronically, through a questionnaire; 55 people, from 10 to 45 years old, representatives of both sexes participated in the survey.

According to the data of our respondents, there are still certain standards of beauty established in modern society, but not strictly defined, as it was in the past, in different eras and countries. By strictly defined, we mean that in a specific society (country) there is a common opinion regarding the perception of beauty, and the members of this society form such a perception of beauty from childhood, which may not change throughout their lives. As for the situation in the modern era, the perception of beauty has become more individual, it shows Respondents' answers. Also, we cannot say that a certain part of society has a negative attitude towards beauty standards.

პიროვნების ქრონოლოგიური ასაკის გავლენა კრეატიულობის მაჩვენებელზე

ბექა ბერიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ადამიანი არის არსება, რომელიც განსაკუთრებულია იმით, რომ მას შეუძლია შექმნას რაღაც ახალი. სწორედაც, სიახლეების შექმნაში დიდ როლს თამაშობს ისეთი კოგნიტური ფუნქციონი, როგორცაა კრეატიულობა. კრეატიულობა ყველა ინდივიდშია, თუმცა განსხვავდება ხარისხითა და სფეროს მიხედვით, ვინაიდან სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა საქმეში ავლენს კრეატიულ ბუნებას.

პიროვნება და კრეატიულობა ერთ კონტექსტში განიხილება, შესაბამისად, საინტერესოა ის პიროვნების მახასიათებლები, რომლებიც გავლენას ახდენს კრეატიულობის ფორმირებასა თუ ცვლილებაზე, მაგალითად, როგორცაა ქრონოლოგიური ასაკი.

ზოგადი გადასახედიდან ცნობილია, რომ ადამიანი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე განვითარების სხვადასხვა საფეხურს აღწევს. პიროვნებას აქვს გონებრივი აღმავლობის პერიოდიც და, პირიქით, სტაგნაციის მომენტიც, როცა გონებრივი განვითარება ფერხდება და უკან იხევს. ნათელია ის ფაქტი, რაც უფრო მატულობს ინდივიდის ასაკი და პიროვნება ვითარდება, მას უფრო მეტი ინტერესის სფერო უჩნდება, აქედან გამომდინარე, იზრდება ინიციატივების რაოდენობა და თავის დამკვიდრების სურვილი, შესაბამისად, დიდია კრეატიულობის ხარისხის ზრდის პოტენციალიც. თუმცა ეს ყველა ადამიანში ერთნაირი ვერ იქნება, რადგან ასაკის გარდა, კიდევ სხვა მრავალი ფიზიოლოგიური თუ გარემო ფაქტორი მოქმედებს პიროვნების განვითარებაზე.

ამ პროცესის განხილვისას საინტერესოა, თუ რა ემართება კრეატიულობას, კერძოდ, როდესაც პიროვნება იზრდება, საკითხავია, კონკრეტულად როგორ იცვლება კრეატიულობის დონე და რომელ ასაკობრივ კატეგორიას ექნება ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

საკვანძო სიტყვები: პიროვნება, კრეატიულობა, ქრონოლოგიური ასაკი, გონება.

The influence of the person's chronological age on the creativity index

Beka Beridze

Georgian National University SEU

Abstract

Human is a special creature that can create something new. Indeed, such a cognitive phenomenon as creativity plays a big role in the creation of news. There is Creativity in all individuals though, it varies with degree and field, as different people show their creative nature in different ways.

considering the personality and creativity as the same context makes an interesting points, such as personality characteristics those influence on the formation or metamorphosis of the creativity, for example chronological age

From a general point of view, it is known that a person reaches different stages of development at different stages of life. A person has a period of mental growth and, on the contrary, a moment of stagnation, when mental development slows down and recedes. It is clear that as an individual's age increases and his personality develops, he has more areas of interest, accordingly , the number of initiatives and the desire to establish himself increases. This time the potential for increasing the quality of creativity is also great. However, it will not be the same for all people, because besides age, there are many other physiological and environmental factors that influence on the personality development.

In considering this process, it is observe to see what happens to creativity, specifically as a person grows older. The question is how exactly it changes and which age group will have the highest creativity.

Keywords: personality, creativity, chronological age, mind.

სტუდენტთა დამოკიდებულება ჰიბრიდული სწავლების მიმართ

მარიამ მეტივიშვილი,

სოფი გახუაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

დამოკიდებულება არის ადამიანის თვალსაზრისი, შეხედულება რაიმეს ან ვინმეს შესახებ. დამოკიდებულება ადამიანის ემოციური სფეროს ნაწილია და იგი გამოხატავს იმას, თუ რას ვანიჭებთ უპირატესობას, რა მოგვწონს ან რა არ მოგვწონს, რა არის მნიშვნელოვანი ან რა არ არის მნიშვნელოვანი.

დისტანციური სწავლება საკმაოდ იყო გავრცელებული, პანდემიური ვითარების დროს, ლოქდაუნისა და მკაცრი შეზღუდვების გამო, სწორედ ამ ვითარებამ შეცვალა, როგორც ჩვენი ქვეყნის, ასევე მთელი მსოფლიოს სწავლების მოდელი. ნებისმიერი ცვლილება თითოეულ ადამიანში აღძრავს რაღაც დამოკიდებულებას, ისევე როგორც დისტანციურიდან აუდიტორიულზე გადასვლა, რადგან იცვლება როგორც გარემო ასევე ცხოვრების რიტმი.

როგორც უკვე ვიცით აუდიტორიული სწავლება, სწავლის ის მოდელია რომელიც გულისხმობს პირისპირ განათლების მიღებას. ისეთ რეჟიმში როცა პედაგოგი და მოსწავლე ერთმანეთისგან მოშორებით არ არიან. ჰიბრიდული სასწავლო მიდგომაა, რომელიც ონლაინ სწავლებასთან აერთიანებს ტრადიციულ საკლასო ან პირისპირ სწავლებას.

შერეულ სწავლებას აქვს რამდენიმე ძირითადი უპირატესობა, მაგალითად, როგორცაა სასწავლო პროცესში თანამშრომლობისათვის მოქნილობა სივრცესა და დროში, ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებების მიღება, ასევე ცოდნისა და უნარების გადაცემის დაბალანსების შესაძლებლობა.

ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით კვლევების სიმცირის საფუძველზე გადავწყვიტეთ ვიკვლიოთ სტუდენტთა დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ აუდიტორიაში დაბრუნების შემდეგ. ამის შედეგად გადავწყვიტეთ კვლევა ჩაგვეტარებინა კომპეტენტურ ადამიანებთან/სტუდენტებთან.

საკვანძო სიტყვები: დამოკიდებულება, ჰიბრიდული სწავლება, სტუდენტები.

Students' attitude towards hybrid education

Mariam Metivishvili,

Sophi Gakhuashvili

Georgian National University SEU

Abstract

Distance learning was quite common and widespread during the panic situation, due to lockdowns and strict restrictions, which is why teaching methods have changed both in our country and around the world.

Each change in each person causes a certain attitude, as happened when students returned to the classroom after online learning, and one of the reasons was that during the transition period, the environment and the rhythm of life change.

As we already know, classroom teaching is a learning method that involves face-to-face education in a mode where the teacher and student are not far from each other.

Hybrid learning is a learning approach that combines traditional classroom or face-to-face learning with online learning.

Blended learning has several key advantages, such as flexibility in space and time for collaboration in the learning process, accommodating individual student needs, and the ability to balance the transfer of knowledge and skills.

Based on the paucity of research on the above-mentioned topic, we decided to investigate students' attitudes toward hybrid learning after testing both teaching methods. As a result, we decided to conduct research with competent people/students.

keywords: Addiction, hybrid learning, students.

აზარტული თამაშების მიმართ სტუდენტების დამოკიდებულების კვლევა

ნიკოლოზ ქეცაია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

აზარტული თამაშები (გემბლინგი) თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ის ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების განსხვავებულ გამოხატულებებთან არის კავშირში და ქცევითი ადიქციის კატეგორიას მიეკუთვნება. მიუხედავად გარკვეული შეზღუდვებისა თუ დაწესებული რეგულაციებისა, მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც კომერციული გემბლინგის მზარდი დინამიკა ვლინდება.

მკვლევართა თანახმად, აზარტული თამაშები დამოკიდებულებებს აყალიბებს რაც ლუდომანიის სახელით არის ცნობილი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ მნიშვნელოვნად გაამარტივა და გაზარდა აზარტულ თამაშებში ჩართვის ხელმისაწვდომობა, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებით საშიშ ტენდენციად გამოვლინდა არასრულწლოვნებთან. მკვლევართა თანახმად, თამაშდამოკიდებულებამ არასრულწლოვნებში შესაძლოა ხელი შეუწყოს ანტი-სოციალური ქცევების, დეპრესიის, შფოთვისა და აგრესიის განვითარებას. 1978 წელს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ გემბლინგი ფსიქიკური დარღვევების კონტექსტში განიხილა და ამ ჭრილში ლუდომანია დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციაში შეიტანა.

საქართველოში აზარტული თამაშების შესახებ ცნობები XIX საუკუნეში ჩნდება, ხოლო გემბლინგის უახლესი ისტორია 90-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 2022 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ განსაზღვრული რეგულაციებით აიკრძალა აზარტული თამაშების რეკლამირება, დაწესდა ასაკობრივი ზღვარი და საჯარო მოხელეებსა და სოციალურად დაუცველ პიროვნებებს აკრძალათ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა.

საკვლევი პრობლემის მნიშვნელოვნებისა და აქტუალურობის გათვალისწინებით, კვლევის მიზნად განისაზღვრა დადგენილიყო სტუდენტების აზარტული თამაშების მიმართ არსებული დამოკიდებულებები. კვლევაში გამოყენებულ იქნა კვლევის თვისებრივი მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით იქნა გაანალიზებული.

საკვანძო სიტყვები: აზარტული თამაშები, ლუდომანია, გემბლინგი.

A Study of Students' Attitudes Towards Gambling

Nikoloz Ketsbaia

Georgian National University SEU

Abstract

Gambling is an important challenge of modern society. It is associated with various manifestations of health and social problems and belongs to the category of behavioral addiction. Despite certain restrictions and established regulations, the growing dynamics of commercial gambling is evident in many countries, including Georgia.

According to researchers, gambling creates addictions known as ludomania. It should be noted that the development of modern digital technologies has significantly simplified and increased the availability of gambling, and the latter has been identified as a particularly dangerous trend among minors. According to researchers, gambling addiction in minors may contribute to the development of antisocial behaviors, depression, anxiety and aggression. In 1978, the World Health Organization considered gambling in the context of mental disorders and included Ludomania in the International Classification of Diseases.

Information about gambling in Georgia appears in the 19th century, and the latest history of gambling dates back to the 90s. In 2022, the regulations set by the Georgian government prohibited the advertising of gambling games, established an age limit, and prohibited public officials and socially vulnerable individuals from participating in gambling games.

Considering the importance and relevance of the research problem, the aim of the study was to determine the attitudes of students towards gambling. Qualitative research method - in-depth interview - was used in the research. The data obtained as a result of the research were analyzed according to demographic characteristics.

Key words: gambling, ludomania, gambling.

მანიპულაცია როგორც მართვის მძლავრი იარაღი

თამარ აბესაძე,

გიორგი ბალაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

მანიპულაცია შეიძლება ჩაითვალოს დღევანდელი მართვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემად.

მკვლევარების აზრით, დესტრუქციული ფსიქიკის მქონე პიროვნება, მანიპულირების გზით იმდღეს თვითშეფასებას. მანიპულატორი თავს გრძობს ყოვლისშემძლე ადამიანად, რომელმაც ზუსტად იცის როგორია მსხვერპლის ფსიქიკა და სარგებლობს ამით შედეგის მისაღწევად. ასეთ დროს, იგი განიცდის ადრენალინის მოზღვავებას, შესაბამისად კმაყოფილებას და შემდეგ ხდება ამაზე დამოკიდებული.

ის არის ადამიანი, ვისაც სხვისი რესურსის „მოპარვით“ სურს თვითდამკვიდრება, ამ ყველაფერს კი ახორციელებს შეფარვით. გვაჯერებს იმ რეალობას რაც სურს თავად და ხელსაყრელი ძალაუფლების მოსაპოვებლად იყენებს ტექნიკებს.

ვინც არ უნდა იყოს ვიცით, რომ ნებისმიერ ადამიანს გააჩნია შიშის გრძობა და აქვს რაღაცის კომპლექსი. მანიპულატორები სწორედ ამ თვისებებით მანიპულირებენ. ზემოქმედებენ ჩვენი დისკომფორტის ზონაზე, იწვევენ შიშს, დანაშაულის და სირცხვილის განცდას.

ასევე მასმედია საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ დაითრგუნოს ადამიანის ფსიქიკა.

კონკრეტულად ვინ არიან ისინი? ან რა სურთ მათ ჩვენგან? მანიპულატორი ადამიანები შეიძლება იყვნენ თითოეული ადამიანის გარშემო და გვევლინებოდნენ როგორც; დედა, მამა, და-ძმა, მეგობარი, კოლეგა ან უფროსი.

მათი შემჩნევა არც თუ ისე ადვილია როგორც ერთი შეხედვით ჩანს, თუ ისინი არიან ჩვენთვის მნიშვნელოვანი ადამიანები, რომელზედაც ექვს არც კი მივიტანთ; არ გვსურს მათი წყენინება, ვპატიობთ ყველაფერს, გვინდა, რომ კარგად გრძობდნენ თავს. ამასობაში კი ვივიწყებთ იმას, რომ ჩვენც გვაქვს ემოციები და ვსაჭიროებთ გაგებას.

საკუთარ თავებს ვამჯობინებთ მათ კეთილდღეობას, სანაცვლოდ კი ვიღებთ არაჯანსაღ მიჯაჭვულობას, ჩაკეტვას, ყველაზე მწვავედ კი დეპრესიას.

ეს წრე დაუსრულებლად გრძელდება სანამ ინდივიდი არ გააცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს, მოთხოვნილებებს, რომ დააყენოს საკუთარი თავი უპირატესად და იცნოს სიტუაცია, რომელშიც იმყოფება. ცნობდეს მანიპულატორ ადამიანს ან ჯგუფებს, რომლებიც ახორციელებენ მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას და არ იყოს მსხვერპლის როლში.

საკვანძო სიტყვები: მანიპულაცია, ადამიანი, ჯგუფები, მიჯაჭვულობა, მასმედია, ფსიქოლოგიური ზეწოლა, მსხვერპლის როლი.

Manipulation can be considered as one of the actual problems of today

Tamar Abesadze,

Giorgi Balashvili

Georgian National University SEU

Abstract

According to the researchers, a person with a destructive psyche increases his self-esteem through manipulation. The manipulator feels like an all-powerful person who knows exactly what the victim's psyche is like and uses it to achieve results. At such times, he experiences a rush of adrenaline, hence satisfaction and then becomes addicted to it.

person who wants to establish himself by "stealing" other people's resources, and he does all this under cover. He makes us believe in the reality of what he wants and uses techniques to gain favorable power. No matter who they are, we know that every person has a sense of fear and has a complex of something. Manipulators manipulate these qualities.

They affect our discomfort zone, causing fear, guilt and shame. Mass media is also the best way to suppress the human psyche. Who exactly are they? Or what do they want from us? Manipulators can be around every person and appear as; parents, sibling, friend, colleague or boss.

It is not so easy to notice them as it seems at first glance, if they are important people for us, about whom we do not even suspect; We don't want to hurt them, we forgive everything, we want them to feel good. Meanwhile, we forget that we too have emotions and need to be understood.

We put their well-being before ourselves, and in return we get unhealthy attachments, blockages, and most acutely, depression. This cycle continues endlessly until the individual realizes his own abilities, needs to put himself first and recognize the situation in which he is impoverished. To recognize the manipulative person or groups that exert psychological pressure on him and not to be in the role of a victim.

Keywords: manipulation, a person groups, attachment, mass media, psychological pressure, the role of the victim.

გენდერული სტერეოტიპები ქართულ კულტურაში და ქალთა მიმართ ძალადობა

ნინო ირემაძე,

ნინო კვინიკაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

სტერეოტიპები არის განზოგადებული შეხედულებები ადამიანთა სხვადასხვა კატეგორიის მიმართ. გენდერული სტერეოტიპები ფსიქოლოგიური მახასიათებლებია. გენდერის, როგორც სოციალურ-კულტურული კონსტრუქტის განსაზღვრებისთვის მნიშვნელოვანია ტერმინების „სქესი“ და „გენდერი“ შორის განსხვავების გაგება.

გენდერული სტერეოტიპები განაპირობებს ქცევას, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში (ან კულტურაში), მოცემულ ისტორიულ პერიოდში, ითვლება რომელიმე სქესისთვის მეტად დამახასიათებლად. ასე მაგალითად: „კაცები მეტად აგრესიულები არიან“, „კაცები უფრო ჭკვიანები არიან“, „ქალები ზედმეტად ემოციურები არიან“, „ქალებს არ შეუძლიათ მანქანის მართვა კარგად“ და ა.შ.

გენდერული სტერეოტიპები გავლენას ახდენს პიროვნების ფორმირებაზე, ურთიერთობებზე, თვითრეალიზაციაზე, საზოგადოების ფუნქციონირებაზე.

გენდერული საკითხების კვლევათა ერთ-ერთი მიზანია გენდერის არა მხოლოდ მეცნიერული შესწავლა, არამედ საფუძვლის მომზადება გენდერული თანასწორობის მოდელის შესაქმნელად. ისევე როგორც, სტერეოტიპებსა და ძალადობას შორის კავშირის არსებობის დადგენა.

სხვადასხვა ქვეყნა და საზოგადოება, აქცენტს აკეთებს სქესთა შორის განსხვავებებზე. კვლევები აჩვენებს, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად შესწევთ უნარი განახორციელონ ერთნაირი ქცევა. მათ აქვთ თანაბარი პოტენციალი შეასრულონ ესა თუ ის სოციალური როლი და სამუშაო. შესაბამისად, არც ქალებზე ძალადობაა გამონაკლისი. ნებისმიერ საზოგადოებასა და კულტურაში არსებობს ქალისა და მამაკაცისთვის დადგენილი ქცევის ნორმები, ხასიათის თავისებურებები, ასევე, მიუღებელი ქცევის ნორმები, მანერები და სხვა. უფრო მეტიც, საზოგადოება ადგენს საქმიანობის ქალურ და/ან მამაკაცურ სფეროებს, პროფესიებს და ა.შ.

არსებობს თუ არა გენდერული როლები ფართოდ იყო შესწავლილი ინდოეთში, სადაც ერთდროულად თანაარსებობენ ტრადიციული და თანამედროვე იდეოლოგიები. როდესაც ინდოელ და ამერიკელ სტუდენტებს ეკითხებოდნენ, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს მათი კულტურის ქალს, ინდოელი სტუდენტი გოგონები იძლეოდნენ უფრო ტრადიციულ პასუხებს, ვიდრე - ამერიკელები.

დავინტერესდით, როგორ და რა სახითაა წარმოდგენილი გენდერული სტერეოტიპები ქართულ კულტურაში. მეტიც, ჩვენთვის საინტერესო იყო კორელაცია ქალთა მიმართ ძალადობასა და სტერეოტიპების არსებობას შორის. აქედან გამომდინარე, კვლევა ჩავატარეთ ქართველ სტუდენტებზე.

კვლევის მიზანი იყო: გენდერული სტერეოტიპების რაგვარობის დადგენა.

სტერეოტიპების გავლენის ხარისხი ქალთა მიმართ ძალადობაზე.

საკვლევი კითხვები:

- არსებობს თუ არა გენდერული სტერეოტიპები ქართულ კულტურაში?
- გენდერული სტერეოტიპების არსებობისას, როგორია მათი შინაარსი?
- როგორია გენდერული როლები და მათი გადანაწილება ქართულ კულტურაში?
- როგორია სტერეოტიპები გენდერული ჭრილის მიხედვით?
- არსებობს თუ არა კავშირი ქალთა მიმართ ძალადობასა და სტერეოტიპებს შორის?

კვლევის ჰიპოთეზები:

- ქართულ კულტურაში გენდერული სტერეოტიპები არსებობს;
- სტერეოტიპები და როლები განსხვავებულია გენდერულ ჭრილში.
- არსებობს ქალთა მიმართ ძალადობასა და სტერეოტიპებს შორის კავშირი.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჰიპოთეზები დადასტურდა.

საკვანძო სიტყვები: გენდერი, სტერეოტიპები, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული როლები, ძალადობა, ქალთა მიმართ ძალადობა.

Gender stereotypes in Georgian culture and violence against women

Nino Iremadze,

Nino Kvinikadze

Georgian National University SEU

Abstract

Stereotypes are generalized beliefs about different categories of people. Gender stereotypes are psychological characteristics. To define gender as a socio-cultural construct, it is important to understand the difference between the terms "sex" and "gender".

Gender stereotypes determine the behavior that in this or that society (or culture), in a given historical period, is considered to be more characteristic of a certain gender. For example: "Men are more aggressive", "Men are smarter", "Women are too emotional", "Women can't drive cars well", etc.

Gender stereotypes affect personality formation, relationships, self-realization, and society's functioning.

One of the goals of research on gender issues is not only the scientific study of gender, but also the preparation of the basis for creating models of gender equality. As well as establishing a link between stereotypes and violence.

Different countries and societies emphasize gender differences. Research shows that, in most cases, women and men are equally capable of performing the same behaviors. They have equal potential to fulfill this or that social role and work. Therefore, violence against women is no exception. In any society and culture, there are norms of behavior established for men and women, character traits, as well as norms of unacceptable behavior, manners, etc. Moreover, society establishes feminine and/or masculine spheres of activity, professions, etc.

Whether gender roles exist has been widely studied in India, where traditional and modern ideologies coexist. When Indian and American students were asked what qualities a woman in their culture should have, the Indian female students gave more traditional answers than the American ones.

We were interested in how and in what form gender stereotypes are presented in Georgian culture. Moreover, we were interested in the correlation between violence against women and the existence of stereotypes. Therefore, we conducted research on Georgian students.

The purpose of the research was: to determine the nature of gender stereotypes.

Degree of influence of stereotypes on violence against women.

Research questions:

- Are there gender stereotypes in Georgian culture?
- When there are gender stereotypes, what is their content?
- What are gender roles and their distribution in Georgian culture?
- What are the stereotypes based on the gender gap?
- Is there a connection between violence against women and stereotypes?

Research hypotheses:

- There are gender stereotypes in Georgian culture;
- Stereotypes and roles are different in terms of gender.
- There is a connection between violence against women and stereotypes.

Based on the research results, the hypotheses were confirmed.

Key words: gender, stereotypes, gender stereotypes, gender roles, violence, violence against women.

გარდატეხის ასაკი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ლიკა მამიაშვილი,

მარიამ ღარიბაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

გარდატეხის ასაკი, იგივე თინეიჯერობის ასაკი იწყება 11-12 წლიდან და გრძელდება 18-19 წლამდე. ამ პერიოდში ბავშვი იზრდება და ყალიბდება, როგორც დიდი. იცვლება მისი ფიზიკური გარეგნობა, იზრდება სწრაფად, უყალიბდება აბსტრაქტული აზროვნება, იძენს საკუთარ სექსუალურ და სოციალურ იდენტობას. მიიჩნევა, რომ მოზარდებს ახასიათებთ ექსტრემალური და დაუფიქრებელი კონფორმიზმი, ოღონდ თანატოლებთან მიმართებაში, უფროსებთან ურთიერთებაში შეიძლება პირიქით იყოს. მოზარდები მეტად ორიენტირებული არიან, თანატოლების შეხედულებებთან მორგებულ ქმედებებზე. მოზარდების 20-25 % -ს მშობლებთან სერიოზული პრობლემები აქვთ. ასაკის მატებასთან ერთად კონფლიქტების ოდენობა მცირდება.

გარდატეხის ასაკი ეს არის საკუთარი თავის წარმოჩენა, იდენტობის გამოკვეთა, მოზარდები თვლიან, რომ ამ დროს ისინი ბავშვები აღარ არიან. ასევე მოზარდები იწყებენ თვითგამორკვევას, ვინ ვარ მე.

ჩვენთვის ცნობილია, რომ გარდატეხის ასაკი რთული პერიოდია, ამ დროს მოზარდი ჩამოყალიბებულია, აგრესიულია, ემოციურია და ხშირ შემთხვევაში ურჩევნია განცალკევებით ყოფნა. გარდატეხის ასაკი განვითარების კრიზისული პერიოდია, რადგან თვისებრივად იცვლება ბავშვის ფიზიკური მდგომარეობა, მისი სხეული, ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარება. ეს პერიოდი გარდატეხაა ბავშვობიდან მოზარდილობაშიდა კრიზისულისწორედ იმიტომ, რომ ბავშვი უკვე აღარაა ბავშვი, მაგრამ არც მოზარდილი არაა. როგორ გაივლის ამ პერიოდს ბავშვი, როგორ დაუჭერენ მას მხარს მშობლები გარდატეხის ასაკის კრიზისის დასაძლევად და როგორი გამოცდილებით გამოვა ის ამ პერიოდიდან, ამაზე დამოკიდებული მისი პიროვნების ჩამოყალიბება, ფსიქიკური ჯანმრთელობა და მომავალი ცხოვრება.

ეს ის რიგი პრობლემებია, რომლებსაც გარდატეხის ასაკში ვაწყდებით. ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ იმ სხვა ძირეულ და სიღრმისეულ პრობლემებს, რომელიც ამ პერიოდისთვის არის დამახასიათებელი.

Age of transition and problems related to it

Lika Mamiashvili,

Mariam Gharibashvili

Georgian National University SEU

Abstract

The age of transition, the same as adolescence, begins at the age of 11-12 and lasts until the age of 18-19. During this period, the child grows and develops as an adult. His physical appearance changes, he grows rapidly, develops abstract thinking, acquires his own sexual and social identity. It is believed that teenagers are characterized by extreme and thoughtless conformity, but in relation to peers and adults it can be the opposite. Adolescents are more focused on actions adapted to the views of their peers. 20-25% of teenagers have serious problems with their parents. As age increases, the amount of conflicts decreases. Age of turning point it is a time of self-presentation, identification, adults believe that at this time they are no longer children. Also, adults start to figure out who we are. We know that the transition age is a difficult period, at this time the teenager is unformed, aggressive, emotional and in many cases, prefers to be apart. The age of transition is a critical period of development, because it changes qualitatively, physical condition of the child, his body, psychological and social development. This period is a turning point from childhood to adulthood, and because of that it is critical. A child is no longer a child, but not an adult either. How will the child pass this period? How will his parents support him to overcome the crisis of turning age and how? He will come out of this period with experience, it depends on his personality formation, mental health and future life. These are some of the problems that we face at the transition age. In the paperwork, we discuss the other fundamental and comprehensive problems that are characteristic of this period.

პანდემიის შემდგომი პერიოდი და სტრესი

სესილი ყალიჩავა,

ნატო დარსალია

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

პანდემიის შემდგომი პერიოდი, რომელიც რამდენიმე წელია, რაც არსებობს, მსოფლიო მასშტაბით მთელი რიგი ცვლილებების წინაპირობად იქცა. ბევრს საუბრობენ იმის შესახებ, თუ რამდენად შეიცვლება მსოფლიო პანდემიის შემდეგ. იწერება, რომ სხვანაირი გახდება სამუშაო სივრცე, ზოგადად, ის, თუ როგორ ვმუშაობთ, როგორ ვისვენებთ და რას ვფიქრობთ მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ამბობენ, რომ შეიცვლება და უკვე იცვლება ადამიანებს შორის

ურთიერთობის ფორმა, უფრო ჭარბად იქნება ვირტუალური ურთიერთობები, ადამიანები ფიზიკურად უფრო შორს იქნებიან ერთმანეთისგან.

პანდემიის პერიოდმა დიდად იმოქმედა ადამიანების მენტალურ ჯანმრთელობაზე, რამაც გამოიწვია სტრესი და სხვა დანარჩენი ფსიქოლოგიური პრობლემები. ძნელია, ითქვას, თუ რა კატაკლიზმები იჩენს თავს და როგორი დრამატული მოვლენები განვითარდება. რთულია ტრავმის გამომწვევ მიზეზების შემოწმება, რადგან ცხოვრება არაპროგნოზირებადია.

ჩვენი მიზანია, ვისაუბროთ პანდემიის შემდგომ პერიოდში არსებული სტრესის შესახებ, რომლითაც მოცულია მთელი სამყარო. სტრესი ეს არის მდგომარეობა, რომელიც რთული სიტუაციის საპასუხოდ წარმოიშობა. ამ დროს ადამიანი ისეთ პრობლემას ეჯახება, რომლის გადაჭრა მის ფსიქიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს აღემატება. დღევანდელ არასტაბილურ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში ასეთი პრობლემა მრავალადაა.

ფსიქოლოგიაში სტრესის რამდენიმე ტიპს გამოყოფენ: ინტერპერსონალურ ურთიერთობებთან დაკავშირებულს, ინფორმაციულს, მოტივაციურს, პიროვნული ფაქტორებით გამოწვეულს და სხვა.

თანამედროვე სამეცნიერო წრეებში მიღებული განმარტების თანახმად, სტრესი იმ დამცავი ფიზიოლოგიური რეაქციების ერთობლიობაა, რომლებიც გარემოს არახელსაყრელი ფაქტორების ზემოქმედების საპასუხოდ წარმოიშობა ორგანიზმში. პანდემიის შემდგომ პერიოდში ადამიანი მიხვდა, რომ ბუნებრივი სამყაროს ხელყოფა ჩვენს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას საბედისწერო საფრთხეს შეუქმნის. ეს არის საკმაოდ სერიოზული საკითხი, რამაც სამყარო დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა.

Post-pandemic period and stress

Sesili Kalichava,

Nato Darsalia

Georgian National University SEU

Abstract

The post-pandemic period, which has existed for several years, has become a prerequisite for a number of changes worldwide. There is a lot of talk about how much the world will change after the pandemic. It is written that the work space, in general, how we work, how we rest and what we think about current events will become different. It is said that the form of relationships between people will change and is already changing, there will be more virtual relationships, there will be distance between people.

The pandemic period has greatly affected people's mental health, causing stress and other psychological problems. It is difficult to say what cataclysms will appear and what dramatic events will unfold. It is difficult to examine the causes of trauma because life is unpredictable.

Our goal is to talk about the post-pandemic stress that has engulfed the entire world. Stress is a condition that arises in response to a difficult situation. At this time, a person faces such a problem, the solution of which exceeds his mental and intellectual abilities. In today's unstable socio-economic conditions, there are many such problems.

In psychology, several types of stress are distinguished: related to interpersonal relations, informational, motivational, caused by personal factors, and others.

According to the definition accepted in modern scientific circles, stress is a set of protective physiological reactions that arise in the body in response to adverse environmental factors. In the post-pandemic period, people have realized that tampering with the natural world poses a fatal threat to our health and well-being, a serious issue that has presented the world with major challenges. This is quite a serious issue that has put the world in front of great challenges.

აკადემიური სტრესის მიხედვით სტუდენტების კვლევა გენდერულ კრილში

გვანცა ჯაბაური,

მანანო ღონღაძე

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ მთავარ პირობას აკადემიური დაწესებულებების მხრიდან ხარისხიანი და ხელმისაწვდომი განათლების უზრუნველყოფა წარმოადგენს. აკადემიურ სფეროში სისტემური ცოდნის დაუფლების პროცესი სტუდენტებისთვის მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული. აკადემიური განათლება სოციო-კულტურული ნორმების, ღირებულებების ჩამოყალიბების, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც თავისი არსით შეიძლება ითქვას, რომ სცილდება საგანმანათლებლო საქმიანობის ინსტიტუციურად აღიარებულ ჩარჩოებს. აკადემიურ სივრცეში ადაპტირება სწავლის საწყის ეტაპზე სტუდენტებისთვის მნიშვნელოვან სირთულედ არის მიჩნეული. ახალი ინფორმაციების ათვისება, გადამუშავება და ანალიზი, გამოცდებისთვის მზადება, სოციალური კავშირების დამყარება, შემჭიდროვებულ ვადებში დავალებებზე მუშაობა, დროის სწორი მენეჯმენტი მკვლევართა თანახმად, ძირითადად დაკავშირებულია დისკომფორტისა და სტრესის წარმოქმნასთან. სტრესის შედეგები სტუდენტებთან შესაძლოა განსხვავებული იყოს გენდერულად და დაკავშირებული იყოს ფიზიკურ, კოგნიტურ, ემოციურ და ქცევით კატეგორიებთან, რომლის სიმპტომებად განიხილება ძილის და კვების დარღვევები, გაღიზიანებადობა, დაბალი კონცენტრაცია, ინტერესის დაკარგვა, შფოთვა, სოციალური იზოლაცია და ა.შ. აღსანიშნავია, რომ კოვიდპანდემიის პირობებში, სტუდენტების წინაშე

არსებული ფსიქო-სოციალური, ეკონომიკური გამოწვევები მათთვის დამატებით, სტრესის მნიშვნელოვან განმსაზღვრელად გამოიკვეთა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, კვლევის მიზნად განისაზღვრა გაანალიზებულიყო სტუდენტების აკადემიური სტრესი გენდერულ ჭრილში. კვლევის მიზნის მისაღწევად, კვლევის მეთოდად გამოყენებულ იქნა თვისებრივი მეთოდი - სიღრმისეული ინტერვიუ. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელი გახდა განსაზღვრულიყო აკადემიური სტრესის თვალსაზრისით განსხვავებები სტუდენტებთან გენდერის და სხვადასხვა დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით.

საკვანძო სიტყვები: სტრესი, გენდერი, განათლება, უმაღლესი სასწავლებელი.

A survey of students according to academic stress in terms of gender

Gvantsa Jabauri,

Manano Ghongadze

Gori State University

Abstract

One of the main conditions for the sustainable development of the country is the provision of quality and affordable education by academic institutions. The process of acquiring systematic knowledge in the academic field is associated with many challenges for students. Academic education is the main factor contributing to the formation of socio-cultural norms, values, realization of personal potential and competitiveness in the labor market, which in its essence can be said to go beyond the institutionally recognized framework of educational activity. Adapting to the academic space is considered a significant difficulty for students at the initial stage of their studies. Acquiring, processing and analyzing new information, preparing for exams, establishing social connections, working on tasks under tight deadlines, correct time management, according to researchers, are mainly related to the occurrence of discomfort and stress. The consequences of stress in students may be different by gender and related to physical, cognitive, emotional and behavioral categories, the symptoms of which are sleep and eating disorders, irritability, low concentration, loss of interest, anxiety, social isolation, etc. It is worth noting that in the conditions of the covid pandemic, the psycho-social and economic challenges faced by the students were additionally identified as important determinants of stress. Based on the above, the aim of the study was to analyze the academic stress of students in terms of gender. In order to achieve the goal of the research, a qualitative method - an in-depth interview - was used as a research method. Based on the analysis of the obtained results, it was possible to determine differences in terms of academic stress with students according to gender and different demographic characteristics.

Key words: stress, gender, education, higher education.

ბრბოს ფსიქოლოგია

ნინო შაინიძე,

ანი ბაკაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ბრბოს ფსიქოლოგია და მისი გავლენა ადამიანზე ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და პრობლემური საკითხია. ისტორიის მანძილზე ცალკეული ადამიანები თუ გარკვეული ჯგუფები თავისი იდეოლოგიის ქვეშ აქცევდნენ და მართავდნენ საზოგადოების ფართო ფენებს. სამყაროში ყველაზე დიდი სიკეთის პარარელურად, ყველაზე დიდი პოროტების მატარებელი არსება ადამიანია.

ადამიანის სულიერი სამყაროს შექმნასა და ჩამოყალიბებაში მთავარია საზოგადოება, რომლის ნაწილიც თვითონაა, სწორედ ის უბიძგებს ადამიანში სიკეთისა და ბოროტების გაღვივებას. ბრბოს ფსიქოლოგიის შესწავლა მრავალმა მეცნიერმა და გამოჩენილმა ადამიანმა სცადა.

გუსტავ ლე ბონის აზრით, ბრბოს კოლექციური ემოციის ზეგავლენით ადამიანს ისეთი რამის ჩადენა შეუძლია, რაც მისი პიროვნებისთვის სრულიად უცხოა.

„ბრბოში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც საერთო აღზნება გადაეცემა, კარგავს კრიტიკული განსჯის უნარს და ემორჩილება მასის მოქმედებას.“

გადის მრავალი საუკუნე და ზოგიერთ ადამიანში მიჩქმალულად, მაგრამ გულში მაინც არსებობს ბოროტი, ცხოველური, ბარბაროსული, მავნებლური, მწვალებლური საწყისები. ამ ყველაფრის გადასაჭრელად ვერც ცივილიზაცია, ვერც ცოდნა და თანამედროვე განათლება ვერ უმკლავდება. როგორც ლიტერატურაში ასევე რეალურ ცხოვრებაში ეს ძალიან რთული გზა აღმოჩნდა. ამ პრობლემის მოგვარებისთვის უნდა მივმართოთ თავისუფალ, დემოკრატიულ, პროგრესულ საზოგადოებას, სადაც უფრო მარტივია ადამიანი იქცეს პიროვნებად, სადაც ადამიანი საკუთარ იდენტობას თავად განსაზღვრავს. აკაკი წერეთელი წერს: „მაგრამ მხოლოდ წვრთნა რას უზამს თუ ბუნებამ არ უშველა“. ვერც წვრთნა და ვერც ბუნება ვერ ხსნის ადამიანის ქცევის ჭეშმარიტ არსს.

საკვანძო სიტყვები: ბრბო, მასების ფსიქოლოგია, ბრბო და ინდივიდი, პასუხისმგებლობის დიფუზია, დეინდივიდუალიზაცია, კოლექტივის წევრობა, ლიდერი, შიშის დაძლევა, აგრესიის გამოხატვა, ბრბოს კლასიფიკაცია, ბრბოს მახასიათებლები.

Crowd psychology

Nino Shainidze,

Ani Bakashvili

Georgian National University SEU

Abstract

Crowd psychology and its influence on people is one of the most pressing and problematic issues. Throughout history, individual people or certain groups have subjugated and ruled broad sections of society under their ideology. In parallel with the greatest good in the world, the creature carrying the greatest evil is man.

The main thing in the creation and formation of the spiritual world of a person is the society of which he is a part, it is he who encourages the awakening of good and evil in a person. Many scientists and prominent people tried to study crowd psychology.

According to Gustave Le Bon, under the influence of the collective emotion of the crowd, a person can commit something that is completely foreign to his personality.

"A man caught in a crowd, and carried away by the general excitement, loses his faculty of critical judgment, and submits to the action of the crowd."

Many centuries pass and in some people it is tamed, but still there are evil, animalistic, barbaric, harmful, heretical beginnings in the heart. Neither civilization, knowledge nor modern education can solve all this. Both in literature and in real life it turned out to be a very difficult path. To solve this problem, we should turn to a free, democratic, progressive society, where it is easier for a person to become a person, where a person defines his own identity. Akaki Tsereteli writes: "But what does training do if nature doesn't help." Neither training nor nature can explain the true essence of human behavior.

Keywords: crowd, mass psychology, crowd and individual, diffusion of responsibility, deindividuation, collective membership, leader, overcoming fear, expression of aggression, crowd classification, crowd characteristics.

კომპლექსი - ადამიანის ბუნების ნაწილი

მაკა კოკოზაშვილი,

ნინო მარტიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

გავრცელებული მოსაზრებით, ნებისმიერი კომპლექსი უსარგებლო ფენომენია, რომლის უგულებელყოფის შემთხვევაში ყველაფერი კარგად იქნება. კომპლექსები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ადამიანის ცხოვრებაზე, მის პიროვნებაზე და ეს გავლენა ხშირად დამაბრკოლებელი და უარყოფითია. ემოციასთან დაკავშირებული ყველა მოვლენა კომპლექსია, ზოგი მამოძრავებელი, ზოგი კი დამამუხრუჭებელია. ის გარკვეული მოვლენების ურთიერთკავშირია, ხოლო მისი ანტაგონისტური მდგომარეობაა უკომპლექსობა. პრაქტიკულად კომპლექსის არქონა ფსიქიკური აქტივობის არარსებობაა. თუ კომპლექსს შემზოჭველ ფაქტორად განვიხილავთ, მის საპირწონედ თავისუფლება გამოდის. თუმცა, თავისუფლება არ ნიშნავს, რომ ადამიანს ჯანსაღი კომპლექსი არ აქვს. არის შემთხვევები, როდესაც ინდივიდი განიცდის საზოგადოების მხრიდან მისი მისამართით განხორციელებულ ზეწოლას. აქ განირჩევა თავსმოხვეული და გამოცდილების შედეგად მიღებული კომპლექსები. კომპლექსების გადალახვა არ არის მარტივი, რადგან პირველ რიგში საჭიროა მოვიძიოთ კომპლექსის წყარო და წარმოშობის მომენტი ანუ როდის და რატომ გაჩნდა იგი. როდესაც ეს მომენტი ან მომენტები იქნება ნაპოვნი ამის შემდეგ იწყება ანალიზი თუ რამდენად ადეკვატური იყო ის გამოწვევა, რომელიც ვერ ან არ გადაილახა ჩვენს მიერ და ამის შემდეგ გავიაზროთ თუ რამდენად არის იგი დაკავშირებული წარსულ გამოცდილებასთან. თუ კომპლექსები ხელოვნურად დაბალი ან მაღალი პიროვნული და ქცევითი სტანდარტების ნაყოფია ხომ არ სჯობს, რომ იგი მოვარგოთ რეალურ შესაძლებლობებს, რადგან ხელოვნური სტანდარტი კმაყოფილების გრძნობას აიშვიათებს. ამის შემდგომ კი იწყება მოცემული მდგომარეობის გადაფასება, შედარება და ადეკვატური შეფასება. სწორედ ასეთი სიღრმისეული ანალიზის შემდგომ შესაძლოა გადაილახოს წარსულში წარმოშობილი კომპლექსები. ჩვენს მიერ ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუმ და google docs მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ადამიანთა უმრავლესობას აქვს ფარული კომპლექსები(უხილავი), რომლებსაც ვერც კი ამჩნევენ.

საკვანძო სიტყვები: ანტაგონისტური მდგომარეობა, ხელოვნური სტანდარტი, ქცევითი სტანდარტების ნაყოფი.

Complex - part of human nature

Maka Kokozashvili,

Nino Martiashvili

Georgian National University SEU

Abstract

According to the common opinion, any complex is a useless phenomenon, if ignored, everything will be fine. Complexes have a significant impact on a person's life and personality, and this impact is often disruptive and negative. All events related to emotion are complex, some are driving and others are inhibiting. It is the interrelationship of certain events, and its antagonistic condition is uncomplexity. In practice, the absence of a complex is the absence of mental activity. If we consider the complex as a binding factor, its counterbalance is freedom. However, freedom does not mean that a person does not have a healthy complex. There are cases when an individual experiences pressure from society. Here a distinction is made between self-winding and experiential complexes. Overcoming complexes is not easy, because first of all we need to find the source and the moment of origin of the complex, i.e. when and why it appeared. Then consider how much it is related to past experience. If complexes are the result of artificially low or high personal and behavioral standards, isn't it better to adapt them to real possibilities, because an artificial standard makes the feeling of satisfaction rare. After that, the reassessment, comparison and adequate assessment of the given situation begins. It is after this kind of in-depth analysis that the complexes that arose in the past can be overcome. Our in-depth interviews and Google Docs survey confirmed that most people have hidden complexes (invisible) that they don't even notice.

Key words: antagonistic situation, artificial standard, the result of behavioral standards.

ობიექტი ურთიერთობის თეორია და მიჯაჭვულობის თეორია

გვანცა ნოზაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ობიექტი ურთიერთობის თეორია და მიჯაჭვულობის თეორია ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია რადგან ამ თეორიებში ხაზგასმულია შვილსა და მასზე მზრუნველს შორის მტკიცე ემოციური კავშირის არსებობა, რაც თანამედროვე ცხოვრებაში დიდ პრობლემას წარმოადგენს. ბოულბი ამბობს რომ „მიჯაჭვულობა არის ემოციური თოკი რომელიც ძლიერად აკავშირებს ორ ადამიანს დროსა და სივრცეში“ ეს არის ძლიერი ემოციური ურთიერთკავშირი

რომელიც განუსაზღვრელი დროით ნარჩუნდება ორ ადამიანს შორის მაშინაც კი როცა ეს ადამიანები ერთმანეთს სცილდებიან.

ეს ორი თეორია გარკვეულწილად განსხვავდება კიდევ ერთმანეთისაგან ობიექტი ურთიერთობის თეორიის მიხედვით რომლის ავტორიცაა მელანი კლაინი მიიჩნევს რომ სამყაროს ჩვენეულ აღქმას და განცდას ცხოვრების მნიშვნელოვან ადამიანებთან ობიექტებთან ურთიერთობა ქმნის რომელთა მიმართაც ბავშვი განიცდის სიყვარულს ან სიძულვილს, ამის საპირისპიროდ მიჯაჭვულობის თეორიით დამტკიცდა რომ დედასა და შვილს შორის არსებობს პირდაპირი და პირველადი ინსტიქტური მიჯაჭვულობა, რომელიც არ არის გაშუალებული დედის როგორც საჭიროების ობიექტის როლით.

ფსიქოანალიტიკოსი ბოულბი მიიჩნევს რომ ჩვილობის ასაკიდან ადამიანი სოციალური და ემოციური განვითარების რამოდენიმე ფაზას გადის პირველ ყველაზე ახლო და მნიშვნელოვან კავშირს ჩვილი ამყარებს დედასთან, მას დედასთან მყარი მიჯაჭვულობის გარეშე არ შეუძლია იცოცხლოს და განვითარდეს.

არამყარი მიჯაჭვულობის განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს ოჯახურ ურთიერთობათა დარღვევა, მნიშვნელობა აქვს იმას თუ როგორი ემოციური ურთიერთობა აქვს ბავშვს მშობელთან, სასურველი შვილია ის თუ არა ასევე მზრუნველთან მოულოდნელი განშორება.

მიჯაჭვულობის გრძნობის დარღვევა ადამიანში იწვევს მთელ რიგ პრობლემებს, არამყარი მიჯაჭვულობა გავლენას ახდენს სინდისის, პირადი ღირსების, ემპათიის უნარზე, ასევე ის გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ, ფიზიკურ სოციალურ და გონებრივი განვითარების შეფერხებასაც იწვევს. მიჯაჭვულობის გრძნობის გარეშე ბავშვი სრულყოფილად ვერ ვითარდება ამის ნათელი მაგალითია იმ ბავშვთა მონაცემები რომელთაც მყარი მიჯაჭვულობა ვერ ჩამოუყალიბდათ რის გამოც ისინი მიმართავენ სისადტიკეს, თვითდაზიანებას, ქურდობას და მრავალ პროსოციალურ ქცევას, რაც არასანდო და განრიდებული მიჯაჭვულობის დროს ყალიბდება.

საკვანძო სიტყვები: მიჯაჭვულობა, ობიექტი ურთიერთობა, მყარი და არამყარი მიჯაჭვულობა, განრიდებული მიჯაჭვულობა.

Object relations theory and attachment theory

Gvantsa Nozadze

Georgian National University SEU

Abstract

Object relationship theory and attachment theory are very relevant and important because these theories emphasize the existence of a strong emotional bond between the child and the caregiver, which is a big problem in modern life. Bowlby says that "attachment is an emotional cord that binds two

people strongly across time and space." It is a strong emotional connection that lasts indefinitely between two people even when these people are far from each other. These two theories are somewhat different from each other according to the object relations theory, the author of which is Melanie Klein, who believes that our perception and feeling of the world is created by the relationship with the important people in life and the objects towards which the child feels love or hate. In contrast, attachment theory proved that there is a direct and primary instinctive attachment between mother and child, which is not mediated by the role of mother as an object of need. Psychoanalyst Bowlby believes that from the age of infancy a person goes through several phases of social and emotional development. The first closest and most important connection is established by the infant with the mother, he cannot live and develop without a strong attachment to the mother. The reason for the development of unstable attachment can be the violation of family relations, it is important what kind of emotional relationship the child has with the parent, whether he is the desired child or not, as well as sudden separation from the caregiver. Violation of the sense of attachment in a person causes a number of problems, unstable attachment affects the ability of conscience, personal dignity, empathy, it also affects the child's emotional, physical, social and mental development. A child cannot develop fully without a sense of attachment. A clear example of this is the data of children who have not formed a solid attachment, which is why they resort to cruelty, self-harm, theft and many prosocial behaviors that are formed during unreliable and deviant attachment.

Keywords: attachment, objekt relationship, solid end non-solid attachment, diverted attachment.

დეპრესიის გამომწვევი მიზეზები ქალებში

მარიამ ჯალაღონია,

ქეთი სალაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

დეპრესია ბოლო ათწლეულების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფსიქიკური აშლილობის ფორმაა. იგი ადამიანის შინაგანი მდგომარეობა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად ვლინდება. დეპრესია იწვევს ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბებას, სევდას, გუნებისა და თვითშეფასების გაუარესებას, ცხოვრებისადმი ინტერესის დაკარგვას. თუ რომელიმე დაავადებას რაინდობა ახასიათებს დეპრესია მათ რიცხვს ნამდვილად არ მიეკუთვნება, რადგან ქალები ორჯერ უფრო ხშირად ხვდებიან მის კლანჭებში. ეს ყოველივე დასტურდება უკვე არსებული მონაცემებით, კერძოდ, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, გამოვლინდა, რომ მსოფლიოში 350 მილიონი ადამიანი იტანჯება ამ დაავადებით და მათ შორის ყოველი მესამე არის ქალი. ამავე კვლევების თანახმად, ირკვევა ისიც, რომ დეპრესია აქვს ქალების 20%-ს და მამაკაცების 13%-ს სუიციდით სიცოცხლეს

კი 15% ამთავრებს. ვინაიდან, დეპრესია ფსიქიკური აშლილობის ყველაზე გავრცელებულ ფორმას გადაწვევით გვეწარმოებინა კვლევა იმის დასადგენად თუ რამდენად ხშირად განიცდიან პედაგოგი ქალები დეპრესიას, ხოლო უკვე ჩატარებული კვლევების საფუძველზე იდენტიფიცირდა ის ძირითადი მიზეზები, რაც იწვევს დეპრესიას ქალებში.

ესენია: ძლიერი ცხოვრებისეული სტრესი, ფინანსური პრობლემები, ბავშვობაში გადატანილი ფსიქოლოგიური სტრესი, სოციალური ურთიერთობის ნაკლებობა და ამავე დროს ყველაზე გავრცელებული მიზეზებია, სექსუალური და ფიზიკური ძალადობა.

საკვანძო სიტყვები: სუიციდი, ფსიქიკური აშლილობა, ძალადობა, ნეგატიური განწყობა.

Causes of Depression in Women

Mariam Jalaghonia,

Keti Saladze

Georgian National University SEU

Abstract

Depression has become one of the most common mental disorders in recent decades. It is an internal state of the individual, and it manifests itself in each individual case. Depression causes a negative mood, sadness, deterioration of mood and self-esteem, loss of interest in life. If any disease is chivalrous, depression is definitely not one of them, as women are twice as likely to fall into its clutches. And this is backed up by the data that we already have, which is a study by the World Health Organization that shows that 350 million people worldwide are affected by this disease, and one in three of them are women. According to the same studies, it is also clear that 20% of women and 13% of men have depression, and 15% commit suicide. Since depression is the most common form of mental disorder, we decided to conduct a study to determine how often female teachers suffer from depression, and on the basis of already conducted studies, the main reasons that cause depression in women were identified.

These are: strong life stress, financial problems, psychological stress experienced in childhood, lack of social interaction, and at the same time, the most common causes are sexual and physical violence.

Keywords: suicide, mental disorder, violence, negative mood.

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში

დიანა კვინიკაძე,

მარიამ კვანჭილაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობა თანამედროვე საზოგადოებისთვის მწვავე პრობლემას წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთ მტკიცებულებად მრავალ ფაქტორთან ერთად შესაძლოა ფემიციდის მზარდი ტენდენცია იქნას განხილული. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ოჯახში ძალადობა გულისხმობს „ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და სექსუალური ძალადობით ან იძულებით“.⁷ ოჯახში ძალადობა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა, რომელიც მრავალ გრძელვადიან ნეგატიურ შედეგთან არის დაკავშირებული. გაეროს მოსახლეობის ფონდის თანახმად, ოჯახში ქალების მიმართ განხორციელებული ძალადობა საფრთხის შემცველია მსხვერპლთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის თვალსაზრისით, განაპირობებს ქალთა ღირსების შელახვას. ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის, ფემიციდისა თუ აგრესიის სხვა გამოხატულებები დესტრუქციულ გავლენას ახდენს საზოგადოების ჯანსაღ ფუნქციონირებაზე, ჰარმონიულ თანაარსებობასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ წესრიგზე. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაშრომის მიზნად განისაზღვრა დადგენილიყო ქალთა მიმართ ძალადობის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები საქართველოში. კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა მეტა-ანალიზი და მეორეულ მონაცემთა ანალიზი, რომლის საშუალებითაც, ამ მიმართულებით ჩატარებულ უახლეს კვლევებზე დაყრდნობით გაანალიზებულ იქნა და გამოიყო ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები: ცნობიერების დაბალი დონე, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: ძალადობა, ფემიციდი, გენდერული დისკრიმინაცია.

⁷ მე-3 მუხლი, საქ. კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის და მსხვერპლის დაცვის და დახმარების შესახებ.

Research on domestic violence against women in Georgia

Diana Kvinikadze,

Mariam Kvanchilashvili

Georgian National University SEU

Abstract

Violence against women in the family is an acute problem for modern society, one of the proofs of which, along with many factors, can be considered the growing trend of femicide. According to the law of Georgia "On Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Domestic Violence", domestic violence refers to "violation of the constitutional rights and freedoms of one family member by physical, psychological, economic and sexual violence or coercion".⁸ Domestic violence is one of the most common forms of violation of fundamental human rights, which is associated with many long-term negative consequences. According to the United Nations Population Fund, domestic violence against women poses a threat to the victims' physical and mental health, security and independence, and undermines women's dignity. Violence against women in the family, femicide or other expressions of aggression have a destructive effect on the healthy functioning of society, harmonious coexistence and order based on democratic values. Taking this into account, the aim of the paper was to determine the main factors contributing to violence against women in Georgia. To achieve the goal of the research, meta-analysis and secondary data analysis were used, through which, based on the latest research conducted in this direction, the main factors contributing to violence against women in the family were analyzed and identified: low level of awareness, socio-psychological, economic and cultural aspects.

Keywords: violence, femicide, gender discrimination.

⁸ Law on Prevention of Domestic Violence, Protection and Assistance of Victims of Domestic Violence, Article 3.

სამართალი

სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება

ქეთევან ძეგისაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულება (Obligation to tolerate neighbouring nuisances), არის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ გათვალისწინებული და კოდექსი 175-ე მუხლით განმარტავს რა შემთხვევაშიც წარმოეშობათ პირებს თმენის ვალდებულება. იქამდე სანამ აღნიშნულ საკითხს განვიხილავთ, მანადე უნდა აღინიშნოს, რომ „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ წესრიგდება პირადი ურთიერთობები, საოჯახო ურთიერთობები, კერძო ხასიათის ქონებრივი ურთიერთობები და ეს ურთიერთობები აუცილებლად პირთა თანასწორობაზე უნდა იყოს დამყარებული. პირთა თანასწორობაზე ნიშნავს იმას, რომ სამოქალაქო სამართლში ურთიერთობები არის ჰორიზონტალური ანუ პირები ერთნაირ საწყისებზე არიან და ერთნაირი უფლებები აქვთ.

რაც შეეხება უშუალოდ სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებას (Obligation to tolerate neighbouring nuisances), აღნიშნული მოწესრიგებულია სამეზობლო სამართლით და სამეზობლო სამართალი მოწესრიგებულია სანივთო სამართლით.

„საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 175-ე მუხლი აწესრიგებს სამეზობლო ზემოქმედებათა თმენის ვალდებულებას (Obligation to tolerate neighbouring nuisances). „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ მიიღეს 1997 წლის 26 ივნისს და მას შემდეგ კანონმდებლობაში შესულია უამრავი ცვლილება თუმცა, სსკ-ის 175-ე მუხლში არ განხორციელებულა ცვლილება.

1. ნაშრომში განხილულია 175-ე მუხლი დეტალურად;
2. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 175-ე მუხლი შედგება სამი ნაწილისაგან;
3. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზეც, რომლებიც არ არის დაკონკრეტებული, და პრაქტიკასთან გააჩნია მჭიდრო კავშირი.

ამრიგად, ნაშრომში მოცემულია ის საკითხები, რაც მოწესრიგებულია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსით“ და ასევე რამაც შესაძლებელია აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს და არ არის დაკონკრეტებული.

Obligation to tolerate neighbouring nuisances

Ketevan Dzebisashvili

Georgian National University SEU

Abstract

The obligation to tolerate neighborhood impacts is stipulated by the "Civil Code of Georgia" and Article 175 of the Code explains in which cases the obligation of tolerance arises. Until we consider the said issue, Before we discuss, it should be noted that the "Civil Code of Georgia" regulates personal relationships, family relationships, Property relations of a private nature and these relations must necessarily be based on the equality of persons.

Equality of persons means that relations in civil law are horizontal, that is, persons are on the same basis and have the same rights. As for the obligation to tolerate neighborhood impacts directly, the aforementioned is regulated by neighborhood law and neighborhood law is regulated by commercial law. Article 175 of the Civil Code of Georgia regulates the obligation to tolerate neighborhood impacts.

"Civil Code of Georgia" was adopted on June 26, 1997, and since then numerous changes have been made to the legislation, however, no changes were made to Article 175 of the Civil Code.

1. Article 175 is discussed in detail in the paper;
2. Article 175 of the Civil Code of Georgia consists of three parts;
3. The work focuses on issues that are not specified and have a close connection with practice.

Thus, the work presents the issues that are regulated by the "Civil Code of Georgia" and also those that may cause differences of opinion and are not specified.

კომლის მემკვიდრის სტატუსი და სახეები

ირაკლი ლეონიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საქართველოს კანონმდებლობით არ განისაზღვრება კომლის მემკვიდრეების სახეები, რაც პრობლემას ქმნის თეორიასა და პრაქტიკაში კომლის მემკვიდრის სტატუსის დადგენისას. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია დასაბუთებული სამართლებრივი დანაწესების შემუშავება, რათა მოქალაქეებს ჰქონდეთ წინასწარი წარმოდგენა კომლში სტატუსისა და იურიდიული ინტერესის შესახებ, რომელსაც დააფუძნებენ თავიანთ მოთხოვნებს. ამ თვალსაზრისით შესაძლებელია სამოქალაქო კოდექსის რამდენიმე ნორმის განმარტებით ჩამოყალიბდეს მსჯელობა კომლის მემკვიდრეთა შემდეგი სახეების შესახებ: 1.

კომლის ბოლო წევრი, რომელიც არის ჩანაწერში აღნიშნული ცოცხლად დარჩენილი ფიზიკური პირი - კომლის წევრი მემკვიდრე; 2. კომლის წევრი კანონისმიერი მემკვიდრე (კომლის წევრები შესაძლოა ურთიერთმემკვიდრეები იყვნენ და მათი სტატუსი განისაზღვრებოდა კანონისმიერი მემკვიდრეობის რიგითობის დაცვით, თუმცა, კომლის წევრობით განპირობებული უფლებრივი თანაბრობით); 3. კომლის წევრი ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელიც ანდერძის წესით დასახელდა მემკვიდრედ და კანონის დაცვით, ასეთი შესაძლებლობის არსებობისას, ჩაიწერა კომლში წევრად; 4. კომლის არაწევრი კანონისმიერი მემკვიდრე (მემკვიდრის სტატუსი განისაზღვრება ურთიერთმემკვიდრეობისა და კანონისმიერი მემკვიდრეობის რიგითობის დაცვით); 5. კომლის არაწევრი ანდერძისმიერი მემკვიდრე, რომელზეც ადრეულ ხანში გაიცა კომლის ქონება ან მისი ნაწილი კომლის ბოლო ან სხვა წევრის მიერ; 6. კომლის წევრი ან არაწევრი, სამემკვიდრეო სტატუსის არმქონე პირი, რომელიც ასახელებს თავის სამართლიან მოთხოვნას ან ზღუდავს სხვა პირთა მოთხოვნის წარმოდგენას ამ ქონებაზე. ეს ცნებები ერთმანეთისგან თეორიულად რთულად არის გამოიჯვანადი და პრაქტიკულად თანამკვეთია, რის გამოც შესაძლებელია, რომ სათანადოდ არ იყოს დაცული ზღვარი ერთ ან ორ ცნებას შორის. არსებულ კანონმდებლობას არ გააჩნია ჩამკვეტი მექანიზმი, რომელიც კომლთან შემხებლობაში მყოფ პირს კონკრეტულ სტატუსს მიანიჭებდა და ამ სტატუსის ფარგლებში განუსაზღვრავდა მოთხოვნის წარმოდგენის კანონისმიერ საფუძვლებს. სწორედ ამიტომ, კვლევა მიზნად ისახავს კომლის შესახებ ცნობიერების გაღრმავებას და კომლის მემკვიდრეების უფლებების დაცვის საკითხის წინ წამოწევას კერძო სამართალში.

The Status and Types of the Heir in Household

Irakli Leonidze

Tbilisi State University

Abstract

Nowadays Georgian legislation does not define the types of household heirs, which makes a problem in law theory and practice. To solve this problem, it is important to develop legal provisions that citizens have a preliminary opinions about the status in the household and the legal interest on which to base their judicial demands. From this point of view, it is possible to create a discussion about the following types of heirs of the household: 1. The last member of the household, who is the only surviving person mentioned in the household; 2. A member of a household is a legal heir (the members of the household may be heirs and their status is determined by observing the order of legal inheritance, however, with equal rights due to family membership); 3. A member of a household, a testamentary heir, who was named as an heir by will and, in accordance with the law, when such an opportunity exists, was registered as a member of the household; 4. A legal heir who is not a member of the household (the status of the heir is determined by observing the order of mutual inheritance and legal inheritance); 5.

A testamentary heir who is not a member of the household, to whom the property of the household or its part was given by the last or other member of the household in the early years; 6. A member or non-member of the household, a person without hereditary status, who asserts his just claim or limits the claim of other persons to this property. These concepts are theoretically difficult to separate from each other, but in practice they overlap, which is why it is possible that the boundary between one or two concepts is not properly protected. The legislation does not have a locking mechanism that would assign a specific status to the person in contact with the household and define the legal grounds for making a request within this status. That is why the research aims to increase the awareness about the family and to advance the issue of protection of the rights of the heirs of the family in private law.

სამემკვიდრეო სამართლის წარმოშობა და განვითარება

სოფიო მაჩკალოვი,

ალექსანდრა ჯორბენაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ძველი რომი გახლავთ ერთ-ერთი უპირველესი სახელმწიფო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სამართლის განვითარებას. მის დროს დამკვიდრდა უამრავი ინსტიტუტი, როგორებიცაა სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სისხლის სამართალი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა გახლავთ სწორედ სამემკვიდრეო სამართალი, რომელიც აყალიბებდა ქონების დაყოფის სხვადასხვა წესებს რომის იმპერიის ჩამოყალიბების დროს.

სამემკვიდრეო სამართალი ადგენდა წესებს, რომლის მიხედვითაც მემკვიდრეებს შეეძლოთ გარდაცვლილი პირის დატოვებული ქონების განაწილება.

ჩვენი თემა ეხება სწორედ სამემკვიდრეო სამართალს, რომელიც იყოფა ორ ნაწილად, ეს გახლავთ კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა. ორივე ცნებას სჭირდებოდა გარკვეული ნორმები, რათა მომხდარიყო პირის ქონების გადაცემა მემკვიდრეებისათვის.

ჩვენს ნაშრომში პარალელს გავავლებთ ახლანდელ ნორმებთან, რათა დავადგინოთ თუ რა მსგავსებები და განსხვავებები არის მათ შორის, ასევე საინტერესოა ცვლილებები, რომლებიც სწორედ დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა.

ყურადღებას გავამახვილებთ უცხოურ პრაქტიკაზე და ვნახავთ თუ როგორ რეგულირდება მოცემული საკითხები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში.

საკვანძო სიტყვები: სანივთო სამართალი, ვალდებულებითი სამართალი, სისხლის სამართალი, კანონით მემკვიდრეობა, ანდერძით მემკვიდრეობა.

Origin and development of inheritance law

Sopio Machkalovi,

Aleqsandra Jorbenadze

Georgian National University SEU

Abstract

Ancient Rome is one of the first states that laid the foundation for the development of law. During his time, many institutions were established, such as civil law, obligation law, criminal law.

One of the important topics is the law of inheritance, which established various rules for the division of property during the formation of the Roman Empire. succession law established the rules according to which heirs could distribute the property left by a deceased person. our topic is about inheritance law, which is divided into two parts: inheritance by law and inheritance by will. Both notions required certain norms for the transfer of a person's property to heirs.

In our work, we will draw a parallel with the current norms in order to determine the similarities and differences between them, as well as interesting changes that have been formed over time. we will focus on foreign practice and see how these issues are regulated in different European countries.

Keywords: civil law, obligation law, criminal law, inheritance by law, inheritance by will.

საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურები

გურამი ბეგიაშვილი,

მარიამ მაზიაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

სასაუბრო თემა: საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურები

ნაშრომის თემაა საწარმოს დაფუძნება და რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურები, რომლებიც განსხვავებულია უცხოური პრაქტიკისგან და ითვალისწინებს ბევრად უფრო გამარტივებულ რეგისტრაციის პროცედურას.

საწარმოს დაფუძნებისათვის აუცილებელი წინაპირობაა რეგისტრაცია. იქიდან გამომდინარე, რომ რეგისტრაცია აუცილებელია საწარმოს დაფუძნებისათვის ყველა ქვეყანა ამ საკითხს განსხვავებულად არეგულირებს. ჩვენ ვისაუბრებთ, როგორ ხდება საწარმოს დაფუძნება საქართველოში და უცხოეთში, რა სამართლებრივ ფორმას იცნობს კანონმდებლობა ჩვენს ქვეყანაში, ვინ შეიძლება იყოს განმცხადებელი აღნიშნულ საკითხზე და სხვა ის პროცედურები,

რომელიც აუცილებელია საწარმოს დაფუძვნებისათვის. ჩვენი ნაშრომით მაქსიმალურად შევეცდებით, რომ კარგად წარმოვაჩინოთ ის პრობლემები, რომელიც არსებობს სხვადასხვა ქვეყანაში რეგისტრაციის მხრივ, ასევე ვისაუბრებთ რეგისტრაციის პოზიტიურ თვისებებზე, იმაზე თუ რაში გვეხმარება საწარმოს რეგისტრაცია. და ჩვენი აზრით ყველაზე საინტერესო ნაწილი, რომელიც ეხება საფირმო სახელწოდების შერჩევას. იქიდან გამომდინარე, რომ არსებობს ბევრი ცნობილი კომპანია ხშირად სახელის შერჩევაში გვხვდება პრობლემები. ადამიანები ცდილობენ მიბადონ ცნობილ კომპანიებს და ჰქონდეთ მსგავსი სახელები, ამიტომ ნაშრომში ხაზი გაესმება ამ თემებს და ვეცდებით უკეთ წარმოვაჩინოთ ჩვენი კანონმდებლობა, თუ რას ითვალისწინებს ამ საკითხზე და ასევე მოვიყვანთ უცხოურ პრაქტიკასაც.

Establishment of an enterprise and simplified registration procedures

Gurami Begiashvili,

Mariam Maziashvili

Georgian National University SEU

Abstract

Abstract Discussion Topic: Establishment of an enterprise and simplified registration procedures. The topic of the paper is establishment of an enterprise and simplified registration procedures, which differ from the foreign practices and provides for a much simpler registration procedure. Registration is a necessary prerequisite for establishing an enterprise. Registration is necessary in order to establish an enterprise. We will talk about establishing an enterprise both in Georgia and other nations, what legal forms are recognized by our legislation, who can be an applicant in this matter and other procedures necessary for establishing an enterprise. With our work, we will try our best to present the problems that exist in different countries in terms of registration, we will also talk about positive traits of registrations and last but not least, we consider the most interesting part concerns selecting the name of the brand. Due to the fact that there are many well-known companies, there are often problems in choosing a name. People often imitate well-known companies and enterprises. We will instead, highlight and show what our legislation provides on this issue, and we will also cite foreign practice.

რომის სამართლის წყაროები

რეზი ბურჯანაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

რომის სამართალი შეიძლება ითქვას, რომ ზოგადად სამართლის მამოძრავებელი ძალაა, მისი საწყისია, რომლის გარეშეც ფაქტობრივად ვერ იარსებებდა ზოგადად სამართალი, ან შესაძლოა არ ყოფილიყო ისეთი მრავალფეროვანი და საინტერესო როგორც დღეს არის. მოცემული ნაშრომი ეხება რომის სამართლის ერთ-ერთ საკვანძო საკითხს, რომის სამართლის წყაროებს.

რომის სამართლის წყაროები, ეს არის ის რომაული ძალა და საშუალება, საიდანაც სათავეს იღებს და მომდინარეობს ზოგადად სამართალი. დღეისათვის სამართლის წყაროს შესახებ მსჯელობისას მხედველობაში გვაქვს: ა) სამართლის წყარო მატერიალური გაგებით და ბ) სამართლის წყარო ფორმალური გაგებით. ეს უკანასკნელი კი თავის თავში მოიაზრებს ადათს და ადათობრივ სამართალს, კანონებს, მაგისტრატების ედიქტებსა და იურისტების მოღვაწეობას. შემეცნების თვალსაზრისით, რომის სამართლის წყარო გულისხმობს არქეოლოგიური გათხრების მონაპოვარს, კლდეზე, კედლებზე თუ ხეზე ამოკვეთილ წარწერებს და სხვა წერილობით ძეგლებს.

აქედან გამომდინარე, მოცემული საკითხი საკმაოდ აქტუალურია და სხვაგვარად წარმოუდგენელიცაა, რადგან სამართლის წყაროს გარეშე ვერ იარსებებდა არათუ რომის სამართალი, არამედ მთლიანად სამართალი.

საკვანძო სიტყვები: რომის სამართალი, რომის სამართლის წყაროები, სამართლის წყარო მატერიალური გაგებით, სამართლის წყარო ფორმალური გაგებით, ადათი, კანონი, მაგისტრატების ედიქტები, იურისტების მოღვაწეობა.

Sources of Roman law

Rezi Burjanadze

Georgian National University SEU

Abstract

Roman law, it can be said, is the driving force of general law, it's origin, without it, in fact, general law could not exist, or maybe it won't be such interesting and diverse as it is nowadays. This paper deals with one of the key issues of Roman law, such as the sources of Roman law.

The sources of Roman law, this is the Roman power and means from which, law in general originates and derives. Nowadays, discussing the source of law we have in mind: a) The source of law in the

material sense, b) The source of law in the formal sense. The latter itself includes custom and customary law, laws, edicts of magistrates and work of lawyers. From the point of view of cognition, the source of Roman law implies the discovery of archaeological excavations, inspirations and other written monuments carved on rock, walls or on wood.

Therefore, the given question is quite relevant, because without the source of law, not only Roman law, but law as a whole could not exist.

Keywords: Roman law, Sources of Roman law, The source of law in the material sense, The source of law in a formal sense, law, magistrates edicts, work of lawyers.

ვალდებულებითი სამართალი და მისი ადგილი კერძო სამართლის სისტემაში

ნინო არჯევანიძე,

ნინო ციხისელი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ვალდებულებითი სამართალი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნში. იგი შედგება ზოგადი და კერძო ნაწილებისგან, მოიცავს 700-მდე მუხლს არის კოდექსის სისტემაში შემავალი ყველაზე მოცულობითი და, იმავდროულად, ყველაზე დინამიკური ინსტიტუტი. ზოგადი ნაწილი არეგულირებს ვალდებულების წარმოშობასთან, შესრულებასთან, შეუსრულებლობასა და შეწყვეტასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს.

კერძო ნაწილში დარეგულირებულია ვალდებულებით ურთიერთობათა სპეციალური შემთხვევები, რომელთაც კოდექსი მათი წარმოშობის თავისებურებეთა გათვალისწინებით სახელშეკრულებო და კანონისმიერ ვალდებულებებად ყოფს. ვალდებულებითი სამართალი არეგულირებს ვალდებულებით ურთიერთობებს. მეტად მნიშვნელოვანი საკითხია ვალდებულებითი სამართლის თავისებურებანი და ვალდებულებითი სამართლის პრინციპები, კერძოდ, კეთილსინდისიერების პრინციპი, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი პასუხისმგებლობის პრინციპი, ხელშეკრულებისადმი ერთგულების პრინციპი დასრული ანაზღაურების პრინციპი. აგრეთვე ვალდებულებითი სამართალი ეხება სამართლებრივი ბოჭვის სურვილსა და ყოფით ურთიერთობებს. ხელშეკრულებისგან განსხვავდება ასევე ე.წ. ურთიერთგაგების მემორანდუმი, ჯენტლმენური შეთანხმება და განზრახულობათა ოქმი, რომლებიც პრაქტიკაში აპრობირებულია, როგორც მხოლოდ ძალის არმქონე მხარეთა კეთილი ნებისა და განზრახულობათა ამსახველი აქტები. სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისგან ტერმინოლოგიურად არ მიჯნავს ნამდვილ ვალდებულებასა და ფაქულტატიურ ვალდებულებას, თუმცა მნიშვნელოვანია მათი გამიჯვნა პრაქტიკაში.

ფაკულტატიური ვალდებულების შესრულება არ იწვევს ვალდებულების დარღვევას და მისი სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ფაკულტატიური ვალდებულების მატარებელი პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებით ვლინდება.

Obligatory law and its place in the private law system

Nino Arjevanidze,

Nino Tsikhiseli

Georgian National University SEU

Abstract

Obligatory law is regulated in the third book of the Code. It contains about 700 articles and is the most voluminous system and, at the same time, the most dynamic institution.

Obligations under private legislation to discuss the relationship are determined by the peculiarities of their origin and in accordance with the law. The draft law on liability, in particular, the principles of good faith, the principle of freedom of contract, the liability of tort, the principle of loyalty to the contract, the principle of final compensation is established. From the agreement, the so-called Memorandum of Understanding, Gentlemen's Agreement and Memorandum of Intent, which have been proven in practice as acts reflecting the high will and intentions of non-binding parties. The performance of personal obligations is not the performance of the obligation of the law and the law of the person carrying only optional obligations of his law is outwardly manifested.

ცხოველთა დაცვის სამართლებრივი გარანტიები

ქეთი გორდულაძე,

თამუნა გოჩელაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ცხოველთა სამართლებრივი რეგულირების შესახებ ნორმატიული კანონმდებლობა განსაზღვრავს მათ უფლებებსა და დაცვის გარანტიებს. „ცხოველთა უფლებების მსოფლიო დეკლარაცია“ აღიარებს ცხოველს, როგორც ცოცხალ არსებას, რომელსაც გააჩნია გარკვეული უფლებები, მათ შორის უფლება მოეპყრან პატივისცემით, იარსებოს ბიოლოგიური წონასწორობის პირობებში, არ მოექცნენ სასტიკად და სხვა. ცხოველის, როგორც სამართლის სუბიექტად განხილვის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების მხრიდან

ცხოველისადმი პატივისცემა დამყარებული იქნას, არა მხოლოდ საზოგადოების ნებაზე, არამედ გამყარდეს ნორმატიული თვალსაზრისით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცხოველის მიმართ ავრცელებს ისეთ უფლებებს, როგორსაც ნივთებზე, თუმცა ამავედროულად აღნიშავს, რომ ისინი არ არიან ნივთები. შესაძლებელია, ცხოველები გათანაბრებული იყვნენ ნივთებთან იურიდიული ფიქციის გზით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი ნასყიდობის ან სხვაგვარი გასხვისებითი გარიგების საგნებია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისგან, ცხოველსა და ნივთზე არ ავრცელებს ერთი და იგივე უფლებებს, ის მათ შორის განსხვავებაზე ამხვილებს ყურადღებას. გერმანელმა კანონმდებელმა ცხოველების ეთიკური დაცვა, რომელიც ცხოველთა დაცვის შესახებ კანონითაა განსაზღვრული, გაითვალისწინა ასევე სამოქალაქო სამართალშიც.

თანამედროვე კანონმდებელმა ცხოველი ჩათვალა არა მხოლოდ საკუთრების ობიექტად, რომელზეც ადამიანი ბატონობს, არამედ არსებად, რომელსაც აქვს უფლება სიცოცხლეზე, ჯანმრთელობასა და უსაფრთხო გარემოში ყოფნაზე. მსგავსი ჩანაწერის მიუხედავად არ არსებობს კონტროლის მექანიზმი, რომ ცხოველისადმი ცუდ მოპყრობას მოყვება შესაბამისი რეაგირება. მიუხედავად იმისა, რომ შინაურ ცხოველებთან დაკავშირებული სხვადასხვა წესები და რეგულაციები არსებობს, სფეროს ეფექტური მართვა მაინც გამოწვევაა. საქართველოში ფაქტობრივად არ ფიქსირდება ცხოველთა მიმართ მიყენებული ზიანისათვის, ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან შესაბამისი რეაგირება. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, საქმისწარმოების დასრულება და დამნაშავეის დასჯა ხდება მსუბუქი ჯარიმებით. უმეტეს შემთხვევებში, კი ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები რეაგირების გარეშე რჩება.

Legal guarantees of animal protection

Keti Gorduladze,

Tamuna Gochelashvili

Akaki Tsereteli State University

Abstract

Statutory legislation on the legal regulation of animals defines their rights and guarantees of protection. The Universal Declaration of Animal Rights recognizes an animal as a living being that has certain rights, including the right to be treated with respect, to exist in biological balance, not to be treated cruelly, and others. The Civil Code of Georgia extends the same rights to animals as to things, but at the same time states that they are not things. It is possible for animals to be equated with things through legal fiction, especially when they are the subject of a purchase or other alienation transaction, even though the animals are not things. The German Civil Code, unlike the Georgian Civil Code, does not

extend the same rights to animals and things, it focuses on the difference between them. The German legislator took into account the ethical protection of animals, which is defined by the Animal Protection Act, also in civil law. There is no control mechanism to ensure that animal abuse is followed by an appropriate response. Although there are various rules and regulations related to domestic animals, effective management of the field is still a challenge. In Georgia, there is actually no record of harm caused to animals, no appropriate response from the administrative bodies. According to the established practice, the proceedings are completed and the offender is punished with light fines. In most cases, even committed illegal actions remain without response.

მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპი საერთაშორისო კერძო სამართალში

თეა დოლიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

საერთაშორისო კერძო სამართალი განსაზღვრავს რომელი ქვეყნის კანონმდებლობა იქნეს გამოყენებული უცხო ელემენტით დატვირთული კერძოსამართლებრივი დავის განხილვისას. თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი მხარეთა ნების ავტონომიის პრინციპს უკავია. მხარეთა ნების ავტონომია, ზოგადად, განიხილება, როგორც საყოველთაოდ მიღებული ფუნდამენტური პრინციპი, მიუხედავად იმისა, რომ მისი თეორიული საფუძველი კვლავ გაუგებარია. ნების ავტონომიის პრაქტიკული მნიშვნელობა ძალიან დიდია, თუმცა ეს საკითხი კვლავ დისკუსიის საგანს წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში. მხარეთა ნების ავტონომია, წარმოადგენს სამართლებრივ ურთიერთობათა სისტემას, რომელიც არეგულირებს ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა მიერ რომელიმე კონკრეტული ქვეყნის სამართლის არჩევას. აღნიშნული სამართლისადმი დაქვემდებარება გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი სამართლებრივი სისტემა მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს სავალდებულო იურიდიულ ძალას ანიჭებს თავისი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის საფუძველზე.

თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალში, დღეს მხარეთა ნების ავტონომია ნაკლებად არის კრიტიკის საგანი. ამის წინაპირობას წარმოადგენს ისტორიული გამოცდილება და მისი დანიშნულების სწორი შეფასება. სამართლის არჩევა არ გულისხმობს მხარეთა აბსოლუტურ თავისუფლებას და ის ყოველთვის ექვემდებარება შეზღუდვებს. ნების ავტონომიის შეზღუდვას ლეგიტიმაციას სხვა სიკეთეების დაცვა ანიჭებს. გარდა ამისა, მხარეთა მიერ არჩეულ სამართალს გარკვეული კავშირი უნდა ჰქონდეს მათთან ან ტრანზაქციასთან - სრულად ადგილობრივი ხელშეკრულებების მიმართ უცხო, დაუკავშირებელი ქვეყნის სამართლის გამოყენება იზღუდება. ამის წინაპირობას წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის მიერ მხარეთა თვითნებობის პრევენცია. მხარეთა მიერ მომწესრიგებელი სამართლის არჩევა არის საკოლიზიოსამართლებრივი ნების ავტონომიის პრინციპის

განხორციელება. სწორედ, მხარეთა ნების ავტონომია წარმოადგენს იმ სამართლებრივ ინსტიტუტს, რომელიც ხელშეკრულების მხარეთა მიერ რომელიმე ქვეყნის სამართლის არჩევას არეგულირებს. მომწესრიგებელი სამართლის არჩევა გულისხმობს, ამ უკანასკნელისათვის სავალდებულო იურიდიული ძალის მინიჭებას. მხარეთა მიერ მომწესრიგებელი სამართლის არჩევა გულისხმობს მათ შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის ერთი კონკრეტული ქვეყნის სამართლისათვის დაქვემდებარებას.

Principle of party autonomy in private international law

Tea Dolidze

Akaki Tsereteli State University

Abstract

Private International law determines which country's legislation is to be applied when considering a private legal dispute loaded with a foreign element. Party autonomy is generally regarded as a universally accepted fundamental principle. Party autonomy is a system of legal relations that regulates the choice of the law of a specific country by the parties to the contract. Subjection to this law implies that the relevant legal system gives binding legal force to the law chosen by the parties. Today in modern private international law, the party autonomy is less of a subject of criticism a prerequisite for this is historical experience and a correct assessment of its purpose. The choice of law does not imply absolute freedom of the parties and it is always subject to limitations. Party autonomy is the legal institution that regulates the choice of the law of any country by the parties to the contract. Choosing the governing law means giving the latter binding legal force. The choice of the governing law by the parties implies the subordination of the legal relationship arising between them to the law of one specific country."

მედ-არბი, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდი (ინოვაცია თუ ექსპერიმენტი?)

მარიამი ტორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დავის გადაწყვეტილების ალტერნატიული საშუალებები ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად მკვიდრდება. ნებისმიერ ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი პრობლემა სასამართლოთა გადატვირთულობა. ამდენად, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების არსი სასამართლოების განტვირთვაში მდგომარეობს. სასამართლოებისათვის მომეტებული საქმეთა ნაკადის შემცირების მიზნით სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში

მიღებულ იქნა სამართლებრივი დავების და გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, რომლებსაც განეკუთვნება მედიაცია და არბიტრაჟი. აღნიშნული საშუალებები სასამართლოსაგან განსხვავებით ნაკლებად ფორმალური და მეტად მოსახერხებელია.

„მედ-არბის“ იდეა წარმოიშვა 1940 წელს აშშ-ში, როდესაც რამდენიმე არბიტრს დაებადა იდეა, ეცადათ მედიაციის ელემენტის შემოღება ისეთი დავის განხილვისას, რომელიც ჩვეულებრივ პირობებში არბიტრაჟის განსახილველი იქნებოდა. მედიაციის-არბიტრაჟის მექანიზმი იყო ძალიან მარტივი - დავის მიმდინარეობისას საქმე უნდა განეხილა ნეიტრალურ პიროვნებას, რომელიც შეეცდებოდა დავა დაესრულებინა მედიაციის ელემენტების გამოყენებით, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში იმავე ნეიტრალურ პირს დაეკისრებოდა არბიტრაჟის ელემენტების გამოყენება დავის გადასაწყვეტად.

მედიაციის მთავარი უარყოფითი მხარე ის არის, რომ მედიატორი საბოლოო გადაწყვეტილებას ვერ იღებს და ამას აკეთებენ მხარეები, ხოლო არბიტრაჟის ხარვეზად ის მიიჩნევა, რომ არბიტრები არ არიან პროცესში საკმარისად ჩართულები. გაჩნდა იდეა რომ აღნიშნული პროცედურა ჩაეტარებინა ერთსა და იმავე ნეიტრალურ მესამე პირს, რომელიც თავდაპირველად შეეცდებოდა გამოეყენებინა მედიაციის წესები და თუ მხარეები ვერ შეთანხმდებოდნენ, ან შეთანხმდებოდნენ მხოლოდ გარკვეული საკითხებზე, მაშინ გამოეყენებინათ არბიტრაჟის ინსტიტუტები, რისი შედეგიც არის „მედ-არბი“. „მედ-არბი“ აერთიანებს ორივე ინსტიტუტის ელემენტებს და წარმოადგენს მეტად მოქნილ ჰიბრიდს, რომელსაც გააჩნია მთელი რიგი დადებითი მხარეები: „მედ-არბის“ დროს მედიაციის ინსტიტუტის ელემენტების არსებობა საშუალებას აძლევს მხარეებს, შეთანხმდნენ სადავო საკითხებზე და მარტივად დაასრულონ დავა; თუ მხარეები ენდობიან მედიატორს და ეს უკანასკნელი მაღალკვალიფიციურია, მაშინ იმავე პირის მიერ საარბიტრაჟო ფუნქციების გამოყენება გაცილებით უფრო მომგებიანი იქნება; ის დრო, რომელიც დახარჯა მედიატორმა საქმის არსის ჩასაწვდომად და ასევე დრო, რომელიც მან მოანდომა მხარეების შანსების შეფასებას, ფუჭად არ ჩაივლის, თუ დავა მედიაციით ვერ დასრულდება, რადგან არბიტრმა, რომელიც მედიატორი იყო, უკვე ზედმიწევნით იცის საქმის დეტალები და გადაწყვეტილებაც უფრო სწრაფად იქნება მიღებული. „მედ-არბი“ არის ნაკლებად ფორმალური, პროცესი დროში არასდროს ჭიანურდება და რაც მთავარია, ხარჯები არის კონტროლირებადი.

Med-Arb, as Alternative Dispute Resolution Method (Innovation or Experiment?)

Mariami Toradze

Akaki Tsereteli State University

Abstract

Lately, alternative dispute resolutions have been more established all over the world. The overloading of the courts is the most significant problem in any country. Thus, alternative dispute resolutions essence lies to relieve the courts.

The mechanism of mediation - arbitration was very simple - during the dispute, the case has to be heard by neutral person, who would try to fulfill dispute by using mediation elements, If that wouldn't be succeeded, the same neutral person would be obliged to use the elements of arbitration to resolve the dispute.

The main disadvantage of mediation is that mediator couldn't make final decisions and it's done by parties. Whilst, the flaw of arbitration is considered, that the arbitrations are not sufficiently involved in the process. The idea was introduced that the procedure would be conducted by the same neutral third party, who will initially try to apply the rules of mediation and if the parties couldn't agree, or could only agree on certain issues, then they will use arbitration institutions, the result of which is "Med-Arb". "Med-Arb" combines elements of both institutions and represents flexible hybrid, which include number of positive aspects: During "Med-Arb" presence of element of mediation gives parties opportunity to settle on disputable matters and easily end the dispute, If the parties trust the mediators and they're well-qualified, use of arbitration functions by the same person would be much more beneficial, the time mediator have spent to understand the essence and the time, they've spent assessing the chances, it wouldn't be waisted, If the dispute will not be resolved through mediation, because arbitrator, who was mediator, already knows the details of case thoroughly, and the decisions will be made quickly. "Med-Arb" is less formal, the progress is never procrastinated and more importantly, costs are controlled.

დელიქტების საერთაშორისო კერძოსამართლებრივი რეგულირების ძირითადი ასპექტები

ელენე მანაგაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დელიქტური ვალდებულება წარმოიშობა სამართალდარღვევის (დელიქტის) საფუძველზე. დელიქტური პასუხისმგებლობის დადგომისათვის აუცილებელია შესრულებული ქმედება იყოს მართლსაწინააღმდეგო, რაშიც მოიაზრება უფლების შელახვისა და ზიანის დადგომის ფაქტი. დელიქტურ ვალდებულებებს არა მხოლოდ სამართლებრივი, არამედ სოციალური და ეკონომიკური ფუნქციაც გააჩნიათ. სოციალურ ფუნქციაში, უპირველეს ყოვლისა, დელიქტური ნორმების პრევენციული მნიშვნელობა მოიაზრება. მიყენებული ზიანის ანაზღაურების გარდაუვალობა და კანონისმიერი გარანტიები მიანიშნებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეებს, განსაკუთრებული გულისხმიერებით მოეკიდონ არა მხოლოდ საკუთარ, არამედ სხვის კუთვნილ სამართლებრივ სიკეთესაც და არ დაუშვან მისი დაზიანება. ეკონომიკური ფუნქცია გამოიხატება იმ შედეგებში, რომელსაც დელიქტური ნორმების პრაქტიკული რეალიზაცია იწვევს.

დელიქტური ვალდებულებები აქტუალურია არა მხოლოდ ლოკალურ დონეზე, არამედ საერთაშორისო ასპარეზზე, რადგან გლობალიზაციამ განაპირობა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების, ტურიზმის, შრომითი მიგრაციის, კომერციული ბრუნვისა და სხვა მნიშვნელოვან სფეროთა განვითარება, რაც ქმნის რისკს ისეთი ვითარების წარმოშობისა, რომლებიც საფრთხეს უქმნის პირის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებასა და სხვა მნიშვნელოვან უფლებათა კატეგორიას.

ყოველივე ამან, შესაძლოა კოლიზიის პრობლემა წარმოქმნას, როდესაც სახეზეა უცხო ელემენტით დატვირთული დელიქტური ვალდებულება. საერთაშორისო კერძო სამართალი ზიანის მიყენებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს არეგულირებს სპეციალური მიმაგრების ფორმულით - ზიანის მიყენების ადგილის კანონით, სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში განსხვავებული მოსაზრებებია გაბატონებული დელიქტის მიყენების ადგილის ცნებასთან დაკავშირებით. კონტინენტური სამართლის ქვეყნები ასეთად მიიჩნევენ იმ ქვეყნის სამართალს, სადაც მოხდა დელიქტის ჩადენა, რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, დელიქტების რეგულირებისას კოლიზიონისტებმა ყურადღება გაამახვილეს თუ რომელი სახელმწიფოს ინტერესები შეილახა, ე.ი სადაც დადგა შედეგი. საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის სისტემაში ფართოდ აღიარებული კრიტერიუმია ზიანის მიყენების ადგილის კანონი. ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ექვემდებარება: დაზარალებულისათვის უფრო ხელსაყრელი ქვეყნის სამართალს; იმ ქვეყნის სამართალს,

სადაც ადგილი ჰქონდა იმ მოქმედებას ან გარემოებას, რომელიც საფუძვლად უდევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას; იმ ქვეყნის სამართალს, სადაც სამართლით დაცულ ინტერესს ზიანი მიადგა.

Basic aspects of private international law regulations of torts

Elene Managadze

Akaki Tsereteli State University

Abstract

Tort obligation arises on the basis of an offense (delict). For the occurrence of tortious liability, the performed action must be illegal, which includes the fact of violation of the right and the occurrence of damage. Tort obligations have not only a legal, but also a social and economic function. In the social function, first of all, the preventive value of tort rules is considered. Tort obligations are relevant not only at the local level, but also at the international arena, because globalization has led to the development of mass media, tourism, labor migration, commercial circulation and other important areas, which creates the risk of situations that threaten a person's life, health, property and other important category of rights. Private International law regulates the obligations arising from injury by a special formula - the law of the place of injury, in the doctrine of international private law of different countries, there are different opinions regarding the concept of the place of injury. Continental law countries consider the law of the country where the tort was committed as such, as for the United States, when regulating torts, private international law scientists focused on which state's interests were violated, i.e. where the result occurred. According to the private international law system of Georgia, the obligation to compensate damages is subject to: The obligation to compensate for damages shall be subject to: the law of a country which is more favourable for an affected person; the law of the country in which an action or a circumstance that gave rise to a claim for damages took place; the law of the country in which the interests protected by law were prejudiced.

Business Judgment Rule-ის (სამეწარმეო განსჯის წესი) ფუნქციური მნიშვნელობა საკორპორაციო სამართალში

რუსუდანი ჯანელიძე,

ლუკა ხარაიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სამეწარმეო საქმიანობის წარმატება უმეტესწილად კორპორაციის ხელმძღვანელთა მიერ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებასთან არის დაკავშირებული. მმართველობითი უფლებამოსილების განხორციელების დროს წარმოქმნილი სირთულეების გამო, დირექტორთათვის ფიდუციური პასუხისმგებლობის დაკისრება, ერთგულებისა და გულისხმიერების ვალდებულებების დაურღვევლობისას, მეწარმე სუბიექტების ეკონომიკურ წინსვლას მნიშვნელოვნად შეაფერხებდა. სწორედ ამიტომ, საზოგადოების დირექტორების მოქმედებათა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად წარმოიშვა სამეწარმეო განსჯის წესის (Business Judgment Rule) ინსტიტუტი. სამეწარმეო განსჯის წესი კორპორაციის მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების განხილვის შესაძლებლობას სასამართლოს მხოლოდ მას შემდეგ ანიჭებს, რაც გამოიკვეთება დირექტორთა მხრიდან Business Judgment Rule-ის ელემენტების, კერძოდ, კეთილსინდისიერების, ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის და ინფორმირებულობის პრინციპის დარღვევის ფაქტი. კორპორაციის სამომავლო წარმატება, რაც მოგების მიღებასა და აქციონერების დივიდენდებით დაკმაყოფილებაში უნდა გამოიხატოს, დიდადაა დამოკიდებული დირექტორატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ხელმძღვანელებს ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების განხორციელების დროს ეკისრებათ გარკვეული მოვალეობები, რომელთა ფარგლებშიც და რომელთა მოთხოვნების შესაბამისადაც ისინი ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებას.

სამეწარმეო განსჯის წესის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს საწარმოს ხელმძღვანელთა კეთილსინდისიერების მოვალეობა. Business Judgment Rule იცავს დირექტორთა მიღებულ გადაწყვეტილებებს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც, მათ გონივრულად სწამთ, რომ მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, მოქმედებენ კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით, კორპორაციის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. საწარმოს წარმატებული ხელმძღვანელობითი საქმიანობა დირექტორთა მატერიალური დაინტერესების გამორიცხვას გულისხმობს. მიიჩნევა, რომ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობისას, კორპორაციის კეთილსინდისიერი ხელმძღვანელი ერთდროულად, არც ტრანზაქციის განმახორციელებელ რამდენიმე სუბიექტთა წარმომადგენლად გვევლინება და არც რაიმე პერსონალურ სარგებელს ელის მისაღები გადაწყვეტილებისაგან.

კორპორაციული სამართალი აქციონერებს აღჭურავს დირექტორთა წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლებით, როდესაც იკვეთება ხელმძღვანელთა გაუფრთხილებლობის,

მოვალეობის არაპროფესიონალურად შესრულების ან მმართველობითი ვალდებულებების სხვაგვარი დარღვევა. თუმცა, აღნიშნული ფაქტი სულაც არ ნიშნავს, რომ საწარმოს ხელმძღვანელი პირები პასუხს აგებენ ყოველგვარი, ე.წ. „ჩვეულებრივი“ გაუფრთხილებლობისათვის, რაც საფუძვლად უდევს წარუმატებელ საქმიანობას ან დაუფიქრებელ მოქმედებას.

Business Judgment Rule-ის უკიდურესი ინტერპრეტაციის მიხედვით, სამეწარმეო განსჯის წესი ეფექტურად და ავტომატურად აუქმებს გულმოდგინეობის მოვალეობას, საზოგადოების პარტნიორთა მიერ, ბორდის ნებისმიერი ქმედების ეჭვ ქვეშ დაყენებისას, ხოლო ის რაც ნარჩუნდება აღნიშნული ვალდებულების შინაარსობრივი კომპონენტებისგან, არის განსაზღვრული ტიპის უმოქმედობისგან თავის შეკავების არარსებობის საკითხის შესწავლა, რაც პირდაპირ უკავშირდება დირექტორის კეთილსინდისიერად მოქმედების გარკვევას. საწარმოს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა გამორიცხულია ჩვეულებრივი გაუფრთხილებლობისას, როდესაც არ იკვეთება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ფაქტი.

Business Judgment Rule's Functional Meaning in Corporation Law

Rusudani Janelidze,

Luka Kharaihvili

Akaki Tsereteli State University

Abstract

Corporation's business success mostly is based on perilous decisions, made by it's directors. During the execution period of his duties, chairperson's fiduciary responsibility for company's failure, when they do not break the liability of loyalty and diligence, would seriously damage corporation's economic development. That is why, the institute of Business Judgment Rule was originated, in order to protect freedom and independence of directors. Business Judgment Rule allows the court to discuss chairman's resolutions, performed in the process of ruling the company, exclusively when Business Judgment Rule's specific components, such are director's acting in good faith and on an informed basis, without the conflict of interests, are not present. Company's future success, which is connected to gaining more income and splitting up dividends, is almost completely depend on decisions, performed by corporation's directors. Managers, while they are using their authority, carry particular responsibilities and they must act appropriately, according to these obligations. Corporate law provides shareholders with the right to file a lawsuit against directors in case of negligence, unprofessional performance of duty or breach of governance obligations. However, the mentioned fact does not necessarily mean that the heads of the enterprise are responsible for any, so – called for "ordinary" negligence, which is based on bad performance or thoughtless action. Business Judgement Rule effectively abolishes the duty of

care, by the partners of the society, challenging any action of the board, what is maintained from the content components of the above-mentioned duty, is the study of the issue of not refraining from a certain type of inaction, which directly is related to clarifying the director's good faith actions. The liability of the heads of the enterprise is excluded in the case of ordinary negligence, when the fact of violation of the principle of good faith is not observed.

ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმების პრობლემა კერძო და სახელმწიფო სექტორში

მარიამ კაჭახიძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში განხილული იქნება სასჯელადსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ ნაკლებად მძიმე დანაშაულის მქონე ყოფილი პატიმარი ქალების კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებისას წარმოქმნილი პრობლემები და მათი გამომწვევის მიზეზების აღწერა/ანალიზი. ნაშრომის მიზანია წარმოდგენილი იქნეს ის პრობლემური საკითხები, რასაც ყოფილი პატიმარი ქალები აწყდებიან სასჯელის მოხდის შემდგომ საზოგადოების მხრიდან, ვინაიდან საზოგადოების უმეტესი ნაწილი ქმნის სტიგმას ქალი პატიმრების მიმართ, რაც ყოფილ მსჯავრდებულებს ცხოვრებას კიდევ უფრო უმძიმებს.

ამ პრობლემის მოგვარებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი როლი სახელმწიფოს აკისრია, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს ყოფილი პატიმარი ქალების დასაქმებისა და რესოციალიზაციის სტრატეგიის სწორი შემუშავება, დანერგვა და საზოგადოებამდე და დამსაქმებლამდე სწორი ინფორმაციის მიწოდება ყოფილ პატიმარ ქალთა შესახებ. მოგეხსენებათ, რომ მსჯავრდებულთა უმეტეს ნაწილს ჰყავს ოჯახი, არასრულწლოვანი შვილი/შვილები, ხანდაზმული მშობლები და მათი ინტერესებისათვის ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დასაქმება, ვინაიდან სასჯელადსრულების დაწესებულების დატოვების შემდგომ მათაც სურთ სრულ ფასოვანი ცხოვრების გაგრძელება.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილ ნაშრომში გამოკვეთილი პრობლემა საკმაოდ აქტუალურია, სამწუხაროდ საზოგადოების მხრიდან ამ საკითხისადმი დაინტერესება დიდად არ იკვეთება, რაც სამწუხაროა. ვიმედოვნებ, ჩვენი სახელმწიფოს აქტიური ჩართულობის შემდგომ ამ საკითხისადმი საზოგადოების დამოკიდებულება ყოფილი მსჯავრდებული ქალებისადმი შეიცვლება.

საკვანძო სიტყვები: ნაკლებად მძიმე დანაშაული, კერძო და სახელმწიფო სექტორი, დამსაქმებელი, მსჯავრდებული, სტიგმატიზაცია, სტატუსი, რესოციალიზაცია.

The problem of promoting ex-prisoner women in the private and public sector

Mariam Kachakhidze

Georgian National University SEU

Abstract

The paper presented by me will discuss the problems arising in the employment of women ex-prisoners with less serious crimes in the private and public sector after leaving the penitentiary institution, and the description/analysis of the reasons for their occurrence. The aim of the paper is to present the problematic issues faced by ex-convict women from society after serving their sentence, since most of the society creates a stigma towards women prisoners, which makes life even more difficult for ex-convicts.

One of the most important roles for solving this problem is the responsibility of the state, so that the state ensures the correct development and implementation of the strategy for the employment and resocialization of ex-prisoner women, and the provision of correct information to the society and employers about ex-prisoner women. As you know, most of the convicts have a family, minor child/children, elderly parents, and employment is a very important issue for their interests, since after leaving the penitentiary institution, they also want to continue a full-value life.

Despite the fact that the problem highlighted in my paper is quite relevant, unfortunately, the public's interest in this issue is not evident, which is a pity. I hope that after the active involvement of our state, the attitude of the society towards the former convicted women will change.

Keywords: less serious crime, private and public sector, employer, convicted, stigmatization, status, resocialization.

სიძულვილის ენის სამართლებრივი ანალიზი ეროვნული და ევროპული გამოცდილების ჭრილში

თეონა ჩაჩუა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ადამიანი ბუნებით თავისუფალია, რომელსაც შეუძლია ცხოვრება საკუთარი ინტერესების შესაბამისად წარმართოს. უფლებები და თავისუფლებები, რომელსაც ადამიანს კანონი ანიჭებს აღჭურავს შესაძლებლობით საკუთარი ადგილი დაიმკვიდროს საზოგადოებაში, ისე, რომ არ დააბრკოლოს სხვისი განვითარების პროცესი.

თანამედროვე ცხოვრება, მას შემდეგ, რაც ადამიანს მიეცა შესაძლებლობა რეპრესიების გარეშე გამოეთქვა თავისი შეხედულება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, აძლევს ადამიანს იმის შესაძლებლობას, რომ ჰქონდეს საკუთარი აზრი, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე. ზოგიერთი სახელმწიფოს მიდგომაც იმ პრაქტიკას აყალიბებს, რომ თავისუფალ აზრთა ჭიდილი წარმოადგენს დემოკრატიის არსებობის მთავარ წინაპირობას და ჭეშმარიტების დადგენის საფუძველს.

გამოხატვის თავისუფლება მოიცავს ისეთი იდეების გამოხატვის უფლებასაც, რომელიც, შესაძლოა, შეიცავდეს კრიტიკას, ან მიჩნეული იყოს შეურაცხმყოფლად. თუმცა, გამოხატვის თავისუფლება არ არის უსაზღვრო. სხვა ადამიანების უფლებების დაცვის მიზნით, სახელმწიფოებმა შესაძლოა დააწესონ სანქცია ან აღკვეთონ გამოხატვის ისეთი ფორმები, რომელიც ავრცელებს, ხელს უწყობს ან ამართლებს სიძულვილს, რომელიც მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ.

წინამდებარე ნაშრომი შეიცავს ყველა იმ მნიშვნელოვან ასპექტს, რომელიც დაგვეხმარება ერთმანეთისგან გავმიჯნოთ გამოხატვის თავისუფლება და სიძულვილის ენა, რომელიც ასაზრდოებს რასიზმს და ნეგატიურ სტერეოტიპებს. კვლევის პროცესში წარმოჩინდება, როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო პრაქტიკა და ის წინაპირობები, რომელებიც აბრკოლებენ ამ კუთხით ადამიანის უფლებების რეალიზებას.

როგორც ნიუტონ ლი ამბობდა “თავისუფალ სიტყვასა და სიძულვილის ენას შორის ზღვარი უმნიშვნელოა. თავისუფალი სიტყვა ხელს უწყობს დისკუსიას, ხოლო სიძულვილის ენა აქეზებს ძალადობას.“

ნაშრომის მიზანია თვალნათელი გახადოს რაოდენ საშიში შეიძლება იყოს სიძულვილის ენა, რომელიც გადაიზრდება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულში. ადამიანის უფლებების მასშტაბურ დარღვევებს, როგორცაა მაგალითად გენოციდი და ეთნიკური წმენდა, წინ უსწრებს ან თან ახლავს სიძულვილის ენა. პრობლემურ საკითხს წარმოადგენს საკანონმდებლ რეგულაციის არარსებობა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სიძულვილის ენის დამკვიდრებას მედიაში, სოციალურ ქსელებში, პოლიტიკურ ურთიერთობებში.

Legal analysis of hate speech in terms of national and European experience

Teona Chachua

Tbilisi State University

Abstract

Human is free by nature, who can lead his life according to his own interests. The rights and freedoms granted to a person by the law enable him to take his place in society without hindering the development process of others.

Modern life, once a person has been given the opportunity to express his opinion without repression, gives a person the possibility to have his own opinion, receive or disseminate information or ideas without the interference of public authorities. The approach of some states also establishes the practice that the struggle of free ideas is the main prerequisite for the existence of democracy and the basis for establishing the truth.

Freedom of expression includes the right to express ideas that may contain criticism or be considered offensive. However, freedom of expression is not unlimited. In order to protect the rights of others, states may sanction or prevent forms of expression that encourage hatred.

The conference paper contains all the important aspects that will help us distinguish between the power of expletives and the hate speech that feeds racism and negative stereotypes. In the research process, both national and international practices and the preconditions that hinder the realization of human rights in this regard will be revealed.

As Newton Lee said, “There is a fine line between free speech and hate speech. Free speech encourages debate whereas hate speech incites violence”

The purpose of the paper is to make it clear how dangerous hate speech can be, which will turn into a hate crime. Large-scale violations of human rights, such as genocide and ethnic cleansing, are preceded or accompanied by hate speech. A problematic issue is the absence of legislative regulation, which in turn ensures the establishment of hate speech in the media, social networks, and political relations.

ცხოველთა გამოყენება კვლევებისთვის

მონიკა ნაჭყებია,

თათია დეკანოზიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ცხოველების გამოყენება კვლევისა და პროდუქტების უსაფრთხოების ტესტირებაში ათწლეულების განმავლობაში მწვავე დისკუსიის საგანია. სწორედ ამ საკითხს ეხმიანება წინამდებარე ნაშრომი და განიხილავს პრობლემას, რომელსაც მრავალი ადამიანი ეწინააღმდეგება. საკითხის არსი კი ცხოველების უუფლებობაში მდგომარეობს. მათ არ გააჩნიათ თავისუფლება და ამის გამო ხშირად განიცდიან ტრავმასა და დისკომფორტს. ყოველ პროცედურას, თუნდაც „მსუბუქად“ კლასიფიცირებულს, აქვს პოტენციური, გამოიწვიოს ცხოველებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური დისტრესი და ტანჯვა. ცოცხალ არსებათა კვლა პირადი მოხმარების მიზნით პირდაპირ ხელყოფს მათ უფლებებს. ცხოველები და ადამიანები მრავალი თვალსაზრისით ჰგვანან ერთმანეთს; ორივე გრძნობს, ფიქრობს, იქცევა და განიცდის ტკივილს. ამრიგად, ცხოველები ისეთივე პატივისცემით მოპყრობას იმსახურებენ, როგორსაც ადამიანები. ამჟამად მილიონობით ცოცხალი არსება გამოკეტილია ლაბორატორიებში მთელი ქვეყნის მასშტაბით და იტანჯებიან ტკივილისგან, განიცდიან უკიდურეს იმედგაცრუებას, სტკივანთ მართობისგან და სურთ თავისუფლება. ამგვარად, ნაშრომი ეხება ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პრობლემას, რომლითაც ცხოველებს ერთმევათ თავისუფლება და მასთან ერთად სიცოცხლეც. ამასთანავე, საკითხი განხილულია რამდენიმე ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითზე, მათ შორის საქართველოზე.

Using animals for research

Monika Natchkebia,

Tatia Dekanozishvili

Tbilisi State University

Abstract

For several decades, there has been a heated discussion about the use of animals in research and product safety testing. The present work addresses that issue and reviews a problem that many people struggle with. The lack of animal rights is what gives the statement its meaning. They are denied their freedom and frequently suffer serious injury and discomfort. All examinations, even those identified to be "light," have the potential to cause the animals pain and suffering on both a physical and emotional level. Killing living beings for personal use directly violates their rights. Animals and people share many

characteristics, including the ability to feel, think, act, and experience pain. As a result, humans and animals both deserve respect. Numerous living things are now locked up in laboratories across the globe in sterile cages. They labor with loneliness, experience painful frustration, dwell in pain, and desire to be free. Thereby, the work refers to one of the most serious issues wherein animals are deprived of their freedom and consequently, of life. At the same time, the issue is discussed in the example of the legislation of several countries, including Georgia.

შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულები

დათა შალვაშვილი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

დანაშაულს ყოველთვის გააჩნია მოტივი, რომელიც გამოძიების დროს დადგენას საჭიროებს, ზოგჯერ მოტივი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მას არანაირი გავლენა არ აქვს ქმედების კვალიფიკაციის და სასჯელის შეფარდების პროცესთან მაგრამ ზოგჯერ მოტივი შესაძლოა იმდენად მძიმე იყოს, რომ მან სრულიად შეცვალოს კვალიფიკაცია და მის დამამძიმებელ გარემოებად იქცეს, ზუსტად ასეთ მოტივებს განეკუთვნება შეუწყნარებლობა. შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები პირდაპირ კავშირშია დისკრიმინაციასთან ზუსტად ამიტომ ჩვენი ქვეყნის და საერთაშორისო ინტერესებიდან გამომდინარე მისი პრევენცია უმთავრესი ამოცანაა, რომლის მისაღწევად საერთაშორისო დონეზე მრავალი რეფორმა ტარდება. ზოგადად შეუწყნარებლობით ჩადენილი დანაშაულები ძალიან დიდი თემია, იმდენად დიდი რომ ის სამართლის ინსტიტუტის და არამართო სამართლის მრავალ ასპექტს მოიცავს, აქედან გამომდინარე განხილვის ობიექტი იქნება კონკრეტული საკითხი, რომელიც მოიცავს შეუწყნარებლობას, როგორც მოტივს და მასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს, როგორცაა შეუწყნარებლობისთვის დამახასიათებელი ნიშნები, სიძლივლის ენა, პრაქტიკაში მოტივის გამოკვეთა, საქართველოში არსებული სტატისტიკა და საერთაშორისო რეკომენდაციები. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეუწყნარებლობა წარმოდგენილია, როგორც დამოუკიდებელ დანაშაულად ასევე დამამძიმებელ გარემოებად, რომელიც სხვა დანაშაულს შეიძლებოდაც ერთვოდეს თან. როდესაც ის თან ერთვის სხვა დანაშაულს მაშინ არის განსაკუთრებით რთული პროკურორისთვის მისი გამოკვეთა. ამ თემასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო პრაქტიკა და საქართველოს ჩართულობა ამ ყველაფერში ამიტომ ყურადღება უნდა მივაქციოთ, ECRI (ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ) ის რეკომენდაციებს საქართველოში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით და ასევე საყურადღებოა სტამბოლის კონვენციის მიდგომა გენდერის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე და მასთან დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებები. საქართველო წარმოადგენს პოსტ საბჭოურ სახელმწიფოს ამიტომ მისი ევროპასთან ინტერგრაციის პროცესში მრავალი

პრობლემა იჩენს თავს, როგორცაა დისკრიმინაცია, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება ამ პრობლემების მოგვარება კი მრავალ გამოწვევასთან არის დაკავშირებული.

Intolerance crimes

Data Shalvashvili

Georgian National University SEU

Abstract

A crime always has a motive that needs to be determined during the investigation, sometimes the motive is so insignificant that it has no influence on the process of qualifying the act and determining the punishment, but sometimes the motive may be so serious that it completely changes the qualification and becomes an aggravating circumstance, precisely such motives belong to intolerance. Intolerance crimes are directly related to discrimination, that's why its prevention is the most important task in the interest of our country and internationally, to achieve which many reforms are being carried out at the international level. Crimes committed by intolerance in general is a very big topic, so big that it covers many aspects of the institution of law and not only law, therefore the object of discussion will be a specific issue, which includes intolerance as a motive and general issues related to it, such as characteristic signs of intolerance, the hate speech, identifying the motive in practice, statistics available in Georgia and international recommendations. In the Criminal Law Code of Georgia, intolerance is presented as an independent crime and as an aggravating circumstance that can be attached to another crime. When it is attached to another crime, it is especially difficult for the prosecutor to distinguish it. In relation to this topic, international practice and Georgia's involvement in all of this is important, so we should pay attention to it. ECRI (European Commission against Racism and Intolerance) recommendations regarding the fight against discrimination in Georgia, and the approach of the Istanbul Convention on gender-based crimes and the various opinions expressed in this regard are also noteworthy. Georgia is a post-Soviet state, therefore many problems arise in the process of its integration with Europe, such as discrimination, which is against the fundamental principles guaranteed by the Constitution of Georgia, and solving these problems is associated with many challenges.

მოქალაქეთა ჩართულობა საკანონმდებლო პროცესში

მარიამ მესხი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მიზანი: კვლევის მიზანია გამოარკვიოს, თუ როგორ შიძლება საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა მეტი ჩართულობის მიღწევა, რა საშუალებებით შეუძლიათ მათ რომ ჩაერთონ აღნიშნულ პროცესში და რომელი ხერხი უფრო აქტუალურია დღევანდელ საზოგადოებაში. ასევე როგორ შეგვიძლია საზოგადოების მეტად დაინტერესება ამ საკითხებით.

დასკვნები: კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა მიმართავს პარლამენტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული კანონპროექტზე კომენტარის გაკეთებას, რადგან ეს უფრო სწრაფი მეთოდია. ასევე პარლამენტის წევრებთან ინდივიდუალური შეხვედრებიც საკმაოდ აქტუალურია, რადგან მოქალაქეები, რომლებსაც არ აქვთ სათანადო განათლება ამ პროცესებთან დაკავშირებით, საკუთარ მოსაზრებას ამ გზით გამოხატავენ. თუმცა არსებობს სხვა ხერხებიც, მაგალითად: საკანონმდებლო წინადადება, საკანონმდებლო ინიციატივა, პეტიცია, განცხადება/წერილი, სხდომებსა და შეხვედრებში მონაწილეობა. აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო ინიციატივა საკმაოდ პრიორიტეტული ხერხია, რადგან იგი პარლამენტში ისეთივე წესით განიხილება, როგორც ნებისმიერი პარლამენტარის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, შესაბამისად ამგვარი ხერხით საკანონმდებლო პროცესში ჩართვის შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილების მეტი შანსია.

ხოლო საზოგადოების დაინტერესებისათვის საკანონმდებლო პროცესში, საუკეთესო გზა არის მათი მეტად ინფორმირება ამ კუთხით, მაგალითად ტრენინგების საშუალებით, რადგან მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია იმის შესახებ თუ როგორ მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში, ამ ნაწილს ძირითადად განეკუთვნება ასაკოვანი საზოგადოება და მოქალაქეთა ის ფენა რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი განათლება. ამიტომ მნიშვნელოვანია ტრენინგების ჩატარება, როგორც ახალგაზრდებთან, ისე პროფესიული სასწავლებლის სტუდენტებთან, რათა ყველამ შეძლოს საკუთარი აზრის გამოხატვა ამ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთანავე, მნიშვნელოვანია იმფორმაცია საკანონმდებლო მაცნეს შესახებ, რომლის საშუალებითაც მოქალაქეები გაიგებენ ახალი კანონებისა თუ კანონპროექტების შესახებ. შესაბამისად მისი გამოყენება მეტად ჩართავს მათ ამ პროცესში, თუმცა აღსანიშნავია რომ ამ ინფორმაციას საზოგადოების საკმაოდ მცირე ნაწილი ფლობს.

გამოყენებული ლიტერატურა: საქართველოს კონსტიტუცია, ირაკლი კობახიძის „კონსტიტუციური სამართალი“, ლობჯანიძის „შესავალი საკონსტიტუციო სამართალში“.

აფექტში მკვლელობა

რეზიკო ჯორბენაძე

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

აფექტში მკვლელობა ანუ განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში.

აფექტში არის ერთბაშად წამოჭრილი, სწრაფად წარმავალი და უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც მისი განცდის მომენტში ეუფლება პიროვნებას, წარმართავს მის ქცევას და ძლიერი სხეულებრივი გამოვლინებით ხასიათდება. აფექტი მთლიანად მოიცავს ადამიანის ცნობიერებას, რომელიც აფექტის გამო ვიწროვდება, ცნობიერების შევიწროებულ ველში აღარ შემოდის სხვა ინფორმაცია და სწორედ ამიტომ, აფექტით შეპყრობილ ადამიანს არ ესმის მისკენ მიმართული რჩევა-დარიგებები. აფექტში ჩადენილი დანაშაული ყველა ქვეყანაში ისჯება მაგრამ არის შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი დანაშაული. სტატიაში განხილული მაქვს ევროპული ქვეყნების ნორმები რომლებიც აწესრიგებს ამ ურთიერთობებს.

სტატიის პირველ ნაწილში განხილული მაქვს რა არის აფექტი ზოგადად სამედიცინო თვალსაზრისით. აფექტის სახეები: პათოლოგიური და ფიზიოლოგიური აფექტი. რომელი მდგომარეობა ისჯება კანონით და რომელი არა.

მეორე ნაწილში საქართველოს კანონმდებლობით როგორ არის ეს ურთიერთობა მოწესრიგებული. როგორ უნდა განვსაზღვროთ სახეზე გვაქვს თუ არა აფექტური მდგომარეობა. იმისათვის რომ ქმედება დაკვალიფიცირდეს აფექტში მკვლელობად აუცილებელია სამი კუმულაციური პირობა რომლებიც მაქვს განხილული.

მესამე ნაწილში განხილული მაქვს გერმანიის კოდექსიდან „Totschlag im Affekt“ - ის კონცეფცია. რას გულისხმობს ეს პრინციპი და როგორ ისჯება გერმანიაში ამ დანაშაულისთვის პირი. როდის არის შესაძლებელი ამ შემამსუბუქებელი გარემოებაზე მითითება. განზრახ მკვლელობასთან შედარებით რამდენად მსუბუქად ისჯება ეს დანაშაული.

მეოთხე ნაწილში განხილული მაქვს ფრანგული კანონმდებლობიდან პრინციპი „crime passionnel“. როგორ განისაზღვრება საფრანგეთის კანონმდებლობით აფექტური მდგომარეობა და როგორ ხდება მისი შეფასება. დანაშაულად რომ ჩაითვალოს, მკვლელობა პირდაპირ კავშირში უნდა იყოს დანაშაულის დროს მოძალადის მიერ გამოცდილ ინტენსიურ ემოციებთან ან ემოციურ დარღვევასთან.

მეხუთე ნაწილში იტალიის კანონმდებლობიდან გავაკეთე ციტირება „omicidio passionale“ პრინციპის. ეს განსხვავებით წინა ორისგან მოიცავს მხოლოდ ვნებით დანაშაულს და უფრო კონკრეტულია ვიდრე სხვა ნორმები. ეს პრინციპი ერთგვარად შეგვიძლია ვთქვათ უფრო

ოჯახური დანაშაულთა ნაწილს მიეკუთნება, რაც ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული.

ამდენად წარმოდგენილი იქნება მნიშვნელოვანი თეზისები და სასამართლო პრაქტიკები რაც საინტერესოა სტუდენტებისთვის, რომ გაეცნონ საერთაშორისო სამართლის ნორმებს და გააკეთონ შედარება ჩვენ კანონმდებლობასა და იმათ კანონმდებლობას შორის.

Killing in the heat of passion

Reziko Jorbenadze

Georgian National University SEU

Abstract

Murder in the affective or intentional murder in a state of abrupt, strong spiritual excitement.

The affective is a once-raised, fast-moving and extremely intense emotion, which at the moment of his feeling is mastered by a person, guides his behavior and is characterized by strong bodily manifestations. The affective completely covers the human consciousness, which narrows due to the affect, no other information enters the narrowed field of consciousness, and that is why a person obsessed with affective does not understand the advice and discipline directed towards him. Crime committed in the affective is punishable in all countries but is a crime committed under mitigating circumstances. The article discusses the norms of European countries that regulate these relations.

In the first part of the article, I have discussed what an affective is generally from a medical point of view. Types of affect: pathological and physiological affect. Which condition is punished by law and which is not.

In the second part, how is this relationship in order. How to determine whether we have an affective state on the face. In order for the action to qualify as a murder in the affect, it is necessary to have three cumulative conditions that I have considered.

In the third part, I have discussed the concept of "Totschlag im Affekt" from the German Code. What does this principle mean and how a person is punished for this crime in Germany. When is it possible to indicate this mitigating circumstance. Compared to premeditated murder, how lightly this crime is punished.

In the fourth part, I have discussed the principle "Crime Passionnel" from French law. How the affective state of affairs is determined by French law and how it is evaluated. To be considered a crime, murder must be directly related to the intense emotions or emotional disorder experienced by the perpetrator during the crime.

In the fifth part, the Italian legislator made a quote on the principle of "omicidio passionale". This contrast to the previous two involves only passion crime and is more specific than other norms. This principle can be said to belong to a part of more family crimes, which are not provided for by the laws of many countries.

So important theses and judicial practices will be presented, which is of interest to students to learn about the norms of international law and to make a comparison between our legislation and their legislation.

მედიცინა

Revival Of Heart Cells

Rishabh Kumar

Georgian National University SEU

Abstract

In this article, we can see different approaches that have been done to regenerate heart muscle and also restore its cardiac function from newly formed cardiomyocytes or heart cells. Several approaches to produce cardiomyocytes from embryonic stem cells, adult bone marrow, cardiac spheres and induced pluripotent stem cells have been described. Heart diseases like arteriosclerosis and coronary heart disease often lead to myocardial infarction causing heart cell death. After the heart cell dies, some self-regeneration of heart muscle occurs and non-contractile connective tissue is formed which weakens the heart to contract fully causing heart failure. Many experimental researches have been tried to regain normal or almost normal heart function in the dead heart muscles. A few of these interesting researches have used various types of stem cells combined with potential cardiogenic differentiation factors in an attempt to promote differentiation of new heart cells so that they can be used in future to treat patients with heart muscle damage from Acute Myocardial Infarction or related cardiovascular diseases. Although there has been a huge progress in recent years to revive the functions of a heart cells but still a lot more work needs to be done for it to be treating patients who have lost their activity of heart cells.

Can Xenografts Ease the Acute Shortage of Donor Organs?

Simran Maheshkumar Artwani,

David Tvildiani Medical University

Abstract

Xenotransplantation is the procedure to transplant, implant or to infuse (i) tissues or organs in to the Human body from an animal source or (ii) ex-vivo contact of nonhuman animal cell, tissues or organs with human body fluids, tissues or organs. The shortage of human organs has influenced surgeons to use xenografts in contrast to conventional organ transplantation using human tissues or organs. Every year, less than 5% of patients waiting for cardiac transplantation receive one in the United States. This growing demand of organs for transplantation in clinical practice and relatively unaltered improvement in the human organs that become available each year, have greatly increased interest in the prospect of using xenografts for transplantation. The recent comprehensive advances in the concept of xenografts and the biology of their rejection and zoonotic infections and the creation of genetically modified alpha-gal deficient pigs have made this approach progress closer towards clinical application. The future of

clinical xenotransplantation is complex involving a distinctive set of regulatory standards, however it appears that this meticulous path forward is well defined and an era of clinical Xenotransplantation is approaching.

Management of Necrotising Myoma and Successful Pregnancy: A case report and literature review

გარგი გაუტამ,

ჰრიტი სინგჰ

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

შესავალი - ნეკროზული მიომა არის საშვილოსნოს ფიბრომა, რომელიც კარგავს სისხლის მიწოდებას და იწყებს გაუარესებას. ესტროგენი არის პირველადი რისკის ფაქტორი პროგესტერონთან შედარებით, გაზრდილი პრევალენტობის მაჩვენებელი 2%-28%-ით რეპროდუქციულ ასაკში (30-40 წელი). ყველაზე გავრცელებული დამახასიათებელი სიმპტომია მენორაგია. ტკივილი ფიბრომაზე მიუთითებს დეგენერაციაზე. ამ შემთხვევის შესწავლის მიზანია ხაზი გაუსვას ადრეული დიაგნოსტიკისა და სწრაფი ჩარევის აუცილებლობას ამ იშვიათი, მაგრამ მძიმე მდგომარეობის მართვაში.

შემთხვევის პრეზენტაცია - 36 წლის მდედრობითი სქესის პაციენტი, გესტაციის მე-17 კვირაზე, გადაყვანილი იყო კლინიკაში მუცლის მწვავე დისკომფორტის ძირითადი ჩივილებით. მიღებისას მისი ტემპერატურა იყო 100,4°F, პულსი 98-105 BPM და არტერიული წნევა იყო 110/60 mmHg. სისხლის ანალიზმა აჩვენა WBC- 22000 უჯრედი/ μ L 12% ზოლებით. ულტრასონოგრაფიამ გამოავლინა 7x8 სმ ზომის ნეკროზული მიომა, რომელიც გადიოდა მწვავე მუცელში კვანძების გამო, რომლებიც საჭიროებდნენ მიომექტომიას (ლაპაროტომია). მიომექტომია ჩატარდა ორსულობის მე-17 კვირაში. ოპერაციის შემდეგ პაციენტმა მიიღო ანტიბიოტიკოთერაპია (ცეფტრიაქსონი 2.0 გ ორჯერ დღეში შვიდი დღის განმავლობაში) და ტოკოლიტიკები (პროგესტერონი და MgSO₄). ნაადრევი მშობიარობა აღიკვეთა მედიკამენტური მკურნალობით და ბავშვის გაჩენა საკეისრო კვეთით 37-ე კვირაში საშვილოსნოს გასკდომის თავიდან ასაცილებლად.

დისკუსია- ნეკროზული მიომის დიაგნოზი დგინდება კლინიკური პრეზენტაციისა და ვიზუალიზაციის კვლევებით. სამეანო და ახალშობილთა შედეგები ქალებში, რომლებსაც უტარდებათ მიომექტომია ორსულობის დროს, შედარებულია კონსერვატიულად მართულ ქალებში. ეს მაგალითი ხაზს უსვამს ორსულობის დროს ნეკროზული მიომის ადრეული გამოვლენისა და მკურნალობის აუცილებლობას დედისა და ნაყოფის არასახარბიელო შედეგების თავიდან ასაცილებლად.

საკვანძო სიტყვები - ნეკროზული მიომა, ესტროგენი, მენორაგია, ლაპაროტომია, ნაადრევი მშობიარობა, საკეისრო კვეთა.

Management of Necrotising Myoma and Successful Pregnancy: A case report and literature review

Gargi Gautam,

Hriti Singh

Georgian National University SEU

Abstract

Introduction - Necrotising myoma is a uterine fibroid which loses its blood supply and begins to deteriorate. Estrogen is the primary risk factor over progesterone with a raised prevalence rate of 2%-28% in the reproductive age (30-40 years). The most common presenting symptom is menorrhagia. Pain in the fibroid indicates degeneration. The purpose of this case study is to emphasize the necessity of early diagnosis and quick intervention in the management of this rare yet severe condition.

Case presentation- A 36-year-old female patient, at 17 weeks gestation, presented to the clinic with chief complaints of acute abdominal discomfort. Upon admission, her temperature was 100.4°F, her pulse rate of 98-105 BPM, and her blood pressure was 110/60 mmHg. Blood tests showed WBC- 22,000 cells/ μ L with 12% bands. Ultrasonography revealed a necrotic myoma of size 7×8 cm undergoing acute abdomen due to nodules requiring a myomectomy (Laparotomy). Myomectomy was performed during the 17th week of pregnancy. Following surgery, the patient received antibiotics therapy (Ceftriaxone 2.0 g twice daily for seven days) and tocolytics (Progesterone and MgSO₄). Preterm labor was prevented with medical treatment, and the baby was delivered via cesarean section at the 37th week to avoid uterine rupture.

Discussion- The diagnosis of necrotising myoma is established through clinical presentation and imaging studies. Obstetric and neonatal outcomes in women undergoing myomectomy in pregnancy are comparable with that in conservatively managed women. This example emphasizes the need for early detection and treatment of necrotising myoma during pregnancy to avoid unfavorable maternal and fetal outcomes.

Keywords: Necrotising myoma, estrogen, menorrhagia, laparotomy, preterm labor, cesarean section.

დიაბეტური რეტინოპათია

კეია ბალიგა,

რაჯვი სონი

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

აბსტრაქტი

შაქრიანი დიაბეტი არის მდგომარეობა, როდესაც ადამიანს აქვს მომატებული გლუკოზის დონე ორგანიზმში. ეს ხდება პანკრეასის დისფუნქციური ბეტა უჯრედების შედეგად, რომლებიც ვერ ახერხებენ სათანადო რეაგირებას სისხლში გლუკოზის დონის მატებაზე. 2021 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, დიაბეტის და მისი ეფექტების შესახებ ადამიანის სხეულზე, ადამიანთა 42.3%-მა აღნიშნა, რომ აწუხებდა თვალის პათოლოგიები. ამ მდგომარეობის ერთ-ერთი გართულებაა დიაბეტური რეტინოპათია, თვალის მდგომარეობა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მხედველობის დაკარგვა და სიბრმავე. თვალში სორბიტოლის მოქმედება არის ორსაფეხურიანი პროცესი, რომელიც გლუკოზას გარდაქმნის ფრუქტოზად, რომელიც პირველ რიგში გავლენას ახდენს. სორბიტოლი თამაშობს მთავარ როლს გლუკოზის მეტაბოლიზმში და მონაწილეობს რედოქსის ბალანსის შენარჩუნებაში, ისეთი სუბსტრატების გამოყენებით, როგორცაა NADPH და NAD + რეაქციების განსახორციელებლად. სორბიტოლის გზის მომატებული აქტივობა ჩართულია ისეთი დიაბეტური გართულებების განვითარებაში, როგორცაა რეტინოპათია. შაქრიანი დიაბეტი ძირითადად ჰიპერგლიკემიით ხასიათდება. ჰიპერგლიკემია ზრდის თვალის მიკრო სისხლძარღვების ოქსიდაციურ სტრესს, რაც იწვევს ციტოკინების და გარკვეული ზრდის ფაქტორების გამოყოფას. შედეგად, იზრდება სისხლძარღვების გამტარიანობა. ეს იწვევს სისხლძარღვების შეშუპებას და გაჟონვას. ისინი გამოჩნდებიან წითელი წერტილების სახით ბადურის გამოკვლევაზე, რომელსაც მიკროანევრიზმი ეწოდება. ამ მიკროანევრიზმის გახეთქვა იწვევს თვალის შიგნით სისხლჩაქცევებს, რაც საბოლოოდ ქმნის მძიმე ექსუდატებს. ეს იწვევს მაკულარულ შეშუპებას, რაც იწვევს მხედველობის დაკარგვას. შაქრიანი დიაბეტით დაავადებული ათი ადამიანიდან ხუთის შემთხვევა მთავრდება დიაბეტური რეტინოპათიით. ეს ჩვეულებრივ გავლენას ახდენს იმ პაციენტებზე, რომლებსაც აწუხებთ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ვიდრე ტიპი 2. როგორც წესი დიაბეტური რეტინოპათია დასაწყისში ასიმპტომურია და პაციენტებს დიაგნოზი ესმევა მხოლოდ ამ დაავადების მოგვიანებით ეტაპზე, ანუ პროლიფერაციულ სტადიაზე. როგორც წესი, პაციენტებს აღნიშნებათ მხედველობის ველის დეფექტები, მხედველობის დაბინდვა, ფერთა მხედველობის დარღვევა, რაც საბოლოოდ იწვევს სიბრმავეს. ამრიგად, გლუკოზის, ქოლესტერინის დონის და არტერიული წნევის მართვა DM-ის დიაგნოზის შემდეგ ძალზე მნიშვნელოვანია რეტინოპათიის გართულებების თავიდან ასაცილებლად.

საკვანძო სიტყვები: დიაბეტი, დიაბეტური რეტინოპათია, მაკულარული შეშუპება, მიკროანევრიზმი

Diabetic Retinopathy

Keya Baliga,

Rajvi Soni

Georgian National University SEU

Abstract

